საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.ge

№9 (621)

16 - 22 მარტი, 2022

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

geworld@inbox.ru



## ჟოზეპ ბორელი: საქართველოსა და უკრაინისთვის მიცემული დაპირება ნატოს წევრობის შესახებ შეცდომა იყო

24

# რის მიღწევა სურს დასავლეთს?

6-7



## აყვავებული უკრაინიდან არაფერი აღარ დარჩა რუსეთის საწინააღმდეგო ამერიკელთა პლაცდარმის გარდა

დიმიტრი ლორთქიფანიძე:



## ნატოს სურდა, ბოლო უკრაინელამდე ეომა რუსეთთან, ოღონდ არა თავის საზღვრებში, არამედ უკრაინის ტერიტორიაზე

3



## საქართველო ამოვარდნილია ახალი ევროპის არქიტექტურიდან

9



## საქართველო — ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივებისა და საომარ მოქმედებებში ჩაბმის საფრთხის წინაშე

3




## კოვიდ-19 გამოუცხადებელი ბიოლოგიური ომია და არა პანდემია

14-15

გიორგი ირემაძე:



## ამერიკელები ბიოლოგიური იარაღის დასამზადებლად საექსპერიმენტო ტერიტორიად უკრაინასა და საქართველოს იყენებენ

5



## ოპოზიციას სურს, ქართველთა გვამებზე გადავლით დაიბრუნოს ის, რაც ასე აკლია — ძალაუფლება

10



## რატომ არ ელოდა ილია ჭავჭავაძე საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწი-ფოებისგან

11



## «ომის ქოფაკები»* უკრაინაში

17

SOS
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ე.წ. ოპოზიციური არხები ლამის ყოველ საათში უკრაინაში მყოფ ქართველ მებრძოლებს რთავენ პირდაპირ ეთერში და აყოლებენ, როგორ გაანადგურეს ესა თუ ის შენაერთი, რამდენი რუსი ჯარისკაცი მოკლეს, როგორ ააფეთქეს მათი ტანკები და ა.შ. ისინი არ ასახელებენ ადგილს, სადაც იმ მომენტში იმყოფებიან და ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ როგორ გგონიათ, ამ ყველაფერს რუსეთი არ ისმენს? არ ესმის, რომ ქართველები უკრაინაში რუსებს ხოცავენ? და ამ დროს საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე რუსეთში ცხოვრობს. არ არის ეს გაღიზიანების პოლიტიკა და პროვოკაცია?**

# საქართველო — ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივებისა და საომარ მოქმედებებში ჩაბმის საფრთხის წინაშე

# რატომ არ აღკვეთს სახელმწიფო პროვოკაციებს?

**რამდენიმე დღის წინათ მეგობართან ერთად რუსულნომრიანი ავტომობილით გადავაადგილდებოდი. ჩემმა მეგობარმა ფული რუსეთში იშოვა, 15 წელი ცხოვრობდა მოსკოვში და იქ დაგროვილი თანხით საქართველოში ბიზნესი წამოიწყო — 3 მლნ ლარის ინვესტიცია განახორციელა. შუქნიშანზე წითელი რომ აინთო, ავტომობილი გავაჩერეთ და გადასასვლელზე მიმავალმა ორმა ბიჭმა ჯერ მანქანის ნომერს შეხედა, შემდეგ ჩვენ და აყვირდა — „პუტინ ხუილო“. მანქანა გადავაყენეთ, იმ ბიჭებთან მივედი და ახსნა-განმარტება ვთხოვე. ჯერ გაუკვირდათ, ქართველი რომ ვიყავი, მერე — უი, ბოდიში, რუსები გვეგონეთო და... 16-17 წლის ბავშვები იყვნენ. ისიც ვუთხარი, ვიღაც სხვა რომ გადმოსულიყო მანქანიდან და მაგრად ეცემეთ, ხომ იქნებოდით ღირსი, რა დროს თქვენი პოლიტიკაა, წიგნი იკითხეთ-მეთქი. წავიდნენ, არ გვეგონა, ქართველები თუ იყავითო...**



**საქართველოში როგორც რუსეთის, ისე უკრაინის მოქალაქეების შემოსვლის პროცესი გრძელდება. საინტერესო ის არის, რომ ორი მონათესავე ერი, რომლებიც დღეს ერთმანეთს ებრძვიან, უცხო, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე საქმის გარჩევას არ აპირებს, ამის შესახებ ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ. რუსები და უკრაინელები არ აპირებენ ერთმანეთის არც შეურაცხყოფას და არც საქმის გარჩევას. ჩვენ კი ვაპირებთ და არა მხოლოდ ვაპირებთ, არამედ ოპოზიციის ლიდერები ყოველდღე გვიანონსებენ, როგორ უნდა მოვექცეთ, როგორ უნდა ვაგინოთ, როგორ უნდა ვუქციოთ აქ ყოფნა ჯოჯოხეთად რუსეთიდან შემოსულებს**

საქართველოში რამდენიმე ათასი ავტომობილი დადის რუსული ნომრით და ამ ავტომობილების 95%-ს საქართველოს მოქალაქეები მართავენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ათიდან, სულ ცოტა, ცხრა შემთხვევაში სწორედ თანამემამულეთა გინება მოუწევთ ტვინგაცხელებულ ახალგაზრდებს. მათი ტვინის გაცხელება და ასეთი დამოკიდებულება ყველაფერი რუსულისადმი ოპოზიციის დამსახურებაა. **სწორედ ოპოზიცია გაჰყვირის 24 საათის განმავლობაში: ქვეყანაში რუსები არ უნდა შემოვუშვათ, ყველაფერ რუსულზე უარი უნდა ვთქვათ და შემდეგ, როცა დაიღლებიან, მუცელს რუსეთიდან შემოტანილი პურის ფქვილით გამომცხვარი პურით იყორავენ. რეალურად, ოპოზიციას არ აინტერესებს არაფერი, გარდა იმისა, რომ ნებისმიერი, ვიმეორებთ, ნებისმიერი გზით ხელისუფლებაში დაბრუნდნენ.** ოპოზიცია სპეციალური კანონის შემოღებასაც ითხოვს, რომლის მიხედვითაც, საზღვარზე გადმოსვლისას რუსეთის მოქალაქეებმა ხელი უნდა მოაწერონ დოკუმენტს, რომელშიც აღნიშნული იქნება, რომ რუსეთი ოკუპანტია და ცუდი არ იქნება, თუ ტექსტის ბოლოს „პუტინ ხუილო“ ეწერება და რუსები ამასაც ხელს მოაწერენ. ეს წინადადება დისკრიმინაციული კი არა, შეურაცხმყოფელია. რა თქმა უნდა, ოპოზიცია იმასაც ცდილობს, რომ მათი ინიციატივების შესახებ, უწინარესად, სწორედ რუსეთის ხელისუფლებამ შეიტყოს, რათა გაღიზიანდეს.

ისე, თუ აკვირდებით, **მას შემდეგ, რაც ქართულ პოლიტიკაში ნაციონალები გამოჩნდნენ, მათი მთავარი მიზანი სწორედ რუსეთის გაღიზიანება და სამხედრო კონფლიქტში ჩართვაა. ხელისუფლებაში ყოფნისას ეს გამოუვიდათ და ანალოგიურის გაკეთებას ცდილობენ ახლაც – მით უმეტეს, ამჟამად პასუხისმგებლობაც არ დაეკისრებათ და უფრო მეტიც, ისინი ომის შემთხვევაში კატეგორიულად მოითხოვენ რიგგარეშე არჩევნებს და იტყვიან: 2008 წლის ომის შემდეგ მიშა ხომ გადადგაო?** ჰო, ამას მას შემდეგ მოითხოვენ, როცა ევროპული ქვეყნებიდან დაბრუნდებიან, რადგან მათ ომი სურთ, ომში მონაწილეობა კი არა და ერთი ტყვიაც რომ გავარდეს, ქვეყანას, პირველ რიგში, სწორედ ისინი დატოვებენ.

ბოლო ათი დღის განმავლობაში საქართველოში რუსეთის არაერთი მოქალაქე ჩამოვიდა. ისინი ბინებს ქირაობენ და ცდილობენ, რთული პერიოდი საქართველოში გაატარონ, **მათ ადამიანურად ეშინიათ როგორც ეკონომიკური სანქციების, ისე იმის შესაძლებლობის, რომ ომში ნატოს ქვეყნები ჩაერთვებიან და რუსულ ქალაქებს დაბომბავენ. რაც მთავარია, მათ საქართველოში ჩამოესვლებათ, რადგან რუსეთის ბევრ დასახლებულ პუნქტში ცხოვრობენ საქართველოს მოქალაქეები, წლების განმავლობაში ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ და სწორედ ქართველი მეგობრების წყალობით ჩამოდიან, მათ იმედად, მათი დახმარებით ქირაობენ ბინებს, დადიან მაღაზიებში, აფთიაქში, ქუჩაში... ჰოდა, ვიღაცამ რომ შეურაცხყოფს, რომ აგინოს და პასუხი მიიღოს, არა პოლიტიკური, არამედ ადამიანური, მერე რა ხდება?** მზად არის სახელმწიფო შემთხვევითი თუ ორგანიზებული პროვოკაციისგან თავის დასაცავად? ისიც ვთქვათ, რომ, რუსეთის გარდა, საქართველოში უკრაინის არაერთი მოქალაქე ჩამოვიდა და ყველაზე მეტად ის მაინტერესებს, **როგორ აპირებენ ქართველები, რომლებსაც სურთ, რუსები ქუჩაში მხოლოდ და მხოლოდ ეროვნების გამო შეურაცხყონ, როგორ განასხვავებენ რუსსა და უკრაინელს, ეგ იგივეა, ქართველებში კახელისა და ქართლელის, სვანისა და მეგრელის, რაჭველისა და იმერელის გარჩევა რომ დაიწყო. ხომ გამორიცხულია, ერთი შეხედვით მიხვდე, ვინ ვინ არის?!** გასულ კვირას, როდესაც ეთნიკური ნიშნით დაყოფისა და შეურაცხყოფის პირველი ნიშნები გახმაურდა, მმართველი პარტიის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე** გამოვიდა და თქვა, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება კანონის გამკაცრებას გეგმავს, მაგრამ ჯერჯერობით ეს მხოლოდ სიტყვებია, საქმე კი წინ არ წასულა. არ გეგონოთ, მხოლოდ ოპოზიცია და მათი მხარდამჭერები წარმოადგენენ საფრთხეს. **უფრო მეტს ე.წ. ოპოზიციური არხები აკეთებენ, რომლებიც ლამის ყოველ საათში უკრაინაში მყოფ ქართველ მებრძოლებს რთავენ პირდაპირ ეთერში და აყოლებენ, როგორ გაანადგურეს ესა თუ ის შენაერთი, რამდენი რუსი ჯარისკაცი მოკლეს, როგორ ააფეთქეს მათი ტანკები და ა.შ. ისინი არ ასახელებენ ადგილს, სადაც იმ მომენტში იმყოფებიან და ეს ლოგიკურიცაა, მაგრამ როგორ გგონიათ, ამ ყველაფერს რუსეთი არ ისმენს? არ ესმის, რომ ქართველები უკრაინაში რუსებს ხოცავენ? და ამ დროს საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე რუსეთში ცხოვრობს. არ არის ეს გაღიზიანების პოლიტიკა და პროვოკაცია?** რუსეთში მცხოვრები ქართველები რომ აიყვანონ რუსმა სამხედროებმა ტყვედ და ქართველ მებრძოლებს იარაღის დაყრა მოსთხოვოს უკრაინაში, მერე? აა, უფლება არ აქვს და ეს არასწორი საქციელი იქნება ხომ? და სხვის ომში რომ იბრძვიან ქართველები, რუს ჯარისკაცებს რომ კლავენ, ეგ სწორი საქციელია? და იმაზე თუ გიფიქრიათ, რომ რუსეთში დაბადებული და გაზრდილი არაერთი ქართველი, შესაძლოა, ახლა სწორედ ფრონტის წინა ხაზზე იყოს და მას ქართველის ნასროლი ტყვია მოხვდეს? ამით როგორ უნდა იცხოვროთ, ბატონებო? **სხვის ომში ქართველი ქართველს რომ მოკლავს, არ შეგაწუხებთ სინდისი?** არ დამიწყოთ ახლა, თუ რუსეთის მხარეს იბრძვის, მტერიაო. იქ დაბადებული ქართველისთვის რუსეთიც სამშობლოა და საქართველოც. სწორედ იმის გამო, რომ იქ დაიბადა, მისი მშობლები წლების განმავლობაში იქ ცხოვრობდნენ, იქ გაიზარდა, იქ მიიღო განათლება და იქ ისწავლა ყველაფერი, ვალდებულებაც უჩნდება, რომ ქვეყანა, რომელმაც მართლაც ყველაფერი მისცა, დაიცვას.

საინტერესო ის არის, ინციდენტებისგან ვინ გვიცავს? ჰო, **ჩვენ, რიგით ადამიანებს, ვინ გვიცავს იმისგან, რომ ოპოზიციის აქტივისტები აქ მყოფ რუსეთის მოქალაქეებს არ შეურაცხყოფენ, ფიზიკურად არ გაუსწორდებიან, სულში არ ჩააფურთხებენ და ამის საფუძველზე რუსეთი არ იტყვის, რომ საქართველოში შევიწროებული თავისი მოქალაქეების დაცვას აპირებს?!**

კეთილი, შევთანხმდეთ, რომ საქართველოში რუსეთიდან არც ერთი ადამიანი არ უნდა შემოვუშვათ, ოღონდ რუსეთი რომ მოგვაყენებს მილიონ ქართველს, მათი არა მხოლოდ მიღების, არამედ დასაქმების ერთი ადგილიც უნდა გვქონდეს. ჰო, დასაქმების, რადგან უცხო ქვეყანაში უმუშევარი არავინაა და, რა პარადოქსულიც უნდა იყოს, რუსეთში მყოფ სრულწლოვან ქართველთა 97%-ს სამსახური აქვს. აქ კი თაობები გადაეჩვივნენ მუშაობას, სამუშაო არ არის და იმიტომ, ბირჟაზე დგომა უფრო ადვილია და იმიტომ, რუსეთიდან ნათესავის, მშობლის, დის, ძმის გამოგზავნილი ფულით ლუდის ყიდვა უფრო ადვილია და იმიტომ...

საქართველოში როგორც რუსეთის, ისე უკრაინის მოქალაქეების შემოსვლის პროცესი გრძელდება. საინტერესო ის არის, რომ ორი მონათესავე ერი, რომლებიც დღეს ერთმანეთს ებრძვიან, უცხო, ანუ საქართველოს ტერიტორიაზე საქმის გარჩევას არ აპირებს, ამის შესახებ ერთი განცხადებაც კი არ გაუკეთებიათ. რუსები და უკრაინელები არ აპირებენ ერთმანეთის არც შეურაცხყოფას და არც საქმის გარჩევას. ჩვენ კი ვაპირებთ და არა მხოლოდ ვაპირებთ, არამედ **ოპოზიციის ლიდერები ყოველდღე გვიანონსებენ, როგორ უნდა მოვექცეთ, როგორ უნდა ვაგინოთ, როგორ უნდა ვუქციოთ აქ ყოფნა ჯოჯოხეთად რუსეთიდან შემოსულებს. არადა, იმ ლიდერებმა ზუსტად იციან, რუსეთში მყოფი ქართველები, შესაძლოა, ამის გამო ცუდ დღეში აღმოჩნდნენ. აქ ჩამოსული რუსების იქაურმა ნათესავებმა ზუსტად იგივე რომ გაუკეთონ ქართველებს, რა იქნება მერე? მერე იქნება ის, რაც ოპოზიციას ასე ძალიან უნდა — ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის გაღვივება და შანსი იმისა, რომ საქართველო საომარ მოქმედებებში ჩაებას.**

**ბესო ბარბაქაძე**

თვალსაზრისი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ახლა გავდივართ ბეწვის ხიდზე და თეორიულადაც კი შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. ეს უნდა ესმოდეს ხელისუფლებას და უნდა ესმოდეს საზოგადოებასაც, თუ არ გვინდა, რომ მავნე ძალებმა იხეირონ და კიდევ ერთხელ ქვეყანა მიიყვანონ სისხლისმღვრელ ომამდე, რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ამ ვითარებაში ნამდვილად იქნება წარმოუდგენელი კატასტროფა ჩვენი ქვეყნისთვის“.**



# დიმიტრი ლორთქიფანიძე: ნატოს სურდა, ბოლო უკრაინელამდე ეომა რუსეთთან, ოღონდ არა თავის საზღვრებში, არამედ უკრაინის ტერიტორიაზე

**10 მარტს თურქეთის ქალაქ ანტალიაში სერგეი ლავროვსა და დიმიტრო კულებას შორის შეხვედრა კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა. თითქმის საათნახევრიანი მოლაპარაკების შემდეგ მხარეებმა პოზიციების შეჯერება ვერ შეძლეს. 90-წუთიანმა დიალოგმა კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მიმდინარე დაპირისპირების ფონზე დიპლომატია ჯერჯერობით უძლურია.**

კოლოსალური ზარალის მიუხედავად, უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა რიტორიკა უცვლელია. მათ მიჩნიათ, რომ აქვთ უფლება, თვითონ აირჩიონ, რომელ კავშირში, სამხედრო ბლოკსა თუ გაერთიანებაში გაწევრდებიან. ზელენსკი ომის დაწყებიდან სამი კვირის თავზეც ჯიუტად იმეორებს, რომ მათ სწრაფვას „ცივილიზებული სამყაროსკენ“ ვერაფერი შეაჩერებს. თუმცა ამ პოლიტიკურ ლირიკას თან სდევს გამუდმებული წუწუნიც, რომ დასავლეთმა უკრაინა მიატოვა. კიევი პარტნიორებს სასოწარკვეთილი ეხვეწება, დახურონ მისი საჰაერო სივრცე; კიდევ უფრო გაუმკაცრონ სანქციები რუსეთს და გაწყვიტონ მასთან ყოველგვარი ურთიერთობა. ზელენსკის ყველა ბოლოდროინდელი გამოსვლა სწორედ ამ თხოვნით იწყება, რომელიც ნათლად აჩვენებს მის იმედგაცრუებას „უკრაინული დემოკრატიის ქომაგებისა და გულშემატკივრებისადმი“, რომლებიც არაფერს არ აკეთებენ უკრაინელი ხალხის დასაცავად, გარდა „ტრადიციული“ შეშფოთება-აღშფოთებისა... შეგახსენებთ, რომ დასავლეთმა კატეგორიული უარი განაცხადა უკრაინის საჰაერო სივრცის დახურვაზე. მიზეზად რუსეთთან პირდაპირ დაპირისპირებაში ჩართვის საშიშროება დასახელდა. ნატოს გენერალური მდივნის თქმით, ეს გამოიწვევდა მსოფლიო ომს, რაც მათ არ სურთ. ამავე მიზეზით თქვეს უარი „მიგ29“ ტიპის მოიერიშე თვითმფრინავების გადაცემაზეც უკრაინისთვის. რაც შეეხება რუსეთის პოზიციას, **კულებასთან** შეხვედრის შემდეგ ლავროვმა ხაზგასმით განაცხადა, რომ რუსეთი არ იპყრობს უკრაინას, რუსეთს სურს მეგობრული უკრაინა, სადაც არ დევნიან რუსულ ენას, კულტურას და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას. ცხადია, აქ ეკლესია შემთხვევით არ იყო ნახსენები, სწორედ რუსული მართლმადიდებელი ეკლესია იყო ერთ-ერთი პირველი, რომელიც დასავლეთმა მიზანში ამოიღო კიევსა და მოსკოვს შორის პროვოცირებული დაპირისპირების ფონზე. ამის ნათელი მაგალითია ტომოსის თვითნებური მინიჭება უკრაინული ეკლესიიდან განდგომილთათვის, ამის მაგალითია მსოფლიო პატრიარქის მიერ უკრაინის ეპარქიის მოწყვეტა დედაეკლესიისგან.

**რა პროცესები მიმდინარეობს დღეს უკრაინაში, რა ცვლილებებს გამოიწვევს მიმდინარე კონფლიქტი რეგიონისთვის და რა საფრთხეებს ქმნის ჩვენთვის? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება უფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე.**

**— ბატონო დიმიტრი, სამი კვირაა, უკრაინაში ომი მიმდინარეობს და ჯერჯერობით მისი მშვიდობიანად დასრულების პერსპექტივა არ ჩანს. მოლაპარაკებები მიდის, მაგრამ მის დასრულებას ბოლო არ უჩანს... სერგეი ლავროვმა დიმიტრო კულებასთან რამდენიმე დღის წინათ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ რუსეთს უკრაინის დაპყრობა არ სურს. მისი თქმით, რუსეთს უნდა მეგობრული უკრაინა, რომელიც არ აკრძალავს რუსულ ენას, კულტურას და რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას... რა გზავნილებს შეიცავდა ეს განცხადება და, საერთოდ, რას ფიქრობთ, მიმდინარე მოვლენებზე?**

— უკრაინა ისეა შუაზე გაყოფილი, როგორც მისი ორფეროვანი დროშა. ქვეყნის დასავლეთი ნაწილი არის აბსოლუტურად სხვა და აღმოსავლეთი სხვა კულტურის მქონე. 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დასავლეთი უკრაინა დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა დამოუკიდებელ სუბიექტად და მხოლოდ 1922 წელს მოხერხდა გაერთიანება, თუმცა მის დასავლეთ ნაწილში 1956 წლის ბოლომდე მაინც მიმდინარეობდა სხვადასხვა ლიდერის მიერ წამოწყებული სეპარატისტული მოძრაობა, რომელთაგან ბოლო იყო **სტეპან ბენდერა.** სხვათა შორის, ეს მოძრაობა, თავის არსით, არა მხოლოდ პროფაშისტური იყო, არამედ პირდაპირ ჰიტლერული გერმანიის ორგანულ ნაწილს წარმოადგენდა. მათი ამოცანა იყო, აღედგინათ ე.წ. დასავლეთ უკრაინის სახალხო რესპუბლიკა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა ყოფილიყო და კავშირი არ უნდა ჰქონოდა საბჭოეთის მონაპოვართან. აი, სწორედ ამ ბრძოლების პროცესში გამოიკვეთა განსაკუთრებული სიძულვილი აღმოსავლეთ უკრაინელი ხალხების კულტურისადმი და აქ, უწინარესად, საუბარია კატეგორიულ მიუღებლობაზე, რომელიც დაკავშირებულია კონფესიურ შემადგენელზე...

**— მოდი, უფრო კონკრეტულად ავუხსნათ საზოგადოებას, რა იგულისხმება ამ მიუღებლობაში.**

— საუბარია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაზე, ანუ იმის წინააღმდეგ, რომელიც ბელარუსსა და რუსეთთან ერთად შეადგენს რუსეთის ეკლესიას — მოსკოვის საპატრიარქოს. რაც შეეხება დასავლეთ უკრაინას, ის ყოველთვის აცხადებდა პრეტენზიას, რომ ჰქონოდა ავტოკეფალია, ოღონდ არა მართლმადიდებელი ეკლესიის, არამედ ბერძნული კათოლიციზმის, — **ე.წ. უნიატური ერთობის წიაღში. აი, სწორედ ამ უნიატური ეკლესიის არსებობა იყო ერთ-ერთი განმასხვავებელი დასავლეთ და აღმოსავლეთ უკრაინას შორის, რომელმაც გაამწვავა დაპირისპირება და, საბოლოოდ სადამდეც მივიდა საქმე, ვხედავთ. აღმოსავლეთ უკრაინაში დაახლოებით 15 ათასი ადამიანი იმსხვერპლა ძლიერმა სიძულვილმა და ზიზღმა რუსი ეთნოსის მიმართ. მათგან 400 ბავშვია.** სხვათა შორის, არც ისე დიდი ხნის წინათ, კრემლში გამართული შეხვედრისას გერმანიის კანცლერმა **ოლაფ შოლცმა** განაცხადა, რომ არ სჯერა აღმოსავლეთ უკრაინაში გენოციდის შესახებ მონაცემების. ეს ითქვა მაშინ, როცა რუსული მხარე უტყუარ ინფორმაციებს ავრცელებდა მსხვერპლის, წამების, არაადამიანური მოპყრობის და, საზოგადოდ, იმ სისასტიკის თაობაზე, რომელსაც დონეცკსა და ლუგანსკში იჩენდნენ ეთნიკურად რუსი მოსახლეობისადმი. შოლცის ეს განცხადება იყო უდიდესი შეცდომა, რომელმაც მერე და მერე კიდევ უფრო წააქეზა ძალადობა...

**— თუმცა შოლცი არ იყო ერთადერთი, ვინც უნდობლობას უცხადებდა რუსეთის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას. დასავლეთის კოლექტიურ პოზიციას წარმოადგენდა ის, რომ, თურმე, რუსეთი უკრაინაში შეჭრის ხელოვნურ საბაბს ქმნიდა...**

— დასავლეთმა, ცხადია, კარგად იცოდა, რა ხდებოდა აღმოსავლეთ უკრაინაში, მაგრამ მათ ჰქონდათ კონკრეტული ინტერესი. ეს ინტერესი გულისხმობდა იმას, რომ კრიზისი დიპლომატიური გზით არ უნდა განმუხტულიყო და უნდა გადაზრდილიყო ომში. ახლა გადავხედოთ მოვლენების ქრონოლოგიას. რუსეთი თვეების განმავლობაში, თუ წლების არა, ითხოვდა ერთ რამეს: მომხდარიყო შეთანხმება უსაფრთხოების საკითხებზე. გაიხსენეთ ომამდე ცოტა ხნით ადრე ლავროვის მიერ დასავლელი ლიდერებისთვის გაგზავნილი წერილი, რომელშიც საუბარი იყო სწორედ უსაფრთხოების განუყოფლობაზე. ანუ, **კრემლი ითხოვდა იურიდიულ გარანტიას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი არ მიუახლოვდებოდა მის საზღვრებს. მეორე მხრიდან კი ვისმენდით, რომ, თურმე, ყველა სუვერენული სახელმწიფო თვითონ წყვეტს, სად და რომელ კავშირში გაწევრდება...** მსგავს პოლიტიკურ ლირიკას საერთო არაფერი აქვს რეალობასთან. მსოფლიო პოლიტიკური დღის წესრიგი ამ პრინციპით არ განისაზღვრება. ეს ერთი და მეორე — **როცა დასავლეთი მშვიდობასა და დიპლომატიის ალტერნატივობაზე საუბრობდა, პარალელურად, გამალებით აიარაღებდა უკრაინას. მოგეხსენებათ, ომის წინა პერიოდში ბორისპოლის აეროპორტში, — და არა მარტო იქ, — ასეულობით ტონა სამხედრო ტვირთი დაეშვა, ეს თავისთავად აჩენს შეკითხვას — რატომ შეაიარაღეს ქვეყანა ასე სასწრაფოდ, თუ ომი არ სურდათ და მზად იყვნენ სამშვიდობო პროცესისთვის?!** პასუხი მარტივია — **ნატოს სურდა, ბოლო უკრაინელამდე ეომა რუსეთთან, ოღონდ ეომა არა თავის საზღვრებში, არამედ უკრაინის ტერიტორიაზე.** სამწუხაროდ, გამოუვიდათ...

**«როცა დასავლეთი მშვიდობასა და დიპლომატიის ალტერნატივობაზე საუბრობდა, პარალელურად გამალებით აიარაღებდა უკრაინას. მოგეხსენებათ, ომის წინა პერიოდში ბორისპოლის აეროპორტში ასეულობით ტონა სამხედრო ტვირთი დაეშვა, ეს თავისთავად აჩენს შეკითხვას — რატომ შეაიარაღეს ქვეყანა ასე სასწრაფოდ, თუ ომი არ სურდათ და მზად იყვნენ სამშვიდობო პროცესისთვის?!»**

**— დღევანდელ ვითარებაში ომის დასრულების რა გზა არსებობს, რომ ომი დასრულდეს და პროცესმა დიპლომატიურ ასპარეზზე გადაინაცვლოს?**

— საქმე ის არის, რომ დღეს არსებითად სხვა სურათია. ომის დაწყებიდან სამი კვირის თავზე ვხედავთ, რომ ყველაფერი შეიცვალა. პუტინმა არაერთხელ განაცხადა, რომ უკან არ დაიხევს. ეს ნიშნავს, რომ გადადგმულია გადამწყვეტი ნაბიჯი, რომელიც უკვე ქმნის იმ რეალობას, რომ, პროცესი დიპლომატიურ ასპარეზზეც რომ დაბრუნდეს, მოთხოვნები აბსოლუტურად სხვა იქნება...

**— ანუ, რუსეთი უფრო მეტს მოითხოვს უკრაინისგან?**

— რა თქმა უნდა. საერთოდ, რაც მეტია ერთი მხარისგან რისკი და დანაკარგი საკუთარი სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, მით მეტს მოითხოვს დამარცხებულისგან. ამიტომ **ზელენსკის,** რომელსაც ისედაც არავინ ჰპირდებოდა ნატოს წევრობას, უნდა გამოეჩინა მეტი გონიერება და, სანამ ომი დაიწყებოდა, ეფიქრა, რა ვითარებაში მოუწევდა კრემლთან დიალოგი, თუ, საერთოდ მსგავსი რამ იქნება. მინდა, ახლა საქართველოზეც მოკლედ ვთქვა: ცხადია, ყველა ვხვდებით, რომ **არსებობს სერიოზული გამოწვევები ჩვენთვისაც. ეს ეხება როგორც ეკონომიკას, ისე უსაფრთხოებას და მთელ რიგ საკითხებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაიკავა აბსოლუტურად სწორი სახელმწიფოებრივი პოზიცია. სიმართლე გითხრათ, ეს ჩემთვის ცოტა მოულოდნელი იყო, ამიტომ ვისურვებ, რომ ბატონმა ირაკლი ღარიბაშვილმა მომავალშიც ასეთივე პრინციპულობით განაგრძოს ქვეყნის მართვა.** რაც შეეხება იმ პოლიტიკურ მავნებლებს, რომლებიც 24-საათიან რეჟიმში ეწევიან პროპაგანდას, რომ, თურმე, ჩვენთვის რაღაც ახალი შესაძლებლობების ფანჯარა იხსნება და ჩვენ ეს „შესაძლებლობა“ უნდა გამოვიყენოთ. მარტივი და ნათელია მათი ინტერესი — **ამ ხალხს, პირველ რიგში „ნაციონალურ მოძრაობას“ ვგულისხმობ, უნდა, რომ საქართველო პირდაპირ ჩაითრიოს რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირებაში. იმიტომ, რომ ამაში ხედავენ შესაძლებლობას, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელეს ვერც ე.წ. გავრილოვის ღამის პროვოკაციით, ვერც ნიკა მელიას დაპატიმრების გარშემო ატეხილი ამბით და ბოლოს უკვე სააკაშვილის ჩამოყვანით.** ამ ე.წ. ოპოზიციას სურს დესტაბილიზაცია და ქვეყნის თავდაყირა დაყენება... ისინი არიან საქართველოს მტრები და მზად არიან, თავიანთ ვიწროპარტიულ ინტერესს გადააყოლონ ქვეყანა. ჩვენ ახლა გავდივართ ბეწვის ხიდზე და თეორიულადაც კი შეცდომის დაშვების უფლება არ გვაქვს. ეს უნდა ესმოდეს ხელისუფლებას და უნდა ესმოდეს საზოგადოებასაც, თუ არ გვინდა, რომ მავნე ძალებმა იხეირონ და კიდევ ერთხელ ქვეყანა მიიყვანონ სისხლისმღვრელ ომამდე, რომელიც, ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ამ ვითარებაში ნამდვილად იქნება წარმოუდგენელი კატასტროფა ჩვენი ქვეყნისთვის...

**«ამ ხალხს, პირველ რიგში «ნაციონალურ მოძრაობას» ვგულისხმობ, უნდა, რომ საქართველო პირდაპირ ჩაითრიოს რუსეთისა და უკრაინის დაპირისპირებაში. იმიტომ, რომ ამაში ხედავენ შესაძლებლობას, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელეს ვერც ე.წ. გავრილოვის ღამის პროვოკაციით, ვერც ნიკა მელიას დაპატიმრების გარშემო ატეხილი ამბით და ბოლოს უკვე სააკაშვილის ჩამოყვანით»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ჩაკეჩსი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნატოში უმთავრესია მე-5 პუნქტის ამუშავება — ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის... ნატოსა და ევროკავშირს აქვთ ფორმალური ტერმინები — „მაპი“, „კანდიდატი“, „ასპირანტი“ და ა.შ. ეს იმისთვის არის მოგონილი, რომ გართულდეს წევრობა. სიმართლე გითხრათ, უარყოფითად და პესიმისტურად ვარ განწყობილი ყოველივე ამის მიმართ. თუკი დღეს ვინმე უნდა მიეღოთ ნატოში, ეს უკრაინა იყო, მაგრამ არ მიიღეს“.**



სოსო ცინცაძე:

# «ცოტა ხანში რუსეთი საქართველოს მოსთხოვს, ოფიციალურად თქვას უარი ნატოზე. აი, მაშინ ვიკითხავ: რისთვის გამოადგება ჩვენს ქვეყანას «ნატოს არაწევრი მოკავშირის» სტატუსი?»

**„უკრაინისა და საქართველოს გაწევრების მიმართ აშშ-ის ძლიერი და აქტიური მხარდაჭერის გარეშე პუტინი გააგრძელებს უპირატესობის გამოყენებას ევროპაში“, — ნათქვამია აშშ-ის ჰელსინკის კომისიის მიერ პრეზიდენტ ჯო ბაიდენის ადმინისტრაციისადმი გაგზავნილ წერილში. ჰელსინკის კომისია, რომელიც ოფიციალურად ცნობილია, როგორც ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისია, დაარსდა 1976 წელს, როგორც დამოუკიდებელი სამთავრობო სააგენტო. კომისია, რომელსაც სენატორი ბენ კარდინი და კონგრესმენი სტივ კოენი ხელმძღვანელობენ, შედგება აშშ-ის კონგრესის 18 წევრისაგან.**

„ამ კომისიაში გაერთიანებულნი არიან ყოფილი პოლიტიკოსები, ექსპერტები და მოქმედი პოლიტიკოსებიც. გამომდინარე აქედან, ამ მიმართვის სერიოზულობაზე უნდა ვიმსჯელოთ“, — ასე აფასებს პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი **გია ვოლსკი** აშშ-ის ჰელსინკის კომისიის განცხადებას, რომელიც შეერთებული შტატების პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** ადმინისტრაციას მოუწოდებს, უკრაინასა და საქართველოს ნატოს „არაწევრი მთავარი მოკავშირის“ სტატუსი მიანიჭოს. ამასთანავე, წერილის თანახმად, ქვეყნისთვის „მთავარი მოკავშირის“ სტატუსის მინიჭება გამოიწვევს იარაღის გადაცემის, ფინანსური დახმარებისა და ინფორმაციის გაზიარების გაადვილებას. ეს ასევე მხარდაჭერის მძლავრ სიგნალს გაუგზავნის როგორც კიევს, ისე თბილისს.

**„საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე:**

— „ნატოს არაწევრი მოკავშირის“ სტატუსი 16 ქვეყანას აქვს და ეს სტატუსი არაფერს ნიშნავს. ეს შემოიფარგლება წვრთნებითა და საჭირო დროს იარაღის გადაცემით. **ნატოში უმთავრესია მე-5 პუნქტის ამუშავება — ყველა ერთისთვის, ერთი ყველასთვის... ნატოსა და ევროკავშირს აქვთ ფორმალური ტერმინები — „მაპი“, „კანდიდატი“, „ასპირანტი“ და ა.შ. ეს იმისთვის არის მოგონილი, რომ გართულდეს წევრობა. სიმართლე გითხრათ, უარყოფითად და პესიმისტურად ვარ განწყობილი ყოველივე ამის მიმართ. თუკი დღეს ვინმე უნდა მიეღოთ ნატოში, ეს უკრაინა იყო, მაგრამ არ მიიღეს.**

დღეს მთავარია ის, რომ ნატოში ქვეყნის გაწევრების გადაწყვეტილებას გენერლები კი არა, პოლიტიკოსები იღებენ, მაგრამ ევროპაში ძლიერი პოლიტიკოსები არ არიან და ძალიან ცუდ ზოლზე — „პალასაზე“ სხედან.

მსოფლიოს პოლიტიკოსები შეპყრობილნი არიან შიშით, რომ რუსეთის პრეზიდენტი „წითელ ღილაკს“ თითს დააჭერს, მაგრამ არავინ ფიქრობს, რომ ეს არ მოხდება, რომ ეს ასეთი ადვილი პროცესი არ არის. მსოფლიო შანტაჟზეა გადასული, რაც არასერიოზულია, თანაც არაპროფესიონალური...

**უკრაინის მოვლენების შემდეგ, ვფიქრობ, აღარ ღირს, საჯარო განხილვის საგნად იქცეს ჩვენი ქვეყნის საგარეოპოლიტიკური ვექტორის თემა, არ გვყავს აქ განათლებული საზოგადოება. ჩვენ არ გვყავს განათლებული ხელისუფლება, აქ ყველას, სანტექნიკოსსა თუ ფერშალს, პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი ქვია.**

**ჭკუათმყოფელმა ადამიანმა იცის, რომ უკრაინა დასავლეთისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველო, მაგრამ ამ ომსა და გაჭირვებაში უკრაინას ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსიც კი არ მიანიჭა. ვერსალში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს საკითხი არც კი განხილულა, ზრდილობის გამოც კი არ უთქვამთ რაიმე, არც შეიმჩნიეს...**

**— ცდილობს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება და არ გამოსდის. მაშ, რა უნდა ვქნათ?**

— რა უნდა ქნას ქვეყანამ, რომელშიც არ არსებობს მეცნიერება და განათლება, რომელშიც არ არსებობს ჭკვიანი პოლიტიკოსი. საქართველოს არ ჰყავს თუნდაც 6-7-კაციანი გუნდი, რომელიც მიიღებს სწორ და შეუცდომელ გადაწყვეტილებას. ჩვენ არ გვყავს 6-7 ადამიანიც კი ისეთი, რომელსაც საზოგადოება დაუჭერს მხარს. გარდა ამ უბედურებისა, ჩვენი საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა არ იცის, რას ნიშნავს ნატო, რას მოგვიტანს, როგორ შეიცვლება ჩვენი ქვეყნის ცხოვრება და ა.შ. სამწუხაროდ, ისიც არ იციან, რომ ნატო მითია და ეს არასოდეს იქნება. ნატოს თემა ჩვენთვის, ქართველებისთვის, როგორც შტირლიცი იტყოდა, „არის ინფორმაცია განსჯისათვის“. უკრაინის მაგალითზე ჩვენ ბევრი რამ უნდა დაგვენახა და გვესწავლა, მაგრამ ამაოდ...

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე დასავლეთის უმნიშვნელოვანესი მოკავშირე იყო ტაივანი. დღეს ტაივანს ჩინეთიდან საფრთხე ემუქრება და ამერიკელებმა რამდენიმე დღის წინათ ტაივანელებს უთხრეს, — მოემზადეთ ომისათვის, ხომ ხედავთ, უკრაინელები როგორ იბრძვიანო... უკრაინა თითქმის განადგურდა და დასავლეთი ცასაც არ ხურავს, უკრაინა გაწირეს...

**— საქართველოს ხელისუფლების ოპოზიციაში დესტრუქციული ძალები არიან, ხელისუფლებაში არ არიან მცოდნე პოლიტიკოსები, შესაბამისად, ჩვენი ქვეყანა გამუდმებით ბეწვის ხიდზე გადის, ვებრძვით ერთმანეთს და არანაირად არ ვზუნავთ ქვეყანაზე... სად არის გამოსავალი? ნუთუ, სულ ასე უნდა ვიცხოვროთ ნატოსა და ევროკავშირის გადმოგდებული სატყუარებით?**

— უმეცართა ქვეყანაში ასე რომ ხდება და გამოსავალი არ გვაქვს, არ მიკვირს. ქვეყანა, რომელშიც არც ერთი პოლიტიკოსი სახელმწიფოებრივად არ აზროვნებს, კიდევ კარგად ცხოვრობს. ახლა დიდი ამბავია ატეხილი რუსეთის საწინააღმდეგო სანქციებთან შეერთება-არშეერთებაზე, მაგრამ არავინ ამბობს, ვინმე დაჯდა და გადაწყვიტა, რა იქნებოდა უკეთესი ან უარესი — **სანქციებს თუ შევუერთდებოდით, რას წავაგებდით; თუ არ შევუერთდებოდით, რას მოვიგებდით?! — ამაზე პასუხი არავის აქვს. სიმართლე გითხრათ, სულ ფრთხილად ვსაუბრობხოლმე, რომ ქუჩაში გასულს, სიმართლის თქმისთვის თავს არ დამესხან და „რუსეთუმე“ არ მიძახონ...**

გაუნათლებელია ჩვენი ქვეყნის ე.წ. ელიტა, მაგალითად, სხვაგან გაუნათლებელია სოფლებში მცხოვრები ხალხი, მაგრამ ჩვენთან დედაქალაქში მცხოვრები ხალხია გაუნათლებელი. ჩვენი ქვეყნის პარლამენტი შპს-დ იქცა. ასე რომ, სასიკეთოს ამ ქვეყანაში ვერაფერს ვხედავ...

**— ბოლოს და ბოლოს, უნდა გვიხაროდეს თუ არა, რომ „ნატოს არაწევრი მოკავშირეები“ ვიქნებით?**

— შესაძლოა ითქვას, რომ წინგადადგმული არაფრისმომცემი ნაბიჯია, და არავითარ შემთხვევაში — გადამწყვეტი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის...

**— თუკი აქამდე გვაწვდიდნენ პამპერსსა და წყალს, ამის შემდეგ მოგვაწვდიან რას?..**

— მოგვაწვდიან იარაღს და გვეტყვიან: ჩვენ არ ვიომებთ თქვენთვის!

**ნატომ რაც გააკეთა უკრაინისთვის, ვნახეთ, მაგრამ ჩვენ უფრო ადრე ვნახეთ ის, რა გააკეთეს ნატოს წევრი თურქეთისთვის ნატოს წევრმა ქვეყნებმა, როდესაც თურქეთში რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. თურქეთის პრეზიდენტს პირდაპირ უთხრეს უარი დახმარებაზე იმ მიზეზით, რომ რუსეთი მათ ტერიტორიაზე არ შეჭრილა და ამის გამო მის ქვეყანაზე ნატოს მე-5 მუხლი ვერ ამუშავდებოდა. ერდოღანს დიდი ძალისხმევა დასჭირდა რუსეთთან ურთიერთობის მოსაგვარებლად.**

დღემდე შიშით ცხოვრობენ ბალტიისპირეთის ქვეყნები და პოლონეთი. ევროპელები, ამერიკის ძალისხმევით, ომს გადაეჩვივნენ. ევროპელები წუხან იმაზე, რომ ნავთობი ძვირდება, უკრაინა კი საერთოდ არავის აინტერესებს.

ომი დასრულდება და ყველა გაერთიანება — ნატოც, გაეროც და ევროკავშირიც — სხვანაირი გახდება, მათი ფუნქციები შეიცვლება. ფუნქციები, რომლებიც ისედაც დაკარგული აქვთ, განსაკუთრებით ფუნქციადაკარგულია ევროსაბჭო.

**სულ სხვანაირ მსოფლიოში როგორი იქნება საქართველო? — საკითხავი ეს არის.** ჩვენ კარგად ვნახეთ, რომ რუსეთს შეუძლია, ვეტო დაადოს ნებისმიერ გადაწყვეტილებას და ჩააგდოს ნებისმიერი საკითხი; ასევე შეუძლია ამის გაკეთება ამერიკას. საქართველოს მოსაძებნი აქვს სულ სხვა ფორმულა. **მართალია, გვინდა ევროკავშირში, მაგრამ არავინ იცის, ამისთვის რა უნდა გააკეთოს. შესაძლოა, ვერც ვერაფერი გააკეთონ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, დაურეკოთ რომელიმე პარლამენტარს და ჰკითხოთ, რა გვაქვს გასაკეთებელი ევროკავშირში გასაწევრებლად. მაინტერესებს, იციან თუ არა „მაასტრიხტის კონცეფცია“.**

ნატოსა და ვეროკავშირში არასდროს მიგვიღებენ და ამაზე თავსაც არ ვიკლავ... ევროკავშირმა, ბოლო რამდენიმე წელიწადია, ძალიან გაამკაცრა ქვეყნების ინტეგრაცია. მოლაპარაკებები ევროკავშირში წლების განმავლობაში გრძელდება. მაგალითად, თურქეთს, 40 წელიწადია, მოლაპარაკებები აქვს. ასე რომ, საქართველოს არაფრის იმედი არ უნდა ჰქონდეს.

ცოტა ხანში რუსეთი საქართველოს მოსთხოვს, ოფიციალურად ვთქვათ უარი ნატოზე. აი, მაშინ ვიკითხავ: რისთვის გამოადგება ჩვენს ქვეყანას „ნატოს არაწევრი მოკავშირის“ სტატუსი?

**შუა საუკუნეებში ხალხს ატყუებდნენ, — თუ ჭკუით მოიქცევით სამოთხეში მოხვდებითო. ასეა დღეს ნატოში საქართველოს გაწევრების თემაც — არც მაშინ იცოდა ხალხმა, სამოთხე რა იყო და არც ჩვენმა ხალხმა იცის, რა არის ნატო... ნატოში ჩვენი გაწევრება ნიშნავს უარის თქმას დაკარგულ ტერიტორიებზე, რადგან ნატო კონფლიქტებში არ ერევა...**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ჭკუათმყოფელმა ადამიანმა იცის, რომ უკრაინა დასავლეთისთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე საქართველო, მაგრამ ამ ომსა და გაჭირვებაში უკრაინას ევროკავშირმა კანდიდატის სტატუსიც კი არ მიანიჭა. ვერსალში გამართულ შეხვედრაზე საქართველოს საკითხი არც კი განხილულა, ზრდილობის გამოც კი არ უთქვამთ რამე, არც შეიმჩნიეს»**

**«გასული საუკუნის 70-იან წლებამდე დასავლეთის უმნიშვნელოვანესი მოკავშირე იყო ტაივანი. დღეს ტაივანს ჩინეთიდან საფრთხე ემუქრება და ამერიკელებმა რამდენიმე დღის წინათ ტაივანელებს უთხრეს, — მოემზადეთ ომისათვის, ხომ ხედავთ, უკრაინელები როგორ იბრძვიანო... უკრაინა თითქმის განადგურდა და დასავლეთი ცასაც არ ხურავს, უკრაინა გაწირეს...»**

სახიფათო ექსპერიმენტები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბიოლაბორატორიის გახსნა ზარ-ზეიმით აღნიშნა საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ობიექტის მუშაობა საზოგადოებისგან დახურულ ვითარებაში წარიმართა. ლუგარის ლაბორატორია ვანო მერაბიშვილს დაექვემდებარა ჯერ შს მინისტრის, შემდეგ კი პრემიერის რანგში ყოფნისას. გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლამდე ლაბორატორიაში არც ერთი ქართველი მეცნიერი არ შესულა და ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რა კვლევები ტარდებოდა იქ“.**



*გიორგი ირემაძე:*

# ამერიკელები ბიოლოგიური იარაღის დასამზადებლად საექსპერიმენტო ტერიტორიად უკრაინასა და საქართველოს იყენებენ

**რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპიკერმა მარია ზახაროვამ ვაშინგტონი და კიევი უკრაინაში ბიოლოგიურ და ქიმიურ იარაღზე მუშაობაში დაადანაშაულა. ზახაროვას თქმით, რუსმა სამხედროებმა 24 თებერვალს გაანადგურეს „უკრაინულ ლაბორატორიებში ბიოლოგიური იარაღისთვის საჭირო კომპონენტები“. ამასთანავე, რუსეთის საგარეო უწყების სპიკერმა კიდევ ერთხელ ახსენა საქართველოში მდებარე ლუგარის ბიოლაბორატორია.**

„ამაზე 2020 წელსაც ვსაუბრობდით, პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის სამხედრო-ბიოლოგიურ აქტიურობაზე შეშფოთებას გამოვთქვამდით. უამრავ განცხადებას ვაკეთებდით საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში მოქმედ ბიოლაბორატორიებზე. შეკითხვების დიდი ნაწილი დაკავშირებული იყო აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს აშენებულ ლუგარის სახელობის კვლევითი ცენტრის საქმიანობაზე, საუბარი ეხება უშუალოდ საქართველოს. იქ იმართებოდა აშშ-ისა და საქართველოს სახმელეთო ძალების სამედიცინო კვლევები“, — თქვა ზახაროვამ.

ზახაროვას გამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა იგორ კირილოვმა განაცხადა, რომ „ღორის ე.წ. აფრიკული ჭირი, რომელიც 2007 წლიდან აქტიურად ცირკულირებს, საქართველოში არსებულ ლაბორატორიაშია გამოყვანილი“.

„ვთვლით, რომ ეს შტამი, რომელსაც მომეტებული კონტაგიოზურობა ახასიათებს, პენტაგონს დაქვემდებარებულ ქართულ ლაბორატორიაშია კონსტრუირებული. მისმა გავრცელებამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზარალი მოუტანა მთელ რიგ სახელმწიფოებს, უკრაინისა და პოლონეთის ჩათვლით, რომლებიც ღორის ხორცის ექსპორტიორთა რიგებიდან ამოიშალნენ“ — ირწმუნება რუსეთის შეიარაღებული ძალების რადიაციული, ქიმიური და ბიოლოგიური დაცვის ჯარების ხელმძღვანელი, გენერალ-ლეიტენანტი იგორ კირილოვი.

რუსეთი საქართველოსგან მოითხოვს, ქონდეს ლუგარის ლაბორატორიაში ვიზიტის და ყველა შენობასა და დოკუმენტზე წვდომის უფლება. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 2020 წლის 28 მაისს გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მოითხოვა ლუგარის ლაბორატორიაში ვიზიტისა და ყველა შენობასა და დოკუმენტზე წვდომის უფლება.

**ამოიღებს თუ არა რუსეთი სამიზნეში საქართველოს ლუგარის ლაბორატორიის გამო? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება „საქართველოს ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ირემაძე:**

— მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, რასთან გვაქვს საქმე, განვმარტავ, როდის დაიწყო ლუგარის ლაბორატორიის აშენების იდეა. ოფიციალური ინფორმაციით, რომელიც ქართულ მედიაში გავრცელდა, საქართველოსა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროებს შორის 2003 წელს გაფორმდა შეთანხმება „ტექნოლოგიისა და პათოგენების სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც დაკავშირებულია ბიოლოგიური იარაღის განვითარებასა და ამ სფეროში ინფორმაციის გაუვრცელებლობასთან“. შემდგომში მან განსაზღვრა ორ ქვეყანას შორის ამ სფეროში თანამშრომლობა და 2011 წელს თბილისის საერთაშორისო აეროპორტთან ახლოს შეიქმნა საზოგადოებრივი ჯანდაცვის კვლევითი ცენტრი. აღნიშნული ცენტრის ასაშენებლად ამერიკულმა მხარემ, სხვადასხვა ინფორმაციით, 350 მილიონი დოლარი დახარჯა. ცენტრს ეწოდა ამერიკელი რესპუბლიკელი სენატორის — **რიჩარდ ლუგარის** სახელი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მის შექმნაში. **ბიოლაბორატორიის გახსნა ზარ-ზეიმით აღნიშნა საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და ობიექტის მუშაობა საზოგადოებისგან დახურულ ვითარებაში წარიმართა. ლუგარის ლაბორატორია ვანო მერაბიშვილს დაექვემდებარა ჯერ შს მინისტრის, შემდეგ კი პრემიერის რანგში ყოფნისას. გავრცელებული ინფორმაციით, 2013 წლამდე ლაბორატორიაში არც ერთი ქართველი მეცნიერი არ შესულა და ფართო საზოგადოებისთვის დღემდე უცნობია, რა კვლევები ტარდებოდა იქ.**

2012 წლის ბოლოს, როდესაც ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა, დღის წესრიგში დადგა ლუგარის ლაბორატორიის დახურვის საკითხი, მაგრამ 2013 წლის 7 მაისს საქართველოს მთავრობის №422-ე განკარგულებით, რიჩარდ ლუგარის სახელობის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი დაიხურა, მისი ქონება კი გადაეცა ლევან საყვარელიძის სახელობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, რომელიც საქართველოს ჯანდაცვის, შრომისა და სოციალური საქმეების სამინისტროში ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა. ეს არის ოფიციალური ინფორმაცია.

**დიდი ხანია, ვიკვლევ ლუგარის ლაბორატორიის საკითხს, არაერთი სტატია და ინტერვიუ მივუძღვენი მას და 2018 წელს დოკუმენტური ფილმიც გადავიღე, რომელშიც დეტალურად არის ნაჩვენები, რა ხიფათის შემცველია საქართველოსთვის აშშ-ის მიერ გაკონტროლებული ბიოლაბორატორია. ფილმში მონაწილეობა მიიღო ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა, რომელმაც დეტალურად ისაუბრა, რომ ამერიკელები ლუგარის ლაბორატორიაში საიდუმლოდ აწარმოებენ სახიფათო ვირუსებს ბიოლოგიური იარაღისთვის.**

**— დღეს, როდესაც რუსეთსა და უკრაინას შორის ომი მიმდინარეობს, საქართველო, ასე ვთქვათ, ერთ-ერთ სამიზნედ იქცა და ეს მოხდა ლუგარის ლაბორატორიის გამო. რუსეთის მაღალჩინოსნები საქართველოსა და უკრაინაში მოქმედ ბიოლაბორატორიებს ახსენებენ, თუმცა მსგავსი ლაბორატორია სომხეთშიც არის... რატომ მაინცდამაინც ჩვენ?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ უკრაინაში მიმდინარე რუსეთის სამხედრო სპეცოპერაციის ფონზე საქართველო სამიზნედ იქცა. მე ასე არ შევაფასებ. თქვენ, ალბათ, გულისხმობთ რუსი გენერლის, **იგორ კირილოვის,** განცხადებას, რომ 2007 წელს პენტაგონის კურატორობით საქართველოში მოქმედ ამერიკულ ბიოლაბორატორიაში შექმნეს ცნობილი ვირუსი „ღორის აფრიკული ჭირი“, რომელმაც დააზარალა უკრაინაც და რუსეთიც. არ მგონია, რომ ამ განცხადების შემდეგ, როგორც თქვენ თქვით, „სამიზნედ ვიქცეთ“, ეს რეალობისგან შორსაა. იგორ კირილოვი იმ ბრიფინგზე, ძირითადად, საუბრობდა უკრაინაზე. მისი თქმით, ამერიკელები უკრაინას იყენებენ, როგორც ვირუსებისა და ბიოლოგიური იარაღის წარმოების ობიექტს, ანუ ძირითადი თემა იყო უკრაინა და არა საქართველო.

რაც შეეხება იმას, რატომ იყო ნახსენები საქართველო და არა სომხეთი, სადაც ასევე არსებობს ამერიკული ბიოლაბორატორია, როგორც ვიცი, ლუგარის ლაბორატორია არის კავკასიის რეგიონში ამერიკელების ცენტრალური ბიოლაბორატორია, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში ამერიკელების მიერ აშენებული ბიოლაბორატორიები ლუგარის ლაბორატორიის ფილიალებია. სხვადასხვა ინფორმაციით, აღნიშნული ლაბორატორიების ქსელის ცენტრი საქართველოშია და, ალბათ, ამიტომ უფრო ხშირად საქართველოზე კეთდება აქცენტი, მაგრამ რუსულ მედიაში ოფიციალური პირები არც ისე იშვიათად საუბრობენ სომხეთში არსებულ ამერიკულ ბიოლაბორატორიებზეც.

**— ქართულ ბიოლაბორატორიაზე ისაუბრა მარია ზახაროვამაც... რუსეთის მხარე ამბობს, რომ საქართველოში არსებულ ლაბორატორიაში ბევრი სახიფათო ვირუსი შეიქმნა. შეეფერება ეს სიმართლეს? შესაძლებელია თუ არა ჩვენს ლაბორატორიაში ამის გაკეთება?**

— გასაგებია, რატომ არის საფრთხეებზე ხაზგასმა რუსეთის მხრიდან. მათ კარგად იციან, რომ **ამერიკელები, დიდი ხანია, აშენებენ ბიოლაბორატორიებს რუსეთის საზღვრის გასწვრივ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და იქ მიმდინარეობს ვირუსებზე მუშაობა, ანუ, ფაქტობრივად, ბიოლოგიური იარაღის წარმოება. ასეთი მონაცემები აქვთ რუსებს და, ალბათ, უსაფუძვლო არ არის მათი შეშფოთება, რადგან რუსეთის გარეთაც ბევრი საუბრობს ანალოგიურ ფაქტებზე. მაგალითად, ევროპაში უამრავი დოკუმენტური ფილმია გადაღებული, რომლებშიც დაწვრილებით არის აღწერილი ამერიკელების საქმიანობა ბიოლაბორატორიების მიმართულებით.** ამ თემაზე ჩემს ფილმში ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა ისაუბრა. ის საკმაოდ კომპეტენტური ჟურნალისტია და ცნობილი ამერიკული გამოცემის — „ვეტერანს თუდეის“ ქართულ ფილიალს ხელმძღვანელობს.

გარდა ამისა, ამერიკელი ოფიციალური პირებიც კი დაუფარავად საუბრობენ ამ საკითხზე. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **ვიქტორია ნულანდმა** დაადასტურა, რომ უკრაინაში ამერიკელებს აქვთ ბიოლოგიური კვლევის ობიექტები. უნდა აღინიშნოს, რომ ლუგარის მსგავსი ბიოლაბორატორიები, როგორიც საქართველოსა და უკრაინაშია, აკრძალულია აშშ-ში, რადგან არსებობს საერთაშორისო შეთანხმება, რომლის მიხედვით აკრძალულია ვირუსებზე სახიფათო ექსპერიმენტების ჩატარება. ამერიკელები კი უკრაინასა და საქართველოს იყენებენ საექსპერიმენტო ტერიტორიად ბიოლოგიური იარაღის დასამზადებლად, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ზუსტად ამ ფაქტორების გამო მოსკოვიდან კეთდება მსგავსი განცხადებები და ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია.

როდესაც სახელმწიფოს მეზობელი სახელმწიფოსგან ემუქრება საფრთხე, ამ შემთხვევაში ბიოლოგიური, რომელიც მესამე ქვეყნის მიერ არის პროვოცირებული, რასაკვირველია, სახიფათოა. საქართველომ არ უნდა გამოაყენებინოს ჩვენი ტერიტორია აშშ-ს იმისთვის, რომ აქ აწარმოოს ბიოლოგიური იარაღი სახიფათო ვირუსების სახით. საქართველოს დღევანდელ მთავრობას მართებული პოზიცია უკავია იმ გაგებით, რომ არ შეუერთდა ანტირუსულ სანქციებს. ეს, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნის ინტერესებშია. მადლობა ღმერთს, რომ არ ვერევით უკრაინის პროცესებში, მაგრამ ლუგარის ლაბორატორიის საკითხი სერიოზული თემაა და, თუ დღეს იქ მართლაც მიმდინარეობს სახიფათო ექსპერიმენტები ვირუსებზე, აუცილებელია, გაკონტროლდეს და აღიკვეთოს მსგავსი საქმიანობა.

**— როგორც ცნობილია, რუსეთი უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყებას, სხვა მიზეზებთან ერთად, იქ არსებული ამერიკული ბიოლაბორატორიების მუშაობასაც უკავშირებს...**

— როგორც ოფიციალურად არის ცნობილი, რუსეთის მიერ უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყების მთავარი მიზეზი იყო კიევის მიერ გადადგმული ნაბიჯები ბირთვული იარაღის წარმოებისა და მისი შესაძლო გამოყენებისკენ, ასევე, ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უკრაინაში მოქმედი რადიკალური სამხედრო დაჯგუფებები გეგმავდნენ ატომური ელექტროსადგურების აფეთქებას. ზუსტად ამიტომ რუსებმა სპეცოპერაციის დაწყებისთანავე დაიკავეს ჩერნობილის ატომური სადგური. ამასთანავე, **ერთ-ერთი მიზეზი სპეცოპერაციის დაწყებისა იყო ის, რომ უკრაინის მხარე ბოლო თვეების განმავლობაში ბომბავდა დონბასსა და ლუგანსკს, შემდეგ კი როსტოვის ოლქსაც დაარტყა, რაც თავისთავად უკრაინის მხრიდან რუსეთზე თავდასხმაა. ზუსტად ამ ფაქტორების ერთობლიობამ გამოიწვია სამხედრო სპეცოპერაცია უკრაინაში.**

ერთ-ერთი ფაქტორი უკრაინაში არსებული ამერიკული ბიოლაბორატორიების არსებობაც იყო, რადგან აშშ მათ იყენებს, როგორც ბიოლოგიურ იარაღს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ლუგარის ლაბორატორია საქართველოს ხელისუფლებამ უნდა აიყვანოს კონტროლზე და არ დაუშვას, რომ იქ ამერიკელებმა სახიფათო ექსპერიმენტები აწარმოონ და საფრთხე შეუქმნან რეგიონს. ეს დაუშვებელია. ვიმედოვნებ, რომ ხელისუფლება აკეთებს ყველაფერს რისკების აღმოსაფხვრელად.

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«ლუგარის ლაბორატორია არის კავკასიის რეგიონში ამერიკელების ცენტრალური ბიოლაბორატორია, ხოლო სომხეთსა და აზერბაიჯანში ამერიკელების მიერ აშენებული ბიოლაბორატორიები ლუგარის ლაბორატორიის ფილიალებია. სხვადასხვა ინფორმაციით, აღნიშნული ლაბორატორიების ქსელის ცენტრი საქართველოშია»**

«მარტოკამ უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუსები და უკრაინელები კი არ ხოცავენ ერთმანეთს, ისინი ერთად ებრძვიან ამერიკელების მიერ უკრაინის ხელისუფლებაში მოყვანილ ნეონაცისტურ რეჟიმს, კოლექტიური დასავლეთი კი მისი უმდიდრესი და უმძლავრესი მედიასაშუალებებით ცდილობს, ეს მოვლენა რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიად წარმოაჩინოს.**



# რის მიღწევა სურს დასავლეთს?

## მსოფლიოს ხსნა რუსეთის გამარჯვებაშია

### ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეცხრე გამოშვება

**რუბრიკას, რომელიც 2022 წელს „საქართველო და მსოფლიოს“ გვერდებზე უკვე დაწერილსა და მომავალში დასაწერ პუბლიცისტურ წერილებს გააერთიანებს, შემთხვევით ან ლიტერატურული კეკლუცობის გამო კი არ ვუწოდე „მარტოკამ უნდა ვიომო“, რომელიც ვაჟა-ფშაველას გენიალური „სტუმარ-მასპინძლიდან“ ავიღე, რეალობაა ასეთი — მარტო ვარ ამ ბრძოლაში. ეს აბსოლუტური მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. ამ შემთხვევაში „მარტო“ არ ნიშნავს იმას, რომ სხვა არავინ ფიქრობს ასე ან სხვა არავინ წერს და ლაპარაკობს ისე, როგორც მე. არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც გაბატონებული იდეოლოგიის საწინააღმდეგოდ აზროვნებენ და ამ ნააზრევის საზოგადოებამდე მიტანასაც ახერხებენ (მადლობა იმ ორიოდე საინფორმაციო საშუალებას, სადაც ეს მეტ-ნაკლებად დასაშვებია), მაგრამ განსხვავებულად მოფიქრალი ადამიანები, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყველა ერთად ვართ მარტო.**




საქართველოში, სადაც ოცდაათ წელიწადზე მეტია, გაბატონებულია დასავლური „დემოკრატია“ (ფაშიზმი), თითოოროლა მართლისმთქმელნი ჯერჯერობით ამგვარი ხვედრისთვის ვართ განწირული, რადგან ჩვენ წინააღმდეგ ამოქმედებულია სიცრუის უზარმაზარი მანქანა, დასავლური პროპაგანდის მონსტრი, გულუხვად დაფინანსებული სულელებისა და გარეწრების მთელი არმია (ჟურნალისტები, პოლიტიკოსები, არასამთავრობო ორგანიზაციები), რომლებიც საკუთარი სიბრიყვისა და სიხარბის მონებად ქცეულან და ოცდაოთხი საათის განმავლობაში იმ „შპარგალკებიდან“ დაზუთხულ ტექსტებს როშავენ, დასავლეთიდან რომ იღებენ დასაზეპირებლად და სამოქმედოდ.

**უკრაინის მოვლენები ავიღოთ — სად არის სიმართლე და სად სიცრუე?**

შორიდან უნდა დავიწყოთ. რას წარმოადგენდა საბჭოთა უკრაინა? **რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოშობილი უკრაინა, რომელიც ფეოდალური დაქუცმაცებისა და ჩამორჩენილობის, სიდუხჭირისა და განუვითარებლობის კონკრეტული მაგალითი იყო, 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ დაძრული ისტორიული პროცესების შედეგად, 1922 წელს საბჭოთა კავშირის დამფუძნებელ ერთ-ერთ სახელმწიფოდ მოგვევლინა.** ეს მოვლენა დაედო საფუძვლად უკრაინის გაერთიანება-გაფართოებასა და ევროპის კონტინენტზე ერთ-ერთ უდიდეს რესპუბლიკად მის ჩამოყალიბებას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. აქედან იღებს სათავეს უკრაინის რევოლუციური განვითარება ყველა მიმართულებით. ფეოდალურ წყვდიადში ჩაძირულმა ქვეყანამ არამხოლოდ ახალი ტერიტორიები მიიერთა, ერთბაშად ისეთი ინდუსტრიული, სამრეწველო და კულტურული ნახტომი გააკეთა, რომ მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს გაუსწრო. **დასავლურ ფაშიზმთან სამამულო ომმა უკრაინას უდიდესი ზიანი მიაყენა, ვინაიდან პირველი დარტყმა სწორედ მან მიიღო. ომს ყოველი მეხუთე უკრაინელის სიცოცხლე ემსხვერპლა, მაგრამ უკრაინა ფაშისტური ჭირისგან განთავისუფლდა. ამ ჯოჯოხეთურ ბატალიებში მოსახლეობის მიერ გამოვლენილი არნახული სიმამაცისა და თავგანწირვისთვის კიევს, ქერჩს, სევასტოპოლს, ოდესას გმირი ქალაქები ეწოდათ.** უკრაინაში (ისევე, როგორც მთელ საბჭოთა კავშირში) დიდი სამამულო ომის შედეგად დანგრეული და განადგურებული ქალაქების, სამრეწველო პოტენციალისა და ინფრასტრუქტურის აღდგენითი სამუშაოები დაიწყო. ომის დამთავრებიდან ხუთ წელწადში საბჭოთა კავშირისთვის მიყენებული მატერიალური ზარალი მთლიანად იქნა ლიკვიდირებული და ქვეყანამ ომამდელ მონაცემებს ყველა მიმართულებით გაუსწრო. ამ არნახული წარმატების ერთ-ერთი შემოქმედი, რა თქმა უნდა, უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაც იყო. **მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სტალინის დიდი მონდომებისა და ძალისხმევის შედეგად, საბჭოთა კავშირთან ერთად, გაეროს დამფუძნებელ სახელმწიფოთა შორის უკრაინა და ბელორუსიაც აღმოჩნდნენ.** იალტის (1945 წ.) საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღეს ევროპის გათავისუფლების დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო შემდეგი: „ვროპაში წესრიგის აღდგენა და ეროვნულ-სოციალური მოწყობა იმ გზით უნდა განხორციელდეს, რომელიც გათავისუფლებულ ხალხებს საშუალებას მისცემს, რომ ნაციზმისა და ფაშიზმის ყოველგვარი კვალი აღმოფხვრან და შექმნან დემოკრატიული განვითარების პირობები მათი შეხედულებების შესაბამისად“. მოვლენები მართლაც ასე წარიმართა. **უკრაინა, რომელიც მეოცე საუკუნის 20-იანი წლებისთვის სრულიად ჩამორჩენილი და განუვითარებელი იყო, ოცდაათ წელიწადში ატომურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. ასეთია უკრაინის განვითარების მაგისტრალური ხაზი მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ოთხმოციანი წლების ბოლომდე, ანუ საბჭოთა კავშირის არსებობის დასრულებამდე. დღეს კი ეს სახელმწიფო კვლავ ნაცისტურ-ფაშისტური რეჟიმის ქვეშ გმინავს.** უკრაინის ეს უბედურება იმ სამარცხვინო ფაქტიდან იღებს სათავეს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლის სრულიად უკანონო, არაკონსტიტუციურ და არასამართლებრივ პროცესში თვითონაც მონაწილეობდა. **„დოკუმენტს“, რომლის მიხედვითაც საბჭოთა კავშირი დაშლილად გამოცხადდა, ხელი სამმა სახელმწიფო დამნაშავემ მოაწერა — ბორის ელცინმა (რუსეთი), ლეონიდ კრავჩუკმა (უკრაინა), სტანისლავ შუშკევიჩმა (ბელორუსია). ამ უკანონო გადაწყვეტილების შემდეგ, ნაცვლად იმისა, რომ ეს დამნაშავე პირები დაეპატიმრებინა, მეოთხე მთავარი დამნაშავე მიხეილ გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა, რითაც ე.წ. ბელოვეჟის აქტს ერთგვარი პოლიტიკური ლეგიტიმაცია შესძინა და საბჭოთა კავშირი დასაშლელად გაიმეტა. ახდა ამერიკელთა საუკუნოვანი ოცნება, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მათი სათარეშო და საძარცვ ასპარეზად იქცა.** აქედან იღებს სათავეს მთელი ის უბედურება, რომლებიც ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში დატრიალდა და დღეს უკრაინაშიც ხდება.

დავსვათ ყველაზე მტკივნეული, მაგრამ, ამასთანავე, არსებითი შეკითხვა: **რა მიიღო უკრაინამ აქედან?** ყოველმხრივ **აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკისგან, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო და სახელოვნებო სკოლები, არნახული საინჟინრო მიღწევები, უმდიდრესი ეკონომიკა, ბირთვული და კოსმოსური პოტენციალი, აღარაფერი დარჩა, გარდა ამერიკელთა ხელში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმისა.** რატომ მოხდა ასე? პასუხი ერთადერთია: **უკრაინის ხელისუფლებაში ამერიკელებმა სხვადასხვა დროს ისევე მოახერხეს თავიანთი აგენტურის მოყვანა, როგორც ეს ოდესღაც საბჭოთა კავშირში გააკეთეს. ლეონიდ კრავჩუკის მმართველობა ლეონიდ კუჩმას მმართველობამ შეცვალა, რომელიც ისეთივე მედასავლეთე იყო, როგორიც მისი წინამორბედი.** მათი მმართველობა, ჯამში, 2004 წლამდე გაგრძელდა. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნები უკრაინაში მძიმე აღმოჩნდა ამერიკული პოლიტიკისთვის, ვინაიდან უკრაინელ ხალხში, რომელმაც უკვე იწვნია ამერიკული მმართველობის ყველა „სიკეთე“, სრულიად განსხვავებული საგარეო ორიენტაცია მომწიფდა. ამერიკული კურსის გამტარებელ **ვიქტორ იუშჩენკოსთან დაძაბულ ბრძოლაში (მეორე ტურში) გამარჯვება ვიქტორ იანუკოვიჩმა მოიპოვა, რომელიც რუსული ორიენტაციის პოლიტიკოსად იყო აღიარებული, მაგრამ აქ ამუშავდა პოლიტიკურ და საარჩევნო მაქინაციათა ამერიკული მანქანა. ჩაირთო სახელმწიფო გადატრიალების ამერიკული მექანიზმი, რომელიც მსოფლიოში ფერადი რევოლუციის სახელითაა ცნობილი. ამერიკელებმა იძალადეს და თავისი გაიტანეს. პროამერიკელი იუშჩენკო პრეზიდენტად გამოცხადდა და შემდეგ უკრაინა ნელ-ნელა გადაიქცა აშშ-ის უკანა ეზოდ.** 2010 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში იანუკოვიჩმა მაინც მიაღწია გამარჯვებას, მაგრამ 2014 წელს ამერიკელებმა უკრაინაში ახალი ფერადი რევოლუცია წამოიწყეს, რომელიც სულ მალე სისხლიან სახელმწიფო გადატრიალებაში გადა- ▶

**აყვავებული საბჭოთა რესპუბლიკისგან, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო და სახელოვნებო სკოლები, არნახული საინჟინრო მიღწევები, უმდიდრესი ეკონომიკა, ბირთვული და კოსმოსური პოტენციალი, აღარაფერი დარჩა, გარდა ამერიკელთა ხელში რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის პლაცდარმისა**

## 2014 წლის სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ უკრაინაში საბოლოოდ დამკვიდრდა ამერიკული „დემოკრატია", რომელმაც ჯერ პრეზიდენტ პოროშენკოს, შემდეგ პრეზიდენტ ზელენსკის ხელით დონბასის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსი ეროვნების მოსახლეობას ნამდვილი გენოციდი მოუწყო და რვა წელიწადში 15 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქის (მათ შორის ბავშვების, ქალების, მოხუცების) სიცოცხლე გაანადგურა.

«მარტოკამ უნდა ვითმო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ იზარდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე **ვიქტორია ნულანდმა** განაცხადა: **„1991 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და უკრაინა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა, ხუთი მილიარდი დოლარი ჩავდეთ, რომელიც დაიხარჯა უკრაინელი ხალხის იმ მისწრაფების მისაღწევად, რომ ჰყავდეს ძლიერი და დემოკრატიული ხელისუფლება". ძლიერი და დემოკრატიული სახელმწიფო ამერიკელთა გაგებით ამერიკის დირექტივების შემსრულებელ ხელისუფლებას რომ ნიშნავს, მოგეხსენებათ.** მოკლედ, 2014 წლის სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ უკრაინაში საბოლოოდ დამკვიდრდა ამერიკული „დემოკრატია", რომელმაც ჯერ პრეზიდენტ **პოროშენკოს,** შემდეგ პრეზიდენტ **ზელენსკის** ხელით დონბასის ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსი ეროვნების მოსახლეობას ნამდვილი გენოციდი მოუწყო და რვა წელიწადში 15 ათასამდე მშვიდობიანი მოქალაქის (მათ შორის ბავშვების, ქალების, მოხუცების) სიცოცხლე გაანადგურა. ეს საკითხის ერთი მხარეა. მეორე მხარე კი ისაა, რომ **უკრაინა აშშ-ის ნამდვილ სამხედრო პლაცდარმად აქციეს და ნატოს წევრად მიღების პერსპექტივაც შეუქმნეს. იმ ფონზე, როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოები და ბალტიისპირეთის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები უკვე ნატოს წევრები არიან, უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვის მიღება ნატოს წევრად სხვა არაფერია, ნატოს ალყაში რუსეთის მოქცევის გარდა,** ეს მის უსაფრთხოებას ისე დააზიანებს, რომ ადვილად მოწყვლადი გახდება. ამერიკელები და ევროპელები ამ, არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ მსოფლიოსთვის, სახიფათო ვითარების შექმნას იმით ამართლებენ, რომ ნებისმიერ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკუთარი უსაფრთხოების გარანტიის მისაღებად იმ სამხედრო ბლოკის წევრობის უფლება, რომელსაც თვითონ აირჩევს. ეუთოს დოკუმენტებში მართლაც არსებობს ასეთი ჩანაწერი, მაგრამ, ჯერ ერთი, ამერიკელებს ამა თუ იმ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების ან ე.წ. ფერადი რევოლუციის გზით ჯერ თავიანთი ხელისუფლება მოჰყავთ და ხალხს მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებინებენ „არჩევანს", მეორეც — **ეუთოს იმ დოკუმენტში, რომელშიც სახელმწიფოთა მიერ უსაფრთხოების გარანტიების არჩევანზეა საუბარი, ისიც არის ნათქვამი, რომ ამა თუ იმ ქვეყნის მიერ გაკეთებული ეს არჩევანი საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს სხვა სახელმწიფოებს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს მიერ ამერიკელების დაჟინებული მოთხოვნით გაკეთებული „არჩევანი" კი, როგორც უკვე ვთქვი, ანგრევს რუსეთის უსაფრთხოების სისტემას.** რა დიდი მიხვედრა უნდა იმას, რომ ეს არის აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის მიერ რუსეთისთვის გამოცხადებული ომი, დღისით-მზისით, თავხედურად დაგებული მახე, რომელმაც, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან სერიოზული პროტესტი გამოიწვია. **დასავლეთმა არათუ გაითვალისწინა რუსეთის აბსოლუტურად სამართლიანი პროტესტი, პირიქით, ამ პროტესტის პასუხად უკრაინის გამალებულ შეიარაღებასა და გონიერებასთან მწყრალად მყოფი მისი ხელისუფლების რუსეთის წინააღმდეგ წაქეზებას მიჰყო ხელი. პროტესტის უგულებელყოფასა და იგნორირებას, როგორც მოსალოდნელი იყო, რუსეთის მხრიდან კონკრეტული ქმედებები მოჰყვა, რაც უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო სპეციალურ ოპერაციაში გამოიხატა, რომლის მიზანსაც, დონბასის მოსახლეობის დაცვასთან ერთად, უკრაინის სრული დემილიტარიზაცია და დენაციფიკაცია წარმოადგენს.** აი, ეს არის არსი იმ მოვლენისა, რომელიც უკრაინაში იხარშება.

ამერიკელებმა და კოლექტიურმა დასავლეთმა უკრაინაში შექმნეს სიტუაცია, როდესაც რუსეთს უკან დასახევი აღარ რჩება. ჩნდება შეკითხვა — **რის მიღწევა სურს დასავლეთს?** ამ საკმაოდ რთულ შეკითხვაზე პასუხის გაცემაში აშშ-ის 33-ე პრეზიდენტის, **ჰარი ტრუმენის,** ერთი ცნობილი წინადადება დაგვეხმარება, რომელიც 1945 წელს, ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას ითქვა: **„ჩვენ თუ დავინახავთ, რომ ომს გერმანელები იგებენ, რუსეთს უნდა დავეხმაროთ; თუ დავინახავთ, რომ რუსეთი იმარჯვებს, გერმანიას უნდა დავეხმაროთ. მათ, რაც შეიძლება მეტად უნდა ხოცონ ერთმანეთი". ეს დანარჩენ ხალხებთან და სახელმწიფოებთან ამერიკელთა დამოკიდებულების უნივერსალური ამორალური ფორმულაა, რომელიც დღემდე მოქმედებს. ამ ნათქვამის თანამედროვე პერიფრაზი ასეთი იქნება: „რუსებმა და უკრაინელებმა (საერთოდ, სლავებმა) უნდა ხოცონ ერთმანეთი, რათა ისინი ისე დასუსტდნენ, რომ ჩვენთან წინააღმდეგობის თავი არ ექნეთ".** მორალთან ეს ისეთივე შეუთავსებელია, როგორიც პრეზიდენტ ტრუმენის მიერ 77 წლის წინათ ნათქვამი, მაგრამ, რაც შეეხება ამერიკელთა პოლიტიკურ და სამხედრო გათვლას, აქ სერიოზული შეცდომებია დაშვებული. ამ შემთხვევაში **რუსები და უკრაინელები კი არ ხოცავენ ერთმანეთს, ისინი ერთად ებრძვიან ამერიკელების მიერ უკრაინის ხელისუფლებაში მოყვანილ ნეონაცისტურ რეჟიმს, კოლექტიური დასავლეთი კი მისი უმდიდრესი და უმძლავრესი მედიასაშუალებებით ცდილობს, ეს მოვლენა რუსეთის მხრიდან უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ აგრესიად წარმოაჩინოს.** გათვლა იმის გამოც არ არის ზუსტი, რომ ეს ოპერაცია რუსეთს ვერ დაასუსტებს, **ზიანი მხოლოდ ამერიკელთა დასაყრდენ ბინძურ ძალას — ნაცისტურ ხუნტას მიადგება, რომელიც უკრაინელ ხალხს ჰუმანიტარულ დერეფანსაც კი არ უხსნის, რათა იგი ცოცხალ ფარად გამოიყენოს და საზარბაზნე ხორცად აქციოს. ამერიკელები და ევროპელები უკრაინელ ნაცისტებს შეიარაღებას აწვდიან, რითაც ღუპავენ მათ, რადგან, რაც უფრო დიდხანს გასტანს დაპირისპირება, მით მეტი იქნება**

# ახლა ასე გაძლიერებულ რუსულ არმიასთან ომი მით უფრო ვერ უნდა გაბედონ, თუმცა იარაღის გაუთავებელ ჟღარუნსა და ნატოს რაკეტების აქეთ-იქით თრევაში შესაძლებელია, ისეთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვან, რომ მსოფლიო დაღუპონ. მოვლენათა სწორედ ამგვარი განვითარება ჰქონდა მხედველობაში პუტინს, როდესაც შემაძრწუნებელ განმარტებას აკეთებდა: «ასეთ შემთხვევაში ჩვენ სამოთხეში მოვხვდებით, ისინი კი ჩაძაღლდებიან»



**ნგრევაც და მსხვერპლიც.**

უკრაინელ ფაშისტებს ეს ვერ მოუტანს საბოლოო გამარჯვებას. რამდენიც უნდა მოინდომონ ამერიკელებმა (თუკი ისინი უშუალოდ საომარ მოქმედებებში არ ჩაერთვებიან, რაც სრულიად სხვა მასშტაბის მოვლენა იქნება და მსოფლიო კატასტროფას გამოიწვევს), ეს ოპერაცია რუსეთის წარმატებითა და უკრაინელი ხალხის გათავისუფლებით დასრულდება და ამერიკელთა მსოფლიო ჰეგემონიას საბოლოოდ დაუსვამს წერტილს.

**რუსეთმა რუბიკონი გადალახა. მან მსოფლიოს დაანახვა, რომ საკუთარი მოსახლეობის უსაფრთხოებისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დასაცავად გლობალურ ომზეც არ დაიხევს უკან, თუკი ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე აღმოჩნდება.** ამას ნიშნავდა პუტინის ცნობილი ნათქვამი, რომელმაც პლანეტას ელექტრონივით დაუარა: **„რად გვინდა ისეთი მსოფლიო, რომელშიც რუსეთი არ იქნება?!"** აი, აქ ჩნდება ძალიან დიდი და საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე კითხვის ნიშანი. **მსოფლიოს უბინძურესი ძალები (უოლ-სტრიტის განგსტერები — კონსტანტინე გამსახურდია), რომლებიც აშშ-ს, კოლექტიურ დასავლეთს და ნატოს გლობალურად აკონტროლებენ, როდესაც ნახავენ, რომ რუსეთს უკრაინული პროვოკაციით ვერ ამარცხებენ, პირიქით, იგი ძლიერდება ევროპასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში, გაბედავენ თუ არა მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას?** ეს ის საბედისწერო კითხვის ნიშანია, რომელიც, ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, სირაკუზის მმართველ **დამოკლეს** თავზე ცხენის ძუით ჩამოკიდებული მახვილის მსგავსად გაჩნდა საბოლოოდ გზააბნეული და დაბნეული კაცობრიობის წინაშე. საშინელი წინასწარმეტყველება რომ არ გამომივიდეს, პროგნოზისგან თავს შევიკავებ, მაგრამ ერთი რამ ისედაც ნათელია: **დღევანდელი დასავლეთი, როგორც ცა დედამიწისგან, ისე შორს დგას გონიერებისა და ზნეობისგან, ამიტომ მისი შემკავებელი ვერც ერთი იქნება და ვერც მეორე. მას თუ რამე შეაკავებს, ეს იქნება ცხოველური შიში სიკვდილის წინაშე, ვინაიდან არავის ისე ძალიან არ ეშინია სიკვდილის, როგორც უშინაარსო ცხოვრებით მცხოვრებ ფუქსავატებს, რომელთა დანიშნულებასაც პრიმიტიული ჰედონიზმი ან მისი ოდნავ სახეცვლილი ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მიმართულება ევდომონიზმი წარმოადგენს და პლატონის ეპოქიდან იღებს სათავეს.** ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ცხოვრების ზედაპირულ, ზერელე აღქმასთან, რომლის დროსაც ადამიანის უმაღლეს დანიშნულებად ხორციელი ტკბობა და ბედნიერებისკენ სწრაფვა ცხადდება. არამხოლოდ მდიდარი ამერიკელის ფსიქიკის, არამედ თვით აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ერთ-ერთ ქვაკუთხედად სწორედ ევდომონიზმის ფუნდამენტური დებულება გვევლინება: **„ბედნიერებისკენ სწრაფვა აღიარებულია ადამიანის განუყოფელ უფლებად, ხოლო სახელმწიფოს ჩამოყალიბების ერთ-ერთ მიზნად მიჩნეულია ამ უფლების რეალიზაცია".** ამაში თავისთავად ცუდი არაფერია, რომ არა ერთი გარემოება: ადამიანური ბედნიერება ამაღლებული და ღვთაებრივი მოვლენაა, ფულის ტომრების ბედნიერება კი მუდამ გარყვნილებასთან წილნაყარი სიმაძღრე და გულარძნილობაა. მათთვის არ არსებობს არაფერი (მათი გაგებით, ბედნიერებისკენ სწრაფვაც კი), რის გამოც ისინი თავს გაწირავენ, ამიტომ გლობალურ ომზე წასვლას, რომელიც მათაც უშუალოდ შეეხება, ისინი, ალბათ, ვერ გაბედავენ. **მათ ეს მაშინაც ვერ გაბედეს, როდესაც დასუსტებული და დემორალიზებული რუსეთი დასავლეთის მიერ შემოსეული ტერორისტებისგან ჩეჩნეთის განმათავისუფლებელ ომს აწარმოებდა. ახლა ასე გაძლიერებულ რუსულ არმიასთან ომი მით უფრო ვერ უნდა გაბედონ, თუმცა, იარაღის გაუთავებელ ჟღარუნსა და ნატოს რაკეტების აქეთ-იქით თრევაში შესაძლებელია, ისეთი გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვან, რომ მსოფლიო დაღუპონ. მოვლენათა სწორედ ამგვარი განვითარება ჰქონდა მხედველობაში პუტინს, როდესაც შემაძრწუნებელ განმარტებას აკეთებდა: „ასეთ შემთხვევაში ჩვენ სამოთხეში მოვხვდებით, ისინი კი ჩაძაღლდებიან".** რუსეთის პრეზიდენტის ამ ნათქვამში, ისევე, როგორც ჩემს ამ მსჯელობაში, დამამშვიდებელს ვერაფერს აღმოაჩენთ, მაგრამ ასეთი მიზანდასახულობა არც მქონია. ამ ჩემი თხრობით, მირჩევნია, რეალობას მივუახლოვდეთ, ნაცვლად იმისა, რომ თავი დავიმშვიდოთ, როცა დასამშვიდებელი არაფერი გვაქვს. **რამ უნდა დაგვამშვიდოს ამ სიცრუით, სიძულვილით, ძალადობითა და უგუნურებით გაჟღენთილ მსოფლიოში?** რომელ ხავსს უნდა ჩავეჭიდოთ ამ გადარეულ თანამედროვეობაში, სადაც ადამიანმა ის სახე დაკარგა, რომლითაც შემოქმედს ემსგავსებოდა, სახეს სული, გონება და ზნეობა მიაყოლა, მერე კი სხეულსაც აუმხედრდა და ის ორი საწყისი მდედრისა და მამრისა, რომელშიც ადამიანური მოდგმის გაგრძელების საკრალური საიდუმლო ინახება, ისე გააშიშვლა და აურ-დაურია ერთმანეთში, რომ მომავალს ლამის საბოლოოდ დაემშვიდობოს?! ერთადერთი, რაც იმედად და ხსნად შეიძლება გვეგულებოდეს, რუსეთის გამარჯვებაა. ვიმეორებ: **ამ გლობალურ დაპირისპირებაში მსოფლიოს ხსნა რუსეთის გამარჯვებაშია, ვინაიდან ეს ის სახელმწიფოა, რომელიც ადამიანისა და საზოგადოების ამ ტოტალური გაუცხოვება-გადაგვარების ეპოქაშიც კი იმ ღირებულებებს ინარჩუნებს და იცავს, რომლებსაც ისტორია, კულტურა და ცივილიზაცია ჰქვია. ეს ის ღირებულებებია, რომლებიც რუსეთსა და აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ჯერ კიდევ შემორჩა, დასავლეთში კი ისტორიასა და კულტურას საბოლოოდ აქციეს ზურგი,** ხოლო მათ მიერვე შექმნილი ცივილიზაცია გულისამრევ სიმაძღრემდე და გარყვნილებამდე დაიყვანეს, რითაც ჯერ წინამორბედ ბარბაროსებს დაემსგავსნენ, შემდეგ კი ნამდვილ, თანამედროვე, ცივილიზებულ ბარბაროსებად ჩამოყალიბდნენ. **აღმოსავლეთი, როგორც ვთქვი, ჯერ კიდევ ადამიანური (ღვთაებრივი) სუნთქვით სუნთქავს, მაგრამ მას არ აქვს ძალა დასავლეთის არაადამიანური (სატანური) იდეოლოგიისა და ძალმომრეობის შესაჩერებლად. ასეთ ძალას მხოლოდ რუსეთი ფლობს. ამიტომაცაა, რომ დასავლური საინფორმაციო საშუალებები ასე გააფთრებით ებრძვიან რუსეთს და ცდილობენ, სიცრუის ნიაღვრითა და სიბინძურის მეწყერით წალეკონ ის სიმართლე, რომელიც უსინდისობის ამ ღვარცოფში ხანდახან ისე იკარგება, რომ მისი ხმა არც კი გვესმის.** რუსული საინფორმაციო საშუალებები ბლოკადაში მოაქციეს და გავრცელების თითქმის ყველა ტექნიკური საშუალებებიდან გათიშეს, რათა საზოგადოება დასავლური დეზინფორმაციის ჭაობში ბოლომდე ჩაძირონ და ჩაახრჩონ. **დასავლეთს არა მხოლოდ სახელმწიფოებისთვის ეკონომიკური სანქციების გამოცხადება, არამედ, როგორც ჩანს, ადამიანებისთვის პირზე კლიტის დადებაც შეუძლია, რათა სიმართლის ხმა საგულდაგულოდ ჩაახშოს, მაგრამ მათ, ეტყობა, არ იციან, რომ სხვა ხმაც არსებობს ადამიანისთვის, გულისთქმას ანუ გულის ხმას ეძახიან მას.** გულის ხმა ისეთი უცნაური რამ არის, რომ სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფსაც კი, რაღაც უცნაური ინტუიციით სიმართლისკენ უბიძგებს და ჭეშმარიტების გზაზე აყენებს. უოლ-სტრიტის განგსტერებისა და დასავლური პოლიტიკური ისტებლიშმენტისთვის სავსებით გაუგებარი სხვა ხმაც სმენიათ ადამიანებს: **„ვისმა ხმამაც შეძრა მაშინ დედამიწა, ახლაც აღგვითქვამს და ამბობს: კიდევ ერთხელ შევძრავ არამარტო დედამიწას, არამედ ცასაც". („ებრაელთა მიმართ", 12, 26).**

**P. S. მარტის ბოლოს საქართველოში ნატოს წვრთნებია დანიშნული. საქართველოს ხელისუფლებისგან კატეგორიულად მოვითხოვ, რომ გააუქმოს ეს პროვოკაციული ღონისძიება, რომელიც საქართველოს შეიძლება ძალიან ძვირი დაუჯდეს. ამასთანავე, დასვას საკითხი ე.წ. ლუგარის ლაბორატორიის დახურვის შესახებ, რომელიც დამოკლეს მახვილივით კიდია საქართველოს თავზე.**

საქართველო იღუზიებში
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გერმანიის ახალმა კანცლერმა ოლაფ შოლცმა თქვა: „ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ მზად არ არის, მის გამო კავშირში მიღების წესი შეცვალოს". პრინციპით: რძალო, შენ გეუბნები, მულო, შენ გაიგონეო, შოლცის განცხადება საქართველოსა და მოლდავეთსაც უნდა ეხებოდეს და ეხება კიდეც, მაგრამ ამას არც ერთი მხარე არ იმჩნევს.**

**გიორგი მიხეილის ძე გოფბაუერი საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი იყო, რომელმაც უპილოტო თვითმფრინავი Ту-141 „Стриж" ლამის ნახევარი საუკუნის წინათ შექმნა და პირველი გაფრენა 1974 წელს განახორციელა, 1979 წელს კი ის ექსპლუატაციაში საბჭოთა არმიამ მიიღო. გოფბაუერი ვერც კი წარმოიდგენდა, რომ 2022 წლის 11 მარტს მის მიერ შექმნილი საფრენი აპარატი ნატოს წევრი ქვეყნების მთავარი თავისტკივილი და ერთგვარი დაპირისპირების მიზეზი შეიქნებოდა.**

# შოლცის განცხადება საქართველოსა და მოლდოვასაც უნდა ეხებოდეს და ეხება კიდეც, მაგრამ ამას არც ერთი მხარე არ იმჩნევს

11 მარტს, გამთენიისას, ხორვატიის დედაქალაქ ზაგრების გარეუბანში ციდან რაღაც ჩამოვარდა და უზარმაზარი ღრმული გააჩინა. სოციალურ ქსელში ისიც კი დაიწერა, ხორვატებს უცხოპლანეტელები ეწვივნენო; შემდეგ კი გაირკვა, რომ ჩამოვარდნილი „რაღაც" იყო უპილოტო თვითმფრინავი, Ту-141 „Стриж". ისიც გაირკვა, რომ ეს თვითმფრინავი ცაში უკრაინის ტერიტორიიდან აიჭრა, გადაკვეთა ჯერ რუმინეთის, შემდეგ უნგრეთის საზღვარი და ზაგრებში ჩამოვარდა. საბედნიეროდ, ისეთ ადგილზე დაეცა, მსხვერპლი არ მოჰყოლია და ექსპერტებმა ისიც დაადგინეს, რომ უპილოტო საფრენ აპარატს რაღაც გაუფუჭდა, მისი მართვა ველარ შეძლეს და იფრინა იქამდე, სადამდეც ენერგია ეყო. ამის თაობაზე განცხადება ხორვატიის პრეზიდენტმა **ზორან მილანოვიჩმა** გააკეთა.

**„როგორც ახლა გაირკვა, უპილოტო საფრენი აპარატი ერთი საათის განმავლობაში დაფრინავდა რუმინეთის, უნგრეთისა და ხორვატიის თავზე და ვერავინ შეამჩნია. სამივე ქვეყანა ნატოს წევრია, ჩვენ ნატოს ბაზებიდან გვიცავენ და გვეუბნებიან, რომ მათ გარეშე ცაზე ჩიტიც ვერ გაფრინდება, ახლა კი ირკვევა, რომ ჩიტი კი არა, საბჭოთა პერიოდის თვითმფრინავის აღმოჩენაც კი არ შეუძლიათ და ვინმე ამიხსნის, ეს რას ნიშნავს?!"**

მილანოვიჩს, სავარაუდოდ, ნატოს დიდმა წევრებმა აუხსნეს, „ეს რას ნიშნავს", რადგან ამ შემთხვევაზე კრინტი აღარ დაუძრავს. დუმილი არჩიეს რუმინეთისა და უნგრეთის ლიდერებმაც, რომელთა თავზეც ასევე გადაიარა უპილოტო საფრენმა აპარატმა. ჰო, ნატოს ოფისის მეათე რანგის ჩინოსანმა, ტექნიკური წუნი იყოო, სადღაც დაიწუწუნა და ისიც ვერ გაარკვიეს, ეს ნატოს ოფიციალური პასუხი იყო თუ იმ გაურკვეველი თანამდებობის მქონე ჩინოსნის პირადი აზრი. **რას ნიშნავს, ტექნიკური წუნი სამი ქვეყნის საზღვარზე ერთდროულად? თანაც, გაითვალისწინეთ, რომ აპარატი ცაში უკრაინის ტერიტორიიდან აფრინდა.**

მოგეხსენებათ, უკრაინა დასავლეთს ცის ჩაკეტვას სთხოვს და კატეგორიულ უარს იღებს. ეს უარი მხოლოდ დასავლეთის ნება არ არის, მათ გადაწყვეტილებაზე რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის განცხადებამაც იმოქმედა, რომელმაც აღნიშნა: თუ რომელიმე ქვეყანა ღიად ჩაერევა კონფლიქტში და ისეთ ნაბიჯს გადადგამს, რომელიც მას მონაწილედ აქცევს, ჩვენ საბრძოლო მოქმედებებს მის წინააღმდეგაც დავიწყებთო. დასავლეთმაც დააკონკრეტა: უკრაინის მხარეს კი ვართ, მაგრამ ცას ვერ დავკეტავთ და, რაც მთავარია, მკაცრად ვუპასუხებთ რუსეთს, თუ ის ნატოს წევრ რომელიმე ქვეყანას შეეხებაო. ახლა კი **ნატოს ხელმძღვანელობას თამამად შეუძლია განაცხადოს, რომ რუსულმა საფრენმა აპარატმა ერთბაშად ნატოს წევრი სამი ქვეყნის საჰაერო სივრცე დაარღვია, მაგრამ... ამას იმიტომ ვერ ამბობენ, რომ, წესით, სარაკეტო სისტემებს უნდა ემუშავა და ვერ ამბობენ იმიტომაც, რომ ასეთ განცხადებას ქმედითი ნაბიჯები უნდა მოჰყვეს, ეს კი მათ გეგმებში აშკარად არ არის — ნატო უკრაინისთვის ბრძოლას არ აპირებს და ეს ჩანდა ომის დაწყებამდეც, ჩანს ახლაც და ეს იცის ყველამ.** აღნიშნული ისევე მარტივი აღსაქმელია, როგორც ის, რაც გერმანიის ახალმა კანცლერმა **ოლაფ შოლცმა** თქვა: „ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ მზად არ არის, მის გამო კავშირში მიღების წესი შეცვალოს". პრინციპით: რძალო, შენ გეუბნები, მულო, შენ გაიგონეო, შოლცის განცხადება საქართველოსა და მოლდავეთსაც უნდა ეხებოდეს და ეხება კიდეც, მაგრამ ამას არც ქართული მხარე იმჩნევს და არც მოლდავური. ისე, 12 მარტს აფხაზეთის ე.წ. მთავრობამ საპარლამენტო არჩევნები გამართა და...

„ევროკავშირი მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებულ საზღვრებში. რაც შეეხება ე.წ. საპარლამენტო არჩევნებს, რომელიც საქართველოს თვითგამოცხადებულ რეგიონში, აფხაზეთში, 2022 წლის 12 მარტს ჩატარდა, შეგახსენებთ, რომ ევროკავშირი არ ცნობს იმ კონსტიტუციურ და იურიდიულ ჩარჩოებს, რომელშიც ის გაიმართა. ევროკავშირი განაგრძობს მისი არაღიარებისა და ჩართულობის პოლიტიკას. ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში ამ მხრივ სრულად ჩართულია", — განაცხადა ევროკავშირის ელჩმა საქართველოში **კარლ ჰარცელმა.** მას სიტყვაც კი არ დასცდენია იმაზე, რომ საქართველომ წარადგინა ოფიციალური განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე და, თუ ამ კავშირს სურს საქართველოსთან რეალური თანამშრომლობა, მაშინ უახლოეს მომავალში საკითხს დადებითად გადაწყვეტენ. არა, **ახლაც კი, უმძიმესი პოლიტიკურ მდგომარეობაში, დასავლეთი ცივი გონებით მოქმედებს და ოფიციალურად ადასტურებს, რომ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას... რეალურად მხოლოდ რუსეთის გასალიზიანებლად იყენებს და ამ ქვეყნებს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივა უახლოესი 50 წლის განმავლობაში, უბრალოდ, არ აქვთ.**




**ახლაც კი, უმძიმესი პოლიტიკურ მდგომარეობაში, დასავლეთი ცივი გონებით მოქმედებს და ოფიციალურად ადასტურებს, რომ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას... რეალურად მხოლოდ რუსეთის გასალიზიანებლად იყენებს და ამ ქვეყნებს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის პერსპექტივა უახლოესი 50 წლის განმავლობაში, უბრალოდ, არ აქვთ**

ისევ უპილოტო საფრენ აპარატს დავუბრუნდეთ. **ისე რომ მოხდეს, ხვალ, ზეგ მორიგმა უპილოტო თვითმფრინავმა გადაკვეთოს ნატოს წევრი ქვეყნების საჰაერო სივრცე, რომელიმე შენობა დააზიანოს ან „შემთხვევით" საცხოვრებელ კორპუსს დაეცეს, რა მოხდება? ხომ იტყვიან, რუსეთმა პირობა დაარღვია და ამიტომ ნატო ომში ერთვებაო? და მერე ვინმე დაიწყებს მტყუან-მართლის გარჩევას თუ ნატოს ჯარებს იმას გაახსენებენ, 1999 წელს იუგოსლავიის დაშლის პროცესში სერბეთში სამიზნეში საავადმყოფოები და სამშობიარო სახლები რომ ჰქონდათ ამოღებული?!**

ვერ გეტყვით, საქართველოში არ სურთ, დაიჯერონ თუ ვერ ხვდებიან იმას, რომ ეს არ არის მხოლოდ ორი ქვეყნის კონფლიქტი და არც ტერიტორიების გადანაწილების პროცესი. **რეალურად, ყალიბდება ახალი მსოფლიო წესრიგი და დღეს მიმდინარე პროცესები კარგა ხნის წინათ დაგეგმილი შეთქმულების ნაწილია; სწორედ შეთქმულების, რადგან უკრაინა, რომელსაც დაუფარავად აქეზებდნენ (და ამის შესახებ არაერთხელ დაგვიწერია), ახლა მარტო დატოვეს და მშვიდად უყურებენ, როგორ კვდებიან ჯარისკაცები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს.** პარალელურად მიმდინარეობს საინფორმაციო ომი და, **დასავლურ მედიას რომ გაეცნოთ, ისე ჩანს, თითქოს მხოლოდ რუსი ჯარისკაცები კვდებიან, უკრაინელები კი — არა. სინამდვილეში, მსხვერპლი ორივე მხარეს დიდია და თითოეული ჯარისკაცის სიკვდილი ნამდვილი ტრაგედიაა, ტრაგედია მათი ოჯახებისთვის, თორემ დასავლეთისთვის ჩვეულებრივი სტატისტიკაა და მათ საერთოდ არ აღელვებთ, გარდაცვლილთა გრაფაში სამნიშნა ციფრი იქნება, ოთხნიშნა თუ ხუთნიშნა. მთავარია, ჯერჯერობით ყველაფერი სწორედ მათი გეგმის მიხედვით მიდის, ბრძოლები უწყვეტად მიმდინარეობს და როგორც ერთ, ისე მოერე მხარეს პირტიტველა ბიჭები იღუპებიან.**

ვერც ერთი სამხედრო ექსპერტი ვერ იწინასწარმეტყველებს, რა მოხდება ხვალ და ზეგ, რადგან რეალურად არავინ იცის, რა აქვს ჩაფიქრებული დასავლეთს და სადამდე სურს წასვლა ამერიკას. ჰო, **მათი ნაფიქრი და ნააზრევია საიდუმლო, თორემ რუსეთმა მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რას ითხოვს და რა პირობებით შეწყდება სისხლისღვრა, უკრაინის პოზიცია კი ჯერაც გაურკვეველია და გაურკვეველია ერთადერთი მიზეზით — ზელენსკი დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებებს და წარმოდგენა არ აქვს, რას რა პირობებით უნდა დათანხმდეს.**

ასეთ ვითარებაში ყველაზე მარტივია რუსეთის მონსტრად წარმოჩენა, რასაც დასავლეთი წარმატებით ახორციელებს კიდეც. ისე, ცოტა არ იყოს, პარადოქსულია, მთავარ დამნაშავედ გამოცხადებულ **ვლადიმერ პუტინს** საფრანგეთის პრეზიდენტი **ემანუელ მაკრონი** და გერმანიის კანცლერი **ოლაფ შულცი** საათობით რომ ესაუბრებიან. ჰო, ბარემ ისიც ვთქვათ, ბუნკერში „დამალული" პუტინი 75 წუთის განმავლობაში იყო ტელეფონზე ჩამოკიდებული და არ შეშინებია, ნატოს ჯარები რომ აღმოაჩენდნენ და წერტილოვან დარტყმას განახორციელებდნენ. პრინციპში, 75 წუთი ბევრი არ არის, ალბათ, დრო არ ეყოთ სიგნალის აღმოსაჩენად.

ის, რომ ამერიკა ცეცხლზე ნავთის დასხმას ცდილობს, 13 მარტს, გამთენიისას გაკეთებული განცხადებიდანაც გამოჩნდა. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა **ჯო ბაიდენმა** უკრაინას დამატებით 200 მლნ დოლარის სამხედრო დახმარება გამოუყო. ეს დაფინანსება დაიხარჯება იარაღისა და თავდაცვის მასალების შესაძენად აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის მარაგიდან, ასევე უკრაინელი ჯარისკაცების გასაწვრთნელად. საინტერესოა, რომ დახმარების პაკეტი მოიცავს დაუყოვნებელ დახმარებას, ისეთი სამხედრო აღჭურვილობით, როგორიცაა ჯავშანსაწინააღმდეგო და საზენიტო სისტემები. მანამდე იყო შეერთებული შტატების კონგრესის მიერ უკრაინისთვის გამოყოფილი 13,6 მლრდ დოლარის ღირებულების დახმარება, რომლის ძირითადი ნაწილი ასევე თავდაცვის საშუალებების შეძენას უნდა მოხმარდეს. **კარგად ჩანს, რომ აშშ-ს ამ ომის დასრულება არ სურს, ფულს არ იშურებს უკრაინელებისთვის იარაღის შესაძენად და გაგანია ომში უკრაინელი სამხედროების გადამზადებასაც კი ფიქრობს.**

**კარგად ჩანს, რომ აშშ-ს ამ ომის დასრულება არ სურს, ფულს არ იშურებს უკრაინელებისთვის იარაღის შესაძენად და გაგანია ომში უკრაინელი სამხედროების გადამზადებასაც კი ფიქრობს**

**ბესო ბარბაქაძე**

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის განცხადებით, ევროკავშირმა უკრაინის მხარდაჭერის შესახებ „ძლიერი სიგნალი“ უნდა გაგზავნოს, მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ ამ ქვეყანას მალე მიიღებენ ევროკავშირში. ეს — ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი, მაკრონი ე.წ. ახალ ევროპაზე ალაპარაკდა და აღნიშნა, რომ აუცილებელია „ევროპელთა საერთო იდენტობის გადახედვა“.**

# საქართველო ამოვარდნილია ახალი ევროპის არქიტექტურიდან

## ევროპაში ჩქარდება ევროპელთა საერთო იდენტობის გადახედვის პროცესი

**11 მარტს პარიზში, ვერსალის სასახლეში, ევროპის საბჭოს არაფორმალური სხდომა გაიმართა. მრავალსაათიანი მოლაპარაკებების შემდეგ სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურებმა დისკუსია დაასრულეს ფორმულირებით, რომელიც აღიარებს უკრაინის „ევროპულ მისწრაფებებს“ — ევროკავშირის ლიდერებმა „დიახ“ უთხრეს უკრაინის ევროინტეგრაციას, რომელსაც შეიძლება წლები დასჭირდეს, თუ ეს პროცესი დაიწყება.**

როგორ არის საქართველოსა და მოლდოვის საქმე, რომლებმაც, აგრეთვე, შეიტანეს განაცხადი ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაზე „პროცესის დაჩქარებით“? როგორც გაირკვა, არც ისე კარგად.

საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონის** განცხადებით, ევროკავშირმა უკრაინის მხარდამჭერის შესახებ „ძლიერი სიგნალი“ უნდა გაგზავნოს, მაგრამ ეჭვი ეპარება, რომ ამ ქვეყანას მალე მიიღებენ ევროკავშირში. ეს — ერთი მხრივ; მეორე მხრივ კი, მაკრონი ე.წ. ახალ ევროპაზე ალაპარაკდა და აღნიშნა, რომ აუცილებელია „ევროპელთა საერთო იდენტობის გადახედვა“. და მყისვე გამოჩნდა პრობლემები. საქმე ის არის, რომ **ევროპის ქვეყნების მთავრობებისა და პოლიტიკური ძალებისთვის ევროპული იდენტობის კონსტრუირება საკვანძო პრობლემად რჩება. რა თქმა უნდა, ის უმნიშვნელოვანესი პირობაა ევროკავშირის ეფექტიანად ფუნქციობისთვის, მაგრამ ეს პროცესი ჯერ მხოლოდ ვითარდება. ისტორიულად და პოლიტიკურად ნაციონალური ერთობის იდეა მასობრივ დონეზე არ ჩამოყალიბებულა.** მაგალითად, ჯერ კიდევ 2013 წელს ევროსაბჭოს იმჟამინდელმა თავმჯდომარე **ჰერმან ვან რომპეიმ** მოუწოდა, გააანალიზონ და გადახედონ ევროკავშირის, როგორც დე იურე დამოუკიდებელი მრავალი სახელმწიფოს გამაერთიანებლის, აწმყოსა და მომავალს. მისი თქმით, **„გამუდმებული გაფართოება ურევს პოლიტიკურ და გეოგრაფიულ იდენტობას“. ამ ვითარებიდან გამოსავალი ორია: ან ევროპის კონტინენტი და ის ქვეყნები, რომლებიც პოზიციონირებენ, როგორც ევროპელები, გაერთიანდებიან უნივერსალურ „სახლში ყველასათვის“, ან კვლავ აღმოჩნდებიან თავიანთ ნაციონალურ ბინებში“.** მაგრამ, როგორც ახლახან აღიარა Euronews-მა, „სამი სახელმწიფოდან — საქართველო, უკრაინა, მოლდოვა — ადრე არც ერთი არ განიხილებოდა ალიანსში შესვლის სერიოზულ კანდიდატად“, ამჟამად კი ამ ქვეყნების მისწრაფებას, „მიიღონ ევროპული სახურავი, ევროკავშირთან მათი ინტეგრაციის პროცესი ჩიხში შეჰყავს ახალი „რთული აზრების“ გაჩენის გამო“.

ევროპელი ექსპერტების აღწერაში ეს „რთული აზრები“ ასე გამოიყურება: **პირველი — დაცემა ქრისტიანული ეკლესიისა,** რომელსაც შეეძლო თანამეგობრობის ფუნდამენტური შემაკავშირებელი ყოფილიყო. ევროპულ საბაზო დოკუმენტებში არარსებობა დებულებისა „ევროპის ქრისტიანული ფესვების“ შესახებ შემთხვევით არ ყოფილა.

**მეორე** — ენობრივი განცალკევებულობა. ენა აზრის შემქმნელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია იდენტობისა. მისი საშუალებით ყალიბდება ჯგუფური ცნობიერება.

**მესამე** — ევროკავშირში ახალი წევრების მიღება კიდევ უფრო აფართოებს ევროპის სივრცეს და წარმოშობს ახალ კონფლიქტებს. და, თუ ამ კონტექსტში ვისაუბრებთ უკრაინაზე, მოლდოვასა და საქართველოზე, მათ ევროპაში „ჩაწერის“ შანსი არ აქვთ.

**დასასრულ,** გეოგრაფიის ფაქტორი. **თუ გეოგრაფიული თვალსაზრისით არავინ კამათობს, მსოფლიოს რომელ კუთხეში მდებარეობს უკრაინა და მოლდოვა, ამ მხრივ, პრობლემები აქვს საქართველოს — საკითხზე, არის თუ არა ის ევროპული ქვეყანა, კარგა ხანია, მსჯელობენ.**

ფაქტია, რომ საქართველო ვერ ეწერება საყოველთაოდ მიღებულ ევროპულ იდენტობაში და ვერ თავსდება ევროპის ტრადიციულ საზღვრებში, რომლებიც გადაჭიმულია რუსეთის ურალის მთებამდე, მიჰყვება მდინარე ურალს კასპიის ზღვამდე, შემდეგ კი გადის კავკასიონის ქედზე შავ ზღვამდე. **ასეთ ინტერპრეტაციას ეთანხმება ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება (National Geographic Society), რომლის ევროპულ რუკაზე საქართველო არ არის. საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ არ მიიჩნევს ბრიტანული ენციკლოპედია და თვით აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მსოფლიო ცნობარიც კი.** სხვათა შორის, არც საერთაშორისო სავალუტო ფონდი მოიხსენიებს საქართველოს ევროპის ეკონომიკურ პროგნოზებში. ამ ფაქტორებს ახლა დიდი გავლენა აქვს ევროპელობის კოლექტიურ განცდაზე, ხოლო ბრიუსელის მზადყოფნა, სიტყვით გადააბრუნოს ევროპის რუკა, დროებითი ტაქტიკური ხასიათისაა. შემთხვევითი არ არის, რომ თურქეთის პრეზიდენტმა **რეჯეფ თაიფ ერდოღანმა** ფრანგ კოლეგა **ემენუელ მაკრონთან** ამიერკავკასიაში „ექვსეულის პლატფორმაზე“ (რუსეთი, ირანი, თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) მსჯელობისას საქართველოს „აზიური სახელმწიფო“ უწოდა.

**ევროპაში, და არა მხოლოდ იქ, ახალი დროება დგება, მაგრამ ითვლებოდე აზიად, იყო გზაჯვარედინი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, დღეს ცუდი არ არის. ჯერჯერობით ყველაფერი ვითარდება მაკრონის პროგნოზით, რომელმაც „ევროპის არქიტექტურის განახლებაზე“ ილაპარაკა.** შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განაცხადები ევროკავშირის წევრობისა კანდიდატობაზე — ეს, როგორც ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, უფრო პოლიტიკური ვაჭრობაა, ხოლო ევროკავშირის გადაწყვეტილება განაცხადების განხილვის შესახებ — პოლიტიკური გადაწყვეტილება რუსეთზე ზემოქმედებისთვის. ბრიუსელი კვლავაც შეეცდება, ეს ქვეყნები ჩამოკიდებულ მდგომარეობაში ამყოფოს, მაგრამ ასეთი პოლიტიკის რესურსი პრაქტიკულად ამოწურულია.



**საქართველო ვერ ეწერება საყოველთაოდ მიღებულ ევროპულ იდენტობაში და ვერ თავსდება ევროპის ტრადიციულ საზღვრებში, რომლებიც გადაჭიმულია რუსეთის ურალის მთებამდე, მიჰყვება მდინარე ურალს კასპიის ზღვამდე, შემდეგ კი გადის კავკასიონის ქედზე შავ ზღვამდე. ასეთ ინტერპრეტაციას ეთანხმება ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება (National Geographic Society), რომლის ევროპულ რუკაზე საქართველო არ არის. საქართველოს ევროპულ სახელმწიფოდ არ მიიჩნევს ბრიტანული ენციკლოპედია და თვით აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მსოფლიო ცნობარიც კი**

**შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განაცხადები ევროკავშირის წევრობისა კანდიდატობაზე — ეს, როგორც ბევრი ექსპერტი ვარაუდობს, უფრო პოლიტიკური ვაჭრობაა, ხოლო ევროკავშირის გადაწყვეტილება განაცხადების განხილვის შესახებ — პოლიტიკური გადაწყვეტილება რუსეთზე ზემოქმედებისთვის. ბრიუსელი კვლავაც შეეცდება, ეს ქვეყნები ჩამოკიდებულ მდგომარეობაში ამყოფოს, მაგრამ ასეთი პოლიტიკის რესურსი პრაქტიკულად ამოწურულია**



iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

საქართველოს მტრები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უსუფაშვილმა დაადასტურა, რა სურს ოპოზიციას. დიახ, ოპოზიციას სურს ისეთი ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ იბრძოლებს, პირტიტველა ბიჭებს საზარბაზნე ხორცად გაუშვებს, თვითონ კი თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ისე მოკურცხლავს, დაცვა ძლივს დაეწევა, მიწაზე მფორთხავ მთავარსარდალს მსოფლიო ნახავს და კიდევ ერთხელ იცინებს. ჰო, იმ მთავარსარდალს, რომელიც აღმაშენებლის, ერეკლე მეფის, სამასი არაგველისა და გიორგი ანწუხელიძის ქვეყანაში დაიბადა და რომელიც ახლა „რამკებს ამტვრევს“, უკრაინაში წინა ხაზზე გამიშვითო. უსუფაშვილმა თვითონაც ჩამოიხსნა ნიღაბი და ოპოზიციასაც ჩამოხსნა — მათ საქართველოში ომი სურთ.**

# ოპოზიციას სურს, ქართველთა გვამებზე გადავლით დაიბრუნოს ის, რაც ასე აკლია — ძალაუფლება

**დასამალი უკვე არავისთვისაა, რომ ოპოზიცია ყველაფერს აკეთებს საქართველოს ჩასაბმელად რუსეთთან ომში; არა პოლიტიკურ დაპირისპირებაში, არა დებატებში, არამედ ომში — ტანკებით, ვერტმფრენებით, ჯარისკაცებით და, შესაბამისად, მსხვერპლით. ჰო, სწორედ გვამებზე გავლითა თუ გადავლით სურს ოპოზიციას, დაიბრუნოს ის, რაც ასე აკლია — ძალაუფლება. ახლა მათთვის საუკეთესო დროა. ისინი მიხვდნენ, რომ უკრაინასა და რუსეთს შორის მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება ხსნა იქნება იმ შემთხვევაში, თუ მეორე ფრონტი კავკასიაში, კონკრეტულად კი, საქართველოში გაიხსნება.**



2017 წელს, ოპოზიციაში გადასულმა **დავით უსუფაშვილმა** ტელევიზიის პირდაპირ ეთერში ასეთი რამ თქვა: **„ჩვენ ჩვენს შვილებს არ ვეუბნებით, რომ თქვენ, ჩვენო შვილებო, დაიბადე და გაგაჩინე იმისთვის, რომ სამშობლოს გმირულად უნდა შეეწირო. მე ამას არ ვეუბნები შვილებს. მე ვეუბნები, რომ, შვილო, თქვენ დაიბადეთ და შეიქმენით და გაჩნდით ამ ქვეყანაზე, რომ იყოთ თავისუფალი და ბედნიერი“.**

აგვისტოს ომის დროს ბატონი **დავით უსუფაშვილის** ბიჭებიდან ერთი 8 წლის იყო, მეორე — ორის და, შესაბამისად, ომში ვერ წავიდოდნენ, მაგრამ დაზუსტებით შეგვიძლია გითხრათ, საქართველოში ტყვია რომ გავარდეს, სწორედ უსუფაშვილი იქნება ერთ-ერთი, ვინც თვითონ თუ არ მოძუძგავს ქვეყნიდან, შვილებს განარიდებს, რადგან ისინი თავისუფლები და ბედნიერები უნდა იყვნენ. მერე რა, თუ ეს თავისუფლება და ბედნიერება ჩემი, თქვენი შვილების გვამებით იქნება მოპოვებული. ჩვენ შვილები ხომ იმიტომ ვაჩუქეთ ქვეყანას, რომ მათ კოლექტიური უსუფაშვილების შვილებს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანონ. მერე რა, რომ ბატონი დავითის მეუღლე, ქალბატონი თინათინ ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი იყო და წესითა და რიგით, ჯარისკაცებთან ურთიერთობით ის მაინც უნდა ესწავლა, რომ ყოველი მამაკაცი, რომელსაც მამაკაცი ჰქვია, თავისი ქვეყნის პოტენციური დამცველია. ჰო, ეს 2017 წელს იყო, ახლა კი...

„სანამ შეუბერავენ, მანამდე უკვე წაქცეულები რომ არიან, აი, „ტანკი თუ დაიქოქება, საქართველოსგან არაფერი აღარ დარჩებაო“. იცით რა, თუ ასეთი მთავრობა მყავს, მაშინ წავიდნენ სახლში და ისეთი მაინც მყავდეს, რომელიც იტყვის, რომ ჩვენ ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნისთვის. რომელი მტერი იყო, თავზე ხელს რომ უსვამდა საქართველოს? დავით აღმაშენებელი თუ მაგარი იყო, ერეკლე, სამასი არაგველი და ანწუხელიძე, თუ ესენი არიან ჩვენი გმირები, ვინც სამშობლოს იცავდა, მაშინ ახლა რაზე ვლაპარაკობთ? გასაგებია, რომ რუსეთი უფრო დიდია, ვიდრე საქართველო, უკრაინაც უფრო პატარაა, ვიდრე რუსეთი, მაგრამ ომს იგებს მორალური სიმტკიცე, ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს ამისი. ამ ხალხს ეშინია ამის და ამ შიშს, სახელმწიფოს მხრიდან გამჟღავნებულ შიშს ყველაზე კარგად გრძნობს ის მეორე სახელმწიფო. ერთი შებერვით შეუძლია სიტუაციის სათავისოდ გადაყვანა. მაშინ წავიდნენ სახლში და ისეთი მთავრობა მყავდეს, რომელიც იტყვის: „ჩვენ ვიბრძოლებთ“, — ეს უსუფაშვილმა განაცხადა რამდენიმე დღის წინათ.

**ამ განცხადებით უსუფაშვილმა დაადასტურა, რა სურს ოპოზიციას. დიახ, ოპოზიციას სურს ისეთი ხელისუფლება, რომელიც იტყვის, რომ იბრძოლებს, პირტიტველა ბიჭებს საზარბაზნე ხორცად გაუშვებს, თვითონ კი თვითმფრინავის ხმის გაგონებაზე ისე მოკურცხლავს, დაცვა ძლივს დაეწევა, მიწაზე მფორთხავ მთავარსარდალს მსოფლიო ნახავს და კიდევ ერთხელ იცინებს. ჰო, იმ მთავარსარდალს, რომელიც აღმაშენებლის, ერეკლე მეფის, სამასი არაგველისა და გიორგი ანწუხელიძის ქვეყანაში დაიბადა და, რომელიც ახლა „რამკებს ამტვრევს“, უკრაინაში წინა ხაზზე გამიშვითო. უსუფაშვილმა თვითონაც ჩამოიხსნა ნიღაბი და ოპოზიციასაც ჩამოხსნა — მათ საქართველოში ომი სურთ.**

უფრო შორს წავიდა **ხატია დეკანოიძე.** ქალი, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობასაც უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ეს საქმე არ გამოვიდა, **ნიკა მელიას** ვერ თუ არ მოერია.

„სიმართლე გითხრათ, ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ საქართველოს ხელისუფლებაში იქნებოდნენ ადამიანები, რომლებიც ამ რთულ დროს, როდესაც უკრაინაში ადამიანები იღუპებიან და საერთაშორისო თანამეგობრობა პუტინისა და რუსეთის ეკონომიკის წინააღმდეგ ასეთ მკაცრ სანქციებს აწესებს, ქართველები, ანუ საქართველოს ხელისუფლება ეძებენ რაღაც შავ ხვრელებს, რომ დაეხმარონ პუტინს, შექმნას იარაღი, რათა შემდეგ მოკლას“, — ეს სიტყვები ხატია დეკანოიძეს ეკუთვნის.

ეს არა მხოლოდ ამაზრზენი განცხადებაა, არამედ პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, სამშობლოს ღალატის ტოლფასია. დიახ, იმ სამშობლოსი, რომელიც თურმე დეკანოიძეს ძალიან უყვარს და თურმე ჩვენ არ გვიყვარს, რადგან არ გვსურს ომი. აღმაშენებელს რომ ახსენებს ოპოზიცია ხშირად, შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მათ ეს სახელი, უბრალოდ, გაგონილი აქვთ და ისტორია არ წაუკითხავთ.

**დავით IV ტახტზე 1089 წელს ავიდა, როცა 16 წლის იყო, თურქებს ხარკის გადახდა ათი წლის შემდეგ, 1099 წელს შეუწყვიტა, ხოლო საქართველოს დედაქალაქი თბილისი მხოლოდ 1121 წელს, ანუ გამეფებიდან 32-ე წელს**

**აგვისტოს ომის დროს ბატონი უსუფაშვილის ბიჭებიდან ერთი 8 წლის იყო, მეორე — ორის და, შესაბამისად, ომში ვერ წავიდოდნენ, მაგრამ დაზუსტებით შეგვიძლია გითხრათ, საქართველოში ტყვია რომ გავარდეს, სწორედ უსუფაშვილი იქნება ერთ-ერთი, ვინც თვითონ თუ არ მოძუძგავს ქვეყნიდან, შვილებს განარიდებს, რადგან ისინი თავისუფლები და ბედნიერები უნდა იყვნენ. მერე რა, თუ ეს თავისუფლება და ბედნიერება ჩემი, თქვენი შვილების გვამებით იქნება მოპოვებული. ჩვენ შვილები ხომ იმიტომ ვაჩუქეთ ქვეყანას, რომ მათ კოლექტიური უსუფაშვილების შვილებს თავისუფლება და ბედნიერება მოუტანონ. მერე რა, რომ ბატონი დავითის მეუღლე, ქალბატონი თინათინ ხიდაშელი თავდაცვის მინისტრი იყო და წესითა და რიგით, ჯარისკაცებთან ურთიერთობით ის მაინც უნდა ესწავლა, რომ ყოველი მამაკაცი, რომელსაც მამაკაცი ჰქვია, თავისი ქვეყნის პოტენციური დამცველია**

**შემოიერთა. ჰო, 32 წლის შემდეგ შემოიერთა დედაქალაქი, დიდგორის მოგების შემდეგ... როგორ გგონიათ, მანამდე არ შეეძლო, დედაქალაქს მისდგომოდა და ეომა? შეეძლო, მაგრამ იცოდა, რომ დამარცხდებოდა და რატომ არ ვეძახით წმინდა მეფეს ამის გამო უგუნურს? რატომ არ ვუწოდებთ ლაჩარს კაცს, რომელიც საქართველოს გულს გამეფებიდან მხოლოდ 32 წლის შემდეგ მიადგა?**

სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიწევს იმის აღნიშვნა, რომ საქართველოში ოპოზიციონერობა ხელშეუხებლობის გარანტიაა. მე და თქვენ იგივე რომ გვეთქვა, რაც დეკანოიძემ თქვა, ახლა, საუკეთესო შემთხვევაში, შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში ვიქნებოდით სამშობლოს ღალატის მუხლით, უარეს შემთხვევაში — უშიშროების სამსახურის წინასწარი დაკავების იზოლატორში. დეკანოიძეს კი ყველაფრის უფლება აქვს, ზუსტად ისე, როგორც მის ბელად **მიხეილ სააკაშვილს.** როგორი ანტისახელმწიფოებრივი განცხადებაც უნდა გააკეთოს მიშამ, მას ყველაფერი მიეტევება. ოპოზიცია მას იმასაც მიუტევებს, დილით შიმშილობას რომ გამოაცხადებს სიკვდილამდე და საღამოს უარს რომ იტყვის, უკრაინას ვჭირდები და წინა ხაზზე გამიშვითო. არადა, გვგონია, რომ **სწორედ უკრაინაში არ სჭირდებოდა ამერიკას სააკაშვილი და ამიტომ მისცა გარანტია, საქართველოში ჩადი, ხელს ვერავინ გახლებსო. ამ ნაბიჯით ამერიკა ორ კურდღელს იჭერდა — ხელისუფლება, თუ სააკაშვილს არ დააკავებდა, აუცილებლად ჩამოიშლებოდა და სათავეში სწორედ მიშა მოვიდოდა, რაც ავტომატურად გარანტია იქნებოდა იმისა, რომ საჭირო მომენტში სააკაშვილი რუსეთთან ომში უკანმოუხედავად ჩართავდა ქვეყანას.** აი, დაკავების შემთხვევაში კი მიშა უკრაინაში ხელს არ შეუშლიდა ამერიკელებს თავიანთი განზრახვები ბოლომდე აესრულებინათ. თავისუფლებაზე და თანაც უკრაინაში მყოფი სააკაშვილი ბევრს იყვირებდა ნატოსა და ევროკავშირზე, მეტ ადამიანს შეაწუხებდა, ანუ დისკომფორტს შეუქმნიდა მათ, ვისი მთავარი მოვალეობაც ახლა აღშფოთება და შეშფოთებაა. ამიტომ **სააკაშვილის გამოშვებაზე მინიშნებასაც კი არ აკეთებს არც ერთი დასავლელი ლიდერი და მხოლოდ ქართული ოპოზიცია ყვირის, ახლა მიშა ფრონტის წინა ხაზზე უნდა იყოსო. თუ ასე გინდათ სააკაშვილის ფორთხვის ნახვა, რაღა უკრაინაში უშვებთ, რუსთავის ციხის ეზოში, ცემენტის მტვრით გაჯერებულ ასფალტზე ისეთ ბუღს დააყენებს, თქვენი მოწონებული.** ისე, მიშამ მადლობა უნდა თქვას, რომ დასავლეთს ჯერ თავისუფლებაზე სჭირდებოდა, შემდეგ — ციხეში. აი, ისე რომ მოხდეს, სააკაშვილი არც გარეთ დასჭირდეს ამერიკას და არც შიგნით, მერე რა მოხდება, მერე?!

ისევ აქაურ ოპოზიციას დავუბრუნდეთ. გახსოვთ, ალბათ, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, ნაციონალებმა კუდიანებზე ნადირობა რომ დაიწყეს და ყველაში, ვინც ცოცხალი გადარჩა, სამშობლოს მოღალატე ელანდებოდათ. იმხანად ათეულობით სამხედრო დააკავეს, აწამეს, მოკლეს... ომს გადარჩენილებს აქ, ციხეებში, კლავდნენ, ოღონდაც მათგან ღალატის აღიარება მიეღოთ. ახლა კი ომის გარეშეც ოპოზიციის ლიდერები ანტისახელმწიფოებრივ განცხადებებს აკეთებენ, აღიარებით ჩვენებებს პირდაპირ ეთერში იძლევიან. აგერ, **ლევან ხაბეიშვილმა ხმამაღლა და გამოთქმით თქვა: საქართველომ 2008 წელს კასეტური ბომბები გამოიყენაო და პასუხს არავინ არავის სთხოვს, კასეტური ბომბების გამოყენება აკრძალულია, სახელმწიფო ისჯება ამის გამო და ხაბეიშვილი ხმის ჩახლეჩამდე ყვირის, 2008-ში კასეტური ბომბებით ვიბრძოდითო.** კარგად იცის ხაბეიშვილმა, ამის გამო თუ დაგვსჯიან, ამჟამინდელ ხელისუფლებას აგებინებენ პასუხს, მათ დააჯარიმებენ, სანქციებსაც სწორედ ამჟამინდელ მთავრობას დააკისრებენ და ყვირის. არც მას სჯიან, არც დეკანოიძეს, არც...

3 დღის წინათ ძალიან მეჩქარებოდა და პეკინზე გზა არასწორად გადავჭერი. ამოიღეთ ჩანაწერი და დამაჯარიმეთ, კანონი ხომ უზენაესი და ყველასთვის ერთია?!

**ბესო ბარბაქაძე**



დღეს, როცა ხშირად გაისმის ქართველების ომში ჩაბმის მოწოდებები, ერის მამის რჩევის გათვალისწინება გვმართებს უპირველესად, რომ ჩვენც პატიოსან გულთა ძვრას ცივი ანგარიში უნდა დავუყენოთ წინ, რადგან წინდაუხედავ ნაბიჯს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის, უკრაინელებს კი არაფერს არგებს. რაც შეეხება დასავლეთის აღშფოთება-შეშფოთებას, მას გემო ქართველებმა უკრაინელებზე ადრე გავუსინჯეთ.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე**

**ამ საკითხზე ჩვენს გაზეთში რუბრიკით „მწარე სიმართლე“ ვრცელი წერილი ერთხელ უკვე დაიბეჭდა 2020 წელს. დღეს შექმნილი საერთაშორისო ვითარებიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ამ თემასთან დაბრუნება სწორედ რომ საშური და აუცილებელიცაა.**
**ვითარება კი ასეთია: ომი ყოველდღიურად უამრავ ადამიანს უსპობს სიცოცხლეს, ანგრევს ქალაქებს, რუდუნებით შექმნილ კულტურის ძეგლებს — ერთი სიტყვით, დაუნდობლად ანადგურებს ყველაფერს, რაც ძვირფასია.**
**ამ დროს პარიზში, ვერსალის სასახლეში, ევროპის საბჭოს არაფორმალური სხდომა იმართება. ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ სახელმწიფოების მთავრობის მეთაურებმა დისკუსია დაასრულეს იმით, რომ ევროკავშირის ლიდერებმა „დიახ“ უთხრეს უკრაინის ევროინტეგრაციას, რომელსაც შეიძლება წლები დასჭირდეს, თუ ეს პროცესი დაიწყება.**

# ილია ჭავჭავაძე: «საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან» — ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა

# რატომ არ ელოდა ილია ჭავჭავაძე საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან

რატომ **თუ?**

ახლა გაახსენდათ **ევროკავშირში „ევროპელთა საერთო იდენტობის გადახედვა“** (საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი) და რომ **„გამუდმებული გაფართოება ურევს პოლიტიკურ და გეოგრაფიულ იდენტობას“** (ევროსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ჰერმან ვან რომპეი). შექმნილი გეოპოლიტიკური ვითარების ფონზე უკრაინის, მოლდოვისა და საქართველოს განაცხადები ევროკავშირის წევრობისა კანდიდატობაზე პოლიტიკურ ვაჭრობას დაემსგავსა.

ომი კი მძვინვარებს, ევროპა გულუხვად ამარაგებს ტყვიების წვიმაში მოქცეულ უკრაინას მილიონობით დოლარის საფასურის საბრძოლო ტექნიკით...

და იხოცებიან პირტიტველა ბიჭები სამშობლოსათვის, ბრმა ტყვიის მსხვერპლი ხდებიან მოხუცები, ბავშვები, ქალები... მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლის გადასარჩენად რაიმე დათმობაზე წასვლაზე, მოლაპარაკების გზით ომის შეჩერებაზე უკვე აღარც საუბრობენ.

ადვილია სხვისი ხელით ნარის გლეჯა, თუმცა რუსეთის პირისპირ არც ისე ადვილი აღმოჩნდა, ძვირი ჯდება — მილიონები, მილიარდები, მაგრამ ულირთ ევროპელ მეგობრებს — საზარბაზნე ხორცად ქცეული უკრაინელები თავგანწირვით ებრძვიან „მტერს“.

ესეც შენი ევროპა!

ახლა კი ილიას თვალსაზრისს მივუბრუნდეთ.

მთელ თავის შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი 1882-1889 წლებს შორის გამოქვეყნებულ სტატიებსა და ნარკვევებში, **ილია ჭავჭავაძე ევროპას განიხილავს სივრცედ, რომელზეც დიდი სახელმწიფოები დომინირებენ. რუსეთის იმპერიის სიძლიერიდან გამომდინარე, მისი აზრით, არ არსებობს იმედი იმისა, რომ საქართველო ასეთ ევროპაში შვედეთის, ნორვეგიის, ნიდერლანდებისა და საბერძნეთის მსგავსად დამოუკიდებლობის მოპოვებას შეძლებს**.

ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ბერძენთა განმათავისუფლებელ ომს (1821-1829) საბერძნეთის დამოუკიდებლობა მოჰყვა, მაგრამ კრეტა ოსმალთა ხელში დარჩა. ამის შემდეგ კუნძულზე რამდენიმეჯერ მოხდა აჯანყება საბერძნეთთან შეერთების მოთხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. 1896 წლის მაისში კი კრეტაზე კვლავ დაიწყო აჯანყება. დიდი სახელმწიფოები (პირველ რიგში — ინგლისი) კრეტის საბერძნეთისთვის შეერთებას მხარს არ უჭერდნენ. რუსეთი წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ არ უნდოდა საბერძნეთის ჩრდილოეთისკენ გაფართოება. 1897 წლის მაისში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ჩარევამ საბერძნეთ-ოსმალეთის ომი შეაჩერა.

გაზეთი „ივერია“ 1897 წელს ფართოდ გამოეხმაურა ბერძენთა აჯანყებას კუნძულ კრეტაზე. ილია ჭავჭავაძემ კი ამ თემაზე „ივერიაში“ ორი წერილი გამოაქვეყნა (10 თებერვალსა (№22) და 13 მარტს (№ 48).

საბერძნეთის ამბებს თვალს ადევნებდა ასევე პეტერბურგის ქართველი სტუდენტობა, რომელთა შორის ბევრი საქართველოს დამოუკიდებლობისთვის თავგამოდებით იბრძოდა. იმხანად სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე გახლდათ **სამსონ ფირცხალავა**, შემდეგ ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე; ხოლო მდივანი — **ვიქტორ კალანდაძე.** სწორედ მათ სტუდენტების სახელით 1897 წელს წერილობით მიმართეს ილია ჭავჭავაძეს, რომელიც იმხანად გაზეთ „ივერიას“ ხელმძღვანელობდა, და გიორგი წერეთელს — გაზეთ „კვალის“ რედაქტორს: **დაუჭერდნენ თუ არა მხარს ევროპის დიდი სახელმწიფოები საქართველოს თვითგამორკვევას.**



ილია ჭავჭავაძის პასუხში, რომელიც 5 აპრილსაა დაწერილი, ვკითხულობთ, რომ იგი მიესალმება სტუდენტთა სურვილს: **„ძნელია, პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერ და ყოვლად თავს მოსაწონებელს გულთა ძვრას და გასამხნევებლად თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდან დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა“. მაგრამ ამავე დროს სტუდენტებს სთხოვს, რომ პატიოსან გულთა ძვრას ცივი ანგარიში დაუყენონ წინ, რადგან სტუდენტურ გატაცებას ზიანის მოტანა შეუძლია მათთვის, ბერძნებს კი დეპეშა ბევრს არაფერს არგებს, ამიტომ სტუდენტებს ურჩევდა: „ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემით კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელით: სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერხანად ნურც აქეთ გადაიხედავთ, ნურც იქეთ, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და ამ ორის უძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა საყვედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენგან ხსნასა და ბედნიერებას.**

**ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.**

**...შიში განსაცდელისა აქ საბუთია და სამართლიანი. გიყვარდეთ ჩვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყველაფერი.**

**„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგან“ — ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა“.**

## «ქვეყანა იმით კი არ არის უძლური, რომ ღარიბია, არამედ იმითი, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწეში ნურვინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთს თქვენგანის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ: თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი...»



პავლე ინგოროყვას ცნობით, ჩვენამდე მოღწეულია ილია ჭავჭავაძის წერილის შავი ვარიანტიც და საბოლოო ტექსტიც, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც ჩანს, ილიას წერილზე ბევრი უფიქრია და გადაწერის დროს ტექსტი გადაუმუშავებია და შეუვსიაო.

ნათელია, რომ ის დიდი გულისყურითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მსგავს საკითხებს, რამეთუ ერთი არასწორი ნაბიჯიც კი, შესაძლოა, საბედისწერო გამხდარიყო მთელი ერისთვის. **ილია კარგად ხედავდა მსოფლიოში შექმნილ რეალურ სურათს, რომელიც ნამდვილად არ იძლეოდა ევროპის იმედად ყოფნის საბაბს, მაგრამ ერის მამა ცდილობდა, დაემკვიდრებინა ის სამოქალაქო ეთიკა, რომელსაც სოციალური და პოლიტიკური თვალსაზრისით დასავლეთი, ევრო-ამერიკული სივრცე ამკვიდრებდა, ამიტომ თავი აარიდა პირდაპირ პასუხს და სტუდენტებს ურჩია, ევროპაზე დაყრდნობის ნაცვლად, „მეტი გაეკეთებინათ საქართველოსთვის“.**

რატომ არ ელოდა ილია საკმარის მხარდაჭერას ევროპული დიდი სახელმწიფოებისგან, ამ დიდი მამულიშვილის პუბლიცისტიკაში ნათლად ჩანს და დღეს ისიც ნათელია, რომ ევროპა ისევ ისეთ ევროპად რჩება, რომელსაც დიდი ილია არ ენდობოდა.

**დღეს, როცა ხშირად გაისმის ქართველების ომში ჩაბმის მოწოდებები, ერის მამის რჩევის გათვალისწინება გვმართებს უპირველესად, რომ ჩვენც პატიოსან გულთა ძვრას ცივი ანგარიში უნდა დავუყენოთ წინ, რადგან წინდაუხედავ ნაბიჯს მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია საქართველოსთვის, უკრაინელებს კი არაფერს არგებს.**

რაც შეეხება დასავლეთის აღშფოთება-შეშფოთებას, მას გემო ქართველებმა უკრაინელებზე ადრე გავუსინჯეთ.

ესეც შენი ევროპა!



## გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი: «ევროკავშირი მხარს უჭერს უკრაინას, მაგრამ მზად არ არის, მის გამო კავშირში მიღების წესი შეცვალოს»

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უძველესი გამონათქვამი „ყველა გზა რომში მიდის“, შეიცვალა გამოთქმით „ყველა გზა მოსკოვში მიდის“. სტალინის დიპლომატია და გეოპოლიტიკა შიშის ზარს სცემდა არა მხოლოდ მტრებს, არამედ მოკავშირეებსაც. ევროპას მშვიდობა უნდოდა, ამიტომ ჩამოხსნა უნაგირი „მეომარ ცხენს“ და უინსტონ ჩერჩილი პრემიერობიდან გადააყენა. ფრანკლინ რუზველტი კი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. პლანეტა მისი რეალური პატრონის, სტალინის, ხელში დარჩა.**

# სტალინი დიდ რუს ხალხთან ერთად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4-5, 2022 წ.

**„რუსეთი — ბოროტების იმპერია“, რუსი — „პირველყოფილი თემური წყობილების გზას აცდენილი და ცივილიზაციისთვის უვარგისი ხალხი“, „რუსი კარგია მკვდარი“, „რუსი აფერხებს ცივილიზაციის განვითარებას“, „რუსი — მკვლელი“, „რუსი — ლოთი“, „ფაშიზმი და კომუნიზმი ერთია“, „ჰიტლერი და სტალინი ტყუპისცალები არიან“... კიდევ რამდენ დამაკნინებელ სიტყვათა წყობას მოიგონებს ოკეანისგაღმელი ჰერმაფროდიტი, რუსის სახელს რომ მიუსადაგოს?!**
**— ვინ არის ყველა ამ საშინელების გამომგონებელი? — იკითხავს მკითხველი.**
**— ეს ანგლოსაქსების შემოქმედებაა! — ეს არის ჩემი, გრიგოლ ონიანის, პასუხი.**

ბრმა უნდა იყოს ადამიანი, ვერ ხედავდეს თანამედროვე ევროპაში ფაშიზმის აღორძინების ნიშნებს; ვერ ხედავდეს, რომ დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში უკრაინაში არ გახმა ფაშიზმის ფესვი და ამ ყავისფერი ჭირის განადგურებიდან 70 წლის შემდეგ, ანგლოსაქსების წაქეზებით, უკრაინის დედაქალაქ კიევში ქვეყნის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **იუშენკომ** ჰიტლერელთა დასაყრდენ ძალას, ჯალათ **სტეპან ბანდერას** უკრაინის გმირის წოდება მიანიჭა. 2014 წელს კი მრავალტანჯულ უკრაინის მიწაზე ადამიანთა წამებისა და აბუჩად აგდების ისეთი ფაქტები მოხდა, ნაცისტ კაციჭამიებს სიზმარშიც არ დაესიზმრებოდათ.

**უკრაინაში მოქმედებდა ათეულობით ამერიკული ბიოლოგიური ლაბორატორია და ამზადებდნენ ბირთვული იარაღს, რომელთა მეშვეობითაც, 20 წუთის ინტერვალით, შეეძლოთ, კრემლის კურანტებისთვის ესროლათ ბირთვული ბომბი, ამ საქმიანობის შეჩერების ნაცვლად, უკრაინის მიწაზე კვლავ აფრიალდა სვასტიკიანი დროშა. შედეგად უმოწყალოდ იხოცებიან ქალები, ბავშვები და მოხუცები, რომ არაფერი ვთქვათ ღირსეულ, ვაჟკაც შთამომავლებზე იმ გმირებისა, რომლებმაც დაამარცხეს ფაშიზმი და პლანეტა იხსნეს კაციჭამია ჰიტლერელებისაგან.**

მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებთან ერთად 15 საბჭოთა რესპუბლიკა საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსებით ებრძოდა მტერს, ყველაზე დიდი წვლილი რაიხსტაგიდან სვასტიკის ჩამოგდებაში მიუძღვის რუს ხალხს, რომლის ღვაწლიც ღირსეულად დააფასა უმაღლესმა მთავარსარდალმა **სტალინმა**, როდესაც გამარჯვების დღის აღსანიშნავ ვახშამზე წარმოთქვა დიდი რუსი ხალხის სადღეგრძელო, ხალხისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ომის მძიმე წლები. დღეს ამ გმირი რუსი ხალხის შთამომავლებს კვლავ წვავენ კოცონზე უკრაინაში დარჩენილი ჰიტლერის თანამზრახველთა შთამომავლები. სქესარეული ანგლოსაქსები კი უდიდესი ძალისხმევითა და უმუშევარი და მშიერი ადამიანების მოსყიდვით ფაშიზმის მხარდამჭერ ხალხმრავალ შეკრებებს აწყობენ.

მეორე მსოფლიო ომმა კაპიტალისტურ სამყაროს ბევრი ბურჟუაზიული სახელმწიფო გამოაკლო სათვალავიდან. კაპიტალისტების მცდელობით, კერძოდ, აშშ-ის პრეზიდენტ **ჯო ბაიდენის** მეთაურობით, მოახლოებულ მესამე მსოფლიო ომს შეეწირება მთლიანად კაპიტალისტური სამყარო და აღდგება კიდეც ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნება თავისუფლებაზე. **ლიბერალურმა აზროვნებამ შეცვალა და გადააფასა კაცობრიობის ღირებულებები და ფასეულობები. ახლა ლიბერალებს სურთ, მოსახლეობით გადატვირთულ პლანეტას შვება მოჰგვარონ და დედამიწაზე მცხოვრებთა რაოდენობა 8-დან „ოქროს მილიარდამდე“ ჩამოიყვანონ.**

მსოფლიოს ერთიანი მართვის ჩანასახი 1943 წელს გაჩნდა, როდესაც ფაშიზმის წინააღმდეგ ანტიფაშისტური კოალიცია შეიკრა და მსოფლიოს სამი უძლიერესი სახელმწიფო გაერთიანდა ლეგენდარული სამი პიროვნების სახით. მისი შექმნა ორიენტირებული იყო შედეგზე, რომელიც დადგა კიდეც და რომელსაც, უკვე 77 წელია, ვიმკით — მსოფლიოში ისეთი სისხლისმღვრელი კონფლიქტი, როგორიც იყო მეორე მსოფლიო ომი (1941-45წწ.), საბედნიეროდ, აღარ განმეორებულა.

მსოფლიოში ერთმმართველობის დამყარების მცდელობა ფულიანი „გენიოსების“ ინიციატივაა და პლანეტის „განხალხება“ სწრაფად მოხდება, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თუ საერთოდ ვერ განხორციელდება, დრო გვიჩვენებს. გენიოსობა ჭკუისა და ნიჭის უმაღლესი გამოვლენაა, მაგრამ მხოლოდ ნიჭისა და ჭკუის უმაღლეს გამომვლენს რატომ უნდა ეწოდოს გენიოსი, **ბოროტებაში გამოვლენილ კაცთმოძულეობასაც ხომ ჭკუა და ნიჭი სჭირდება?! სწორედ ამიტომ გამოიგონეს ეპითეტი — ბოროტი გენია.** გენიოსი **ალექსანდრე პუშკინი** თავის დროზე წერდა, — გენიოსობა და ბოროტება შეუთავსებელია, მაგრამ პუშკინი ხომ „ძველია“, ესენი კი ახალ ცხოვრებას აშენებენ და ახალ ადამიანებს ქმნიან.

„ბოროტ გენიად“ წოდებული სტალინი დემოგრაფიულ მდგომარეობას, დღევანდელი მმართველებისგან განსხვავებით, დიდ ყურადღებას უთმობდა. მან დედა, რომელმაც შვა და აღზარდა 12 შვილი, სამშობლოს გმირი დამცველების რიგებში დააყენა, გმირი დედის საპატიო წოდება მიანიჭა და სოციალური შეღავათებითაც დაეხმარა. დღეს კი ადამიანები, რომლებიც დედამიწის მოსახლეობაზე ცდას ატარებდნენ, როგორ უნდა ამოწყვიტონ დედამიწის მოსახლეობის, სულ ცოტა, ერთი მესამედი, დემოკრატებად და ხალხთა დაცვის სადარაჯოზე მდგომ „ანგელოზებად“ არიან წარმოდგენილნი.

როდესაც დიდ **ალბერტ აინშტაინს** ჰკითხეს, — რას წაიღებდით გალაქტიკაში შორეულ მოგზაურობაშიო, გენიოსმა უპასუხა: „ბიბლიას და სერვანტესის „დონ კიხოტს“. **ჩვენ უკვე გვქონდა ქრისტეს მოძღვრებაზე აშენებული ქვეყანა, რომლის მნიშვნელობასა და შორეულ მიზნებს, ადრე თუ გვიან, დაინახავენ ადამიანები, მაგრამ ისინი, ვისაც პირველებს უნდა დაენახათ ღვთის ძის სიბრძნე და გენიალურობა, ჩუმად არიან და ღმერთისგან აშენებული ქვეყნის დამანგრევლებს სანთელს უნთებენ.**

ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი **დევიდ ბრანდენბერგერი** ირწმუნება: „რუსი ხალხი სტალინმა გამოიგონა. მასობრივი საშუალო განათლება, წიგნიერება, კულტურული პოლიტიკა წარსულის მიმართ რუსეთში მხოლოდ XX საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა. ვინ არიან რუსები და რატომ ცხოვრობენ ისინი დედამიწის ამ უკიდეგანო სივრცეში, რომელსაც დღესაც საბჭოთა კავშირი ჰქვია, მსოფლიომ შეიტყო ისტორიის სახელმძღვანელოებიდან და ფილმიდან „ალექსანდრე ნეველი“. მოკლედ, დღეს რუსად ყოფნა ნიშნავს სტალინურად ყოფნას“.

შეფასება სწორია. **დიახ, რუს ხალხს ნამდვილად სწამს და სჯერა, რომ ის ცხოვრობდა, ცხოვრობს და იცხოვრებს სტალინის რუსეთში. კიდევ ერთხელ დასტურდება სტალინის სიტყვები: „მთავრობები მიდიან და მოდიან, ხალხი კი რჩება“. სანამ პლანეტაზე ერთი რუსული სოფელი მაინც იარსებებს, მანამდე უკვდავი იქნება სტალინის სახელი. სტალინი ყველა დროის გეოპოლიტიკის უმაღლესი მწვერვალია.**

1992 წლის აპრილში ამერიკის მემკვიდრეობის ფონდის საგარეო პროექტში ბატონები **კიმ რ. ჰოლმსი** და **ჯეი პ. კოზმინსკი** დაჟინებით ურჩევდნენ ამერიკის ადმინისტრაციას, ყველაფერი გაეკეთებინათ, რათა **„საბჭოთა კავშირი ან მისი მსგავსი სახელმწიფო არასდროს წარმოქმნილიყო. პენტაგონმა უნდა განაგრძოს კვლევები და განვითარება წყალქვეშა თავდაცვის, მაღალი სიზუსტის იარაღის, სატელიტური ტექნოლოგიებისა და ა.შ. სფეროში, და ეს ყველაფერი იმისთვისაა საჭირო, რომ ამერიკამ განაგრძოს გლობალური ჰეგემონის როლის თამაში ამერიკის დასაცავად, რისთვისაც აუცილებელია, ევროპისა და აზიის ყველაზე მნიშვნელოვან ინდუსტრიულ და ეკონომიკურ ცენტრებზე, აგრეთვე, მნიშვნელოვან ნედლეულზე გააძლიეროს გავლენა“.**

ზოგიერთს ჰგონია, რომ გასული საუკუნის 30-იანი წლები მხოლოდ რეპრესიებისა და ხალხის ხოცვა-ჟლეტის ათწლეულია. 1929 წელს, მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი გაიწმინდა იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტებისგან და იმ ადამიანებისგან, რომლებიც რუსი ხალხის დასამორჩილებლად იყვნენ მოსულნი, ქვეყანამ განვითარების პერსპექტიული გეგმა კომპარტიის მორიგ ყრილობაზე გამოაცხადა.

1939 წელს სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის დაგეგმვაში მონაწილეობდა ცნობილი ანტისაბჭოელი და ანტისტალინელი **ალექსანდრე ზინოვიევი,** რომელიც შემდგომ მგზნებარე სტალინელად იქცა. სამართალდამცველებმა ტერორისტული აქტი აღკვეთეს და ახალგაზრდა ზინოვიევი პასუხისმგებლობის თავიდან ასარიდებლად ამერიკაში გაიქცა. აი რას წერდა ის 1930-იანი წლების საბჭოთა ახალგაზრდობაზე: **„არც ერთ ქვეყანას არც ერთ ეპოქაში არ აღუზრდია მორალურად, ფიზიკურად და პატრიოტულად განწყობილი ისეთი ახალგაზრდობა, როგორიც იყო 30-იანი წლების საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა. მათ შიშველი ხელებით დაახრჩვეს ურჩხული, რომელიც წალეკვით ემუქრებოდა მსოფლიოს“. აქ ზინოვიევს არა მხოლოდ ჰიტლერი, არამედ მასთან ერთად ტროცკი და მისი დამქაშებიც ჰყავს მხედველობაში.**

1937 წელი უცხო ქვეყ- ►



**მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეებთან ერთად 15 საბჭოთა რესპუბლიკა საკუთარი ადამიანური და მატერიალური რესურსებით ებრძოდა მტერს, ყველაზე დიდი წვლილი რაიხსტაგიდან სვასტიკის ჩამოგდებაში მიუძღვის რუს ხალხს, რომლის ღვაწლიც ღირსეულად დააფასა უმაღლესმა მთავარსარდალმა სტალინმა, როდესაც გამარჯვების დღის აღსანიშნავ ვახშამზე წარმოთქვა დიდი რუსი ხალხის სადღეგრძელო, ხალხისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა ომის მძიმე წლები**

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲠᲝ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1931-41 ᲬᲚᲔᲑᲘ — ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲗᲣ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲢᲠᲔᲑᲗᲐᲜ ᲮᲔᲚᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ ᲗᲐᲕᲓᲐᲣᲖᲝᲒᲐᲕᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ. ᲤᲔᲗᲥᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲦᲣᲛᲔᲚᲔᲑᲘ, ᲓᲘᲓᲘ ᲡᲐᲐᲛᲥᲠᲝᲔᲑᲘ, ᲠᲙᲘᲜᲘᲒᲖᲘᲡ ᲚᲘᲐᲜᲓᲐᲒᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲔᲑᲘ, ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲔᲑᲘ ᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲨᲐᲮᲢᲔᲑᲨᲘ, ᲖᲦᲕᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲰᲐᲔᲠᲨᲘ. ᲓᲐᲜᲒᲠᲔᲣᲚᲘ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲒᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲓᲐ ᲕᲘᲗᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲫᲘᲛᲔ, ᲘᲡᲔ ᲛᲡᲣᲑᲣᲥᲘ ᲘᲜᲓᲣᲡᲢᲠᲘᲐ. ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲙᲘ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ ᲓᲐ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲝᲕᲚᲐᲗᲘ.



◀ნებიდან შემოჭრილ ვირუსებთან ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი იყო. ამ ბრძოლიდან საბჭოთა ქვეყანა და სტალინი გამარჯვებული გამოვიდნენ. გენიოსი რუსი მეცნიერი **ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲔᲜᲓᲔᲚᲔᲔᲕᲘ** თავის დროზე ამტკიცებდა, ფორმაციის შეცვლა ისეთ დიდ ქვეყანაში, როგორიც რუსეთია, 100 მილიონამდე ადამიანს შეიწირავსო. თითქოს სასაცილოა მეცნიერის ეს სიტყვები, მაგრამ ქიმიური ელემენტების ცხრილის შემქმნელს ყველაფერი დაეჯერება.

**ᲚᲔᲕ ᲢᲝᲚᲡᲢᲝᲘ** და **ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔ ᲓᲝᲡᲢᲝᲔᲕᲡᲙᲘ** კი მედლის ორი მხარეა. თუ დოსტოევსკი რუსეთის ფანატიკოსი და პატრიოტია, ტოლსტოი არად აგდებს პატრიოტულ განცდებს. ჩემი აზრით, დოსტოევსკი ნატურალისტი მწერალია, რომლის ნაწერებიც თვითონ მკითხველმა აიყვანა ფილოსოფიურ სიმაღლეზე. **დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელი", „იდიოტი", „მოთამაშე" და სხვ. პირადი ცხოვრებიდან აღებული თემებია, რომლებიც ემოციებით არის დაწერილი და კარგად იკითხება. დიდი კონსტანტინე გამსახურდია თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობდა: რამდენჯერაც ჩემი რომანის გმირი მოვკალი, იმდენჯერ ჩემი სიცოცხლე დავასრულე". მწერალი თავისი გმირის ცხოვრებით ცხოვრობს. ის ბუნებით რაინდია და რაინდის სიკვდილს პირად ტრაგედიად აღიქვამს, რადგან გმირის ბოლო ამოსუნთქვა მწერლის ბოლო ამოსუნთქვის ტოლფარდია.**

დოსტოევსკის „იდიოტის" მთავარი გმირის, თავადის — **ᲚᲔᲕ ᲛᲘᲨᲙᲘᲜᲘᲡ** ცხოვრების გზა ჩვენ გვერდით მდგომი ადამიანის მხატვრულად დაწერილი ცხოვრების გზაა. ამ გზას ფილოსოფიურად შეხედავ თუ მოწყალების თვალით, შენი საქმეა. ემოციებისგან დაცლილი კაცი, რომელსაც აგრესიის უნარი არ შერჩენია და მხოლოდ სიკეთის თვალით უყურებს სამყაროს, დოსტოევსკის აზრით, იდიოტია. აი სადამდე მივყავართ დოსტოევსკის ფილოსოფიას, რომელიც რუსეთის სიძლიერეს მართლმადიდებლობაზე აფუძნებს. ოჰაიოს უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის პროფესორ **ჯეიმს სკენლანს მიაჩნია, რომ დოსტოევსკის აზრით, რუსი ხალხი ღმერთის რჩეულია, რომელმაც მსოფლიო უნდა გადაარჩინოს. რუსი ხალხი განსხვავებულია სხვა ხალხებისგან. რუსები უდიდესი ძმური სულისკვეთებით გამოირჩევიან. ისინი სხვა ხალხების წინ დგანან, როგორც ინტელექტუალური, ისე ადამიანური ურთიერთობის თვალსაზრისით"...** სტალინის „სადღეგრძელო დიდი რუსი ხალხისადმი" შესულია მსოფლიოს სიტყვაკაზმულ გამოთქმათა ენციკლოპედიაში. **რუსი და მსოფლიო პოლიტიკოსების შეფასებით, სტალინმა თვითონ შექმნა „დიდი რუსი ხალხი" და თვითონვე შეაფასა, რაც მსოფლიოს ხალხებმა მოკლე პერიოდში დაინახეს საკუთარი თვალით. სტალინი რუსი ხალხის შეფასებაში თანმიმდევრულია, დოსტოევსკი კი — გაორებული. მწერალი ერთ შემთხვევაში რუსეთის მართლმადიდებლურ მისიად ქრისტიანულ სიკეთესა და სხვა ხალხებისადმი ძმურ სამსახურს მიიჩნევს, მეორე შემთხვევაში კი რუსეთის იმპერიალისტური პოლიტიკური ძალაუფლების გაფართოების მხარდამჭერია — რუსეთმა ქრისტიანული რწმენა უნდა შეუნარჩუნოს და განუმტკიცოსო მსოფლიოს.** დოსტოევსკი ახალგაზრდობაში სულაც არ იყო სლავოფილი თუ რუსოფილი. იგი მედასავლეთეობდა და აბუჩად იგდებდა რუსოფილებსაც და სლავოფილებსაც, მაგრამ სიცოცხლის ბოლოს ძალიან დაუახლოვდა მათ. ამის გარდა, დოსტოევსკი მხურვალედ უჭერდა მხარს **ᲞᲔᲢᲠᲔ I**-ის რეფორმებს და მის პატივისცემას უცხოელთა მიმართ. 1880 წელს დოსტოევსკიმ ხალხებს შორის უნივერსალური ძმობის დამყარების რუსულ მისიაზე საუბრისას განაცხადა, რომ ეს გაერთიანება არიული რასის ხალხებში მოხდებოდა.

ჯეიმს სკენლანი — დოსტოევსკის მკვლევარი, შენიშნავს: **„არ ვიცი, სად ამოიკითხა ეს ან რას გულისხმობდა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — ძმური სულისკვეთება, რომელსაც ის რუსებს მიაწერს, ბიოლოგიური ფაქტორებით კი არ არის განპირობებული, არამედ იმ გზით, რომელიც რუსმა საზოგადოებამ საუკუნეების განმავლობაში გამოიარა. ძმობა, სხვა ხალხების გაგებისა და მათთან კარგი ურთიერთობის დამყარების უნარი რუსებისთვის „ბუნებრივია", მაგრამ ეს მეორადი ბუნებაა და არა ბიოლოგიით განპირობებული. მაგრამ, როცა რუსების „უნივერსალურობაზე" ლაპარაკობს, აქ ის ძალიან უახლოვდება ბიოლოგიას.** „რუსებს სხვა ერებისაგან უნივერსალურობა და ძმური სულისკვეთება გამოარჩევს და კაცობრიობის გადარჩენაზე განაცხადის გაკეთების საფუძველსაც სწორედ ეს ქმნის", — ამბობდა დოსტოევსკი.

ზოგიერთი ადგილობრივი თუ უცხოელი მუცლითმეზღაპრე ისტორიკოსის გასაგონად უნდა განვმარტო, ვის უნდა უმადლოდეს კაცობრიობა ყავისფერი ჭირის — ფაშიზმის — დამარცხებას.

მოვიყვან უტყუარ მასალას — ეს არის ფაშიზმის დამარცხების ძირითადი მოწმის, დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრის, ანტიჰიტლერული კოალიციის წევრის — **ᲣᲘᲜᲡᲢᲝᲜ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ** წერილი (დათარიღებულია 1945 წლის 23 თებერვლით) სტალინისადმი:

**„მარშალ სტალინს!**

**წითელი არმია თავის 37-ე წლისთავს ზეიმობს ტრიუმფით, რომელმაც მისი მოკავშირეების უსაზღვრო აღფრთოვანება გამოიწვია და რომელმაც გერმანული მილიტარიზმის ბედი გადაწყვიტა. მომავალი თაობები თავიანთ ვალს წითელი არმიის წინაშე ისევე უსიტყვოდ აღიარებენ, როგორც ამას ვაკეთებთ ჩვენ — ამ ბრწყინვალე გამარჯვების ცოცხალი მოწმეები. გთხოვთ, დიდი არმიის დიად ხელმძღვანელს, მიესალმოთ წითელ არმიას ჩემი სახელით საბოლოო გამარჯვების ზღურბლზე"** (1941-1945 წლების მიმოწერა. ტომი 1, 1985 წელი, გვ. 391).

იქნებ ეს წერილიც საეჭვოდ ჩათვალონ „ჩვენმა" ლიბერალებმა და კვლავ თქვან, — ფაშიზმი ამერიკამ და ინგლისმა დაამარცხაო. XX საუკუნე (სხვა საუკუნეებს არ ვეხები) ოთხ ძირითად პერიოდად იყოფა: რევოლუციამდელ, რევოლუციის შემდგომ, დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომ პერიოდებად. რევოლუციამდელ მსოფლიოს უამრავი მკვლევარი და ჟამთააღმწერელი ჰყავს, მათ რაციონალური მარცვლის გამოტანა შეუძლიათ და, ესიამოვნება თუ არა ვინმეს ეს, ჭეშმარიტება თითქოს დადგენილია, თუმცა შიგადაშიგ თავს იჩენს დაუმსახურებელი ქება-დიდება და კერპთაყვანისმცემლობა. **რევოლუციის შემდგომი პერიოდი მსოფლიოში „სოციალისტური შეჯიბრების" პერიოდია. ორპოლუსიანი მსოფლიოს გაჩენამ და ალტერნატიული ფორმაციის შექმნამ მეტოქეობა ჩამოაგდო მსოფლიოს არა მხოლოდ გეოპოლიტიკაში, არამედ ეკონომიკაში, განათლებაში, თავდაცვაში, სპორტში, ხელოვნებაში და, საერთოდ, ადამიანების განვითარების ყველა სფეროში.**

1931 წელს გამართულ სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა საკავშირო კონფერენციაზე სტალინის სიტყვები გამოწვევა იყო: **„ჩვენ კაპიტალისტურ ქვეყნებს 50-100 წლით ჩამოვრჩებით და, თუ ეს ჩამორჩენა ათ წელიწადში არ დავძლიეთ და ვერ დავეწიეთ, ისინი ჩვენ გაგვსრესენ". ამ სიტყვების წარმოთქმიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოსკოვში ჩასული გერმანელი მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი თავის წიგნში „მოსკოვი. 1937 წელი" წერდა:**

„მე ვნახე ქარხნები, რომლებშიც ათიათასით მუშა მუშაობდა საუკეთესოდ მოწყობილ საამქროებში. გამაკვირვა მათი ჩაცმულობისა და კვების ორგანიზაციამ. კეთილმოწყობილ მუშათა სასადილოებში, ისე, რომ ზედმეტი არ დახარჯოს, მუშას ორ მანეთად შეუძლია მსუყე სადილი მიირთვას, ეს მაშინ, როდესაც მუშის საშუალო ხელფასი 3 ათას მანეთს აჭარბებს".

**1931-41 წლები — ეს იყო საბჭოეთის შინაურ თუ გარეშე მტრებთან ხელჩართული ბრძოლისა და პარალელურად თავდაუზოგავი შრომის პერიოდი. ფეთქდებოდა ღუმელები, დიდი საამქროები, რკინიგზის ლიანდაგებიდან ვარდებოდა შემადგენლობები, კატასტროფები ხდებოდა შახტებში, ზღვასა და ჰაერში. დანგრეული სწრაფად დგებოდა მწყობრში და ვითარდებოდა როგორც მძიმე, ისე მსუბუქი ინდუსტრია. სოფლად კი გუგუნებდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და იქმნებოდა საზოგადოებრივი დოვლათი.**

საბჭოთა სახელმწიფომ 10 წელიწადში შეიძინა დამოუკიდებლობის ყველა ატრიბუტი. გავიდა ათი წელი და საბჭოეთის მიწაზე ჩვენს გასასრესად შემოიჭრა სიკვდილის მანქანა — ფაშიზმი. მსოფლიოში დიქტატურა მძვინვარებდა: იაპონია ზღვაზე ბატონობას ცდილობდა, რასაც ვერ თმობდა „ზღვის ლომი" — დიდი ბრიტანეთი. იტალიაში ჩაისახა ვირუსი ფაშიზმისა **ᲓᲣᲩᲔᲡ** სახით. ესპანეთი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა ხალხის დასათრგუნავად და ტერიტორიების მოსაპოვებლად, ჰიტლერი წალეკვით ემუქრებოდა მსოფლიოს, ველურ რუსეთს კი მოხერხებულად ხედნიდა სამხრეთელი მომთვინიერებელი.

მეორე მსოფლიო ომმა მსოფლიო ხალხებს ასწავლა შრომა, მომჭირნეობა, მოთმენა და გაერთიანება. 61 დიდი თუ პატარა ქვეყანა ჩაება ომში. ხელში თოფი აიღო 110 მილიონმა ადამიანმა. მხოლოდ საბჭოთა კავშირში 717 დიდი ქალაქი დაანგრია ომმა. მთელი ევროპა ნანგრევებად იქცა. ომი დამთავრდა. დაიწყო მეოთხე ეტაპი — ომის შემდგომი პერიოდი. ქვეყანას, მასთან ერთად მსოფლიო ხალხებს, ეგონათ, გაგრძელდებოდა ხალხთა მეგობრობა და სიღარიბესაც ისე დაძლევდნენ, როგორც საბჭოეთმა სძლია ფაშიზმს. გამარჯვების ტრიუმფატორი, რომელიც ერთადერთი შემორჩა მსოფლიოს, ამაყად იდგა მავზოლეუმის ტრიბუნაზე და გასცქეროდა მსოფლიო სივრცეებს, მის ფეხებთან კი ემხობოდა გერმანული ფაშიზმის დროშები და შტანდარტები.

უძველესი გამონათქვამი „ყველა გზა რომში მიდის" შეიცვალა გამოთქმით „ყველა გზა მოსკოვში მიდის". სტალინის დიპლომატია და გეოპოლიტიკა შიშის ზარს სცემდა არა მხოლოდ მტრებს, არამედ მოკავშირეებსაც. ევროპას მშვიდობა უნდოდა, ამიტომ ჩამოხსნა უნაგირი „მეომარ ცხენს" და უინსტონ ჩერჩილი პრემიერობიდან გადააყენა. ფრანკლინ რუზველტი კი გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. პლანეტა მისი რეალური პატრონის, სტალინის, ხელში დარჩა.

**1941 წლის 7 ნოემბრის ლეგენდარული აღლუმის შემდეგ სტალინის უტეხი ნება მსოფლიოში საარაკო ამბად იქცა. ჰიტლერის ელვისებური ომის მითი რუსეთის წინააღმდეგ საპნის ბუშტივით გასკდა მოსკოვთან. მსოფლიო ზეიმობდა ჰიტლერის პირველ დაჩოქებას საბჭოეთის დედაქალაქთან. ამერიკის შეერთებული შტატების, კანადისა და ცენტრალური ამერიკის აბორიგენი ინდიელების 27 ტომობრივი გაერთიანების კონფერენციამ გადაწყვიტა, აერჩია ტომთა ბელადი. ტომების წარმომადგენლებმა, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ ტომთა ბელადის კანდიდატად, ერთხმად განაცხადეს უარი არჩევაზე და ყველა კანდიდატმა შეთანხმებულად დაასახელა სრულიად ახალი კანდიდატი — საპატიო ბელადად აირჩიეს უბადლო მხედართმთავარი სტალინი.** არჩევნების შედეგი ამერიკა-რუსეთის სამხედრო დახმარების საზოგადოების თავმჯდომარე **ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲙᲐᲠᲢᲔᲠᲛᲐ** ამერიკაში საბჭოთა კავშირის ელჩ კონსტანტინე უმანსკის აცნობა და მას ინდიელი ხალხის სახელით სტალინისთვის გადასცა ძვირფასი ქსოვილითა და ბრილიანტებით შემკული ინდიელთა წინამძღოლის ქუდი.

ამერიკის აბორიგენი ხალხის ძვირფასი საჩუქარი საბჭოთა მხარეს 1942 წლის თებერვალში გადასცეს ქალაქ ნიუ-იორკში ინდიელთა ტრადიციული რიტუალის თანხლებით. „ნიუ-იორკ თაიმსმა" გამოაქვეყნა წერილი ამ მოვლენაზე, რომელიც სენსაციად იქცა და მიიპყრო მსოფლიოს პრესის ყურადღება. მსოფლიოს აინტერესებდა სტალინის რეაქცია, მაგრამ დუმდა, როგორც პრესა, ისე კრემლი.

**სტალინის თანაგრძნობა ინდიელი ხალხის მიმართ მხოლოდ 1944 წელს გამომჟღავნდა, როდესაც ინდიელი ხალხის ბელადის ტიტულის სიგელთან ერთად უძვირფასესი თავსამკაული სტალინის სამდივნომ ოფიციალურად გადასცა რევოლუციის მუზეუმს, რომელშიც ამჟამადაც არის გამოფენილი.**

1946 წლის 6 მარტს ბრიტანეთის მანტიამოსხმული „ბებერი ლომი", რომელსაც არანაირი ვალდებულება არ აწვა მხრებზე, გარდა იმისა, რომ ჩერჩილი იყო, საუნივერსიტეტო ქალაქ ფულტონში უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე წარდგა, ზარი ავის მომსაწავებლად დაარისხა და მოუწოდა მსოფლიოს წითელი ფაშიზმის წინააღმდეგ. ამან რკინის ფარდა ჩამოუშვა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. დაიწყო ცივი ომი, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა.








ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ!
ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲑᲐᲢᲝᲜ ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲝᲜᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲒᲜ „ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ" ᲛᲔ-7 ᲓᲐ ᲛᲔ-8 ᲢᲝᲛᲔᲑᲘ. ᲨᲔᲫᲔᲜᲘᲡ ᲛᲡᲣᲠᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲠᲔᲙᲔᲗ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲖᲔ: 597100600.

კაცობრიობის წინააღმდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბოლო 20 წელიწადია, მსოფლიოში ძალიან ცუდი ვითარებაა: არ არსებობს ამერიკული ბიოლოგიური პროგრამების შემოწმების არანაირი მექანიზმი. უფრო მეტიც, ვაშინგტონმა დააჩქარა ბიოლაბორატორიების შექმნა აშშ-ის საზღვრებს გარეთ — ბოლო 20 წელიწადში 336 ლაბორატორია შექმნა მსოფლიოს 30 ქვეყანაში.**

# კოვიდ-19 გამოუცხადებელი ბიოლოგიური ომია და არა პანდემია




**ერთ-ერთი მიზეზი, რომლის გამოც ბიოლოგიური ომის თემამ წინა პლანზე წამოიწია რამდენიმე მედიასაშუალებაში, არის ინფორმაცია, რომელიც რუსეთმა მოიპოვა უკრაინაში სპეციალური სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას.**




ოპერაციის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უკრაინის ტერიტორიაზე მუშაობდა, სულ ცოტა, 15 ბიოლაბორატორია, რომლებსაც აშშ აკონტროლებდა. შემდეგ გაირკვა, რომ ასეთი ლაბორატორიების რაოდენობა თითქმის ორჯერ მეტია. ეს ლაბორატორიები მუშაობდნენ აშშ-ის სამხედრო უწყების ინტერესების შესაბამისად და ბიოლოგიური იარაღი მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ.

**1972 წელს ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მა და საბჭოთა კავშირმა, ხელი მოაწერა კონვენციას ბაქტერიოლოგიური (ბიოლოგიური) და ტოქსიკური იარაღის დამზადება-დაგროვების აკრძალვისა და მათი განადგურების შესახებ.** ამ შეთანხმების შესრულების გაკონტროლებაში ვაშინგტონი უცნაურ პასიურობას იჩენდა. 2011 წელს მან ჩაშალა ხელმოწერა ოქმისა, რომელიც ითვალისწინებდა ორმხრივი შემოწმების მექანიზმს, რადგან თავის ტერიტორიაზე ქმნიდა საიდუმლო რეჟიმით მომუშავე ბიოლაბორატორიებს.

**ბოლო 20 წელიწადია, მსოფლიოში ძალიან ცუდი ვითარებაა: არ არსებობს ამერიკული ბიოლოგიური პროგრამების შემოწმების არანაირი მექანიზმი. უფრო მეტიც, ვაშინგტონმა დააჩქარა ბიოლაბორატორიების შექმნა აშშ-ის საზღვრებს გარეთ — ბოლო 20 წელიწადში 336 ლაბორატორია შექმნა მსოფლიოს 30 ქვეყანაში. მათგან ბევრი რუსეთის საზღვრებთან ახლოსაა.**

ამჟამად თემა „პანდემია“ მეორე და მეათე პლანზეც კი გადავიდა, მაგრამ ეს და ბიოლოგიური ომის თემები უნდა გაერთიანდეს. ისინი ერთმანეთს ავსებს.

„პანდემიის“ პირველ წელს ბევრი იყო კოვიდის ბუნებრივი წარმოშობის ვერსია, — პათოგენი covid-19 ბუნებაში თვითონ გაჩნდაო, მაგრამ თანდათან შეგროვდა ფაქტები, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა ამ ვერსიას.

**მეორე ვერსიით,** კოვიდი შექმნეს ჩინურ ქალაქ უჰანის ბიოლაბორატორიაში და შემთხვევით (უფრო ზუსტად, ვილაცის გაუფრთხილებლობით) გავრცელდა. თავდაპირველად დაიწყო ამ დიდი ქალაქის (11 მლნ) მცხოვრებთა დასნებოვნება, შემდეგ გავრცელდა ჩინეთის სხვა ქალაქებში და ბოლოს — მსოფლიოში. ვაშინგტონი ამ ვერსიას იზიარებდა, ამან შესაძლებლობა მისცა, პეკინი ყველა მძიმე ცოდვაში დაედანაშაულებინა და მისგან ასტრონომიული კომპენსაციაც კი მოეთხოვა პანდემიით გამოწვეული ზარალისთვის.

მაგრამ **„უჰანის ვერსია“ დამაჯერებელი არ არის.** მნიშვნელობა არ აქვს, როგორ გაჩნდა ვირუსი, ის გარკვეულ პერიოდში თანაბრად უნდა გავრცელებულიყო და ერთნაირად უნდა დაეინფიცირებინა ადამიანები ჩინეთშიც, ევროპაშიც და ამერიკაშიც, მაგრამ **კოვიდის სტატისტიკა, რომელსაც ჰოპკინსის ამერიკული უნივერსიტეტი, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია და სხვა დაწესებულებები აწარმოებენ, უცნაურ სურათს აჩვენებს. დიახ, შეიძლება იყოს და არის კიდეც განსხვავება, მაგრამ, როცა კოვიდით გამოწვეული სიკვდილის შემთხვევები ქვეყნებში (1 მლნ მოსახლეზე გათვლით) 10-ჯერ და 100-ჯერ განსხვავდება, დამაფიქრებელია.**

**30 ქვეყანაში გაფანტული 336 ამერიკული ბიოლაბორატორია (30 ჩინური ლაბორატორიის გამოკლებით, რომლებიც თამაშს გამოეთიშნენ) განაგრძობს თავისებური სამხედრო ბაზების ფუნქციების შესრულებას. ისინი დაკავებულნი არიან არა მხოლოდ ბიოიარაღის ახალი სახეობებისა და მათი გადასატანი საშუალებების შექმნით, არამედ ასრულებენ თავისებური ჰაბების როლს, რომლებშიც ამერიკელი სამხედროები ინახავენ აშშ-ის მოწინააღმდეგეების მიმართ გამოსაყენებელ პათოგენებს. მათგან ერთ-ერთია Covid-19**

ამერიკულ ბიოლაბორატორიებზე ჩვეულებრივ ამბობენ: ისინი უნდა დაიხუროს, რადგან შეიძლება გამოიყენონ ბიოლოგიური ომის საწარმოებლად, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ კოვიდსტატისტიკის უცნაურობებზე, სხვანაირად ლაპარაკობენ: **ამერიკული ბიოლაბორატორიები უნდა დაიხუროს, იმიტომ, რომ ისინი უკვე აწარმოებენ ბიოლოგიურ ომს კაცობრიობის წინააღმდეგ და ამ ომის იარაღი არის covid-19.** ასეთი „არასტანდარტული“ ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ პათოგენს „დამიზნებით“ იყენებენ (მიზანი შეიძლება იყოს ადამიანი, ადამიანთა ჯგუფი ან ერთი ქვეყნის მოსახლეობა).

**ასეთი „არასტანდარტული“ ექსპერტების წარმომადგენელია რონ უნზი (Ron Unz). უკრაინულ-ებრაული ოჯახის წარმომადგენელი, მილიარდერი. დაკავებული იყო ბიზნესით მაღალი ტექნოლოგიების სფეროში კაჟის ველზე. არის კონსერვატიული მიმართულების პოლიტიკური მოღვაწე, მწერალი, 2007-2013 წლებში იყო The American Conservative-ს გამომცემელი, რომელშიც უნზი აკუმულირებდა ამერიკის ოფიციალური თვალსაზრისის ალტერნატიულ თვალსაზრისს ქვეყანასა და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე.** 2020 წლიდან მისი წერილების მთავარი თემა იყო „პანდემია“. ამ თემაზე უნზის თვალსაზრისი ისე განსხვავებულია ვაშინგტონის ოფიციალური პოზიციისგან, რომ The Unz Review-ის ბევრი მასალა იბლოკება. 2021 წელს კი მან გამოსცა წიგნი „ჩვენი კატასტროფა Covid-19“ (Our Covid-19 Catastrophe).

რონ უნზი უარყოფს პათოგენის ბუნებრივ წარმოშობას.

იმ ვერსიაში, რომელსაც ვაშინგტონი იზიარებს, ვირუსის წარმოშობის ისტორია ასეთია: ვირუსმა გამოჟონა უჰანის ლაბორატორიიდან და დაასნეულა ადამიანები იმავე უჰანის ზღვის პროდუქტების ბაზარში. ეს, ერთი შეხედვით, სიმართლესთან ახლოსაა, მაგრამ უნზი აზუსტებს: ლაბორატორიიდან ბაზრამდე 20 კმ-ია. ლაბორატორიის გარშემო მსხვერპლი რატომღაც არ ყოფილა. საერთოდ კი, უნზს არ სჯერა, რომ პათოგენი უჰანის ლაბორატორიიდან გავრცელდა.

**რონ უნზი ყველას შეახსენებს, რომ 2019 წლის ოქტომბერში მსოფლიო სამხედრო თამაშების ჩარჩოებში უჰანში იმყოფებოდა 300-მდე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე. ეს ისტორია** ▶



ლუგარის სახელობის ამერიკული ბიოლაბორატორია თბილისში




**დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ 2020 წლის 2 იანვარს გენერალი ყასემ სულეიმანი მიზანმიმართულად მოკლეს. პენტაგონმა დაადასტურა, რომ სულეიმანი პრეზიდენტ ტრამპის განკარგულებით გამოასალმეს სიცოცხლეს. რამდენიმე კვირის შემდეგ კი ირანის ხელისუფლების ელიტის წარმომადგენლები კოვიდით დაინფიცირდნენ და დაიხოცნენ**



# „რას იფიქრებდნენ ამერიკელები, თუკი 300 ჩინელი ოფიცერი საკმაო ხნით ჩავიდოდა ჩიკაგოში და მათი წასვლისთანავე ამ ქალაქში იფეთქებდა უცნობი ვირუსული ეპიდემია?“

კაცობრიობის წინააღმდეგ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დაწვრილებით არის აღწერილი უნზის სტატიაში **„ბიოიარაღი Covid-ი: დამზადებულია აშშ-ში, დამიზნებულია ჩინეთზე“ (The Covid Bio Weapon: Made in the USA, Aided at China).**

რონ უნზი წერს: **„ეს ვიზიტი (ამერიკელი სამხედროების ჩასვლა უჰანში) იდიალური საფარველი იქნებოდა ამერიკისთვის, რათა ორი ოპერატიული მუშაკი ჩაესვათ ჯგუფში და მათ ვირუსი ქალაქში გაევრცელებინათ. ათასობი უცხოელ სამხედრო მოსამსახურეს შორის, რომლებიც ქალაქის ღირსშესანიშნაობებს ათვალიერებდნენ, ვირუსის გამავრცელებელთა აღმოჩენის რისკი მინიმალურია“.** უნზი გაოცებულია, რატომ არ მიაპყრეს ამას ყურადღება გამოძიებისას, რომელიც ტარდებოდა როგორც ვაშინგტონის, ისე გაეროს ხაზით.

და ის სვამს კითხვას: **„რას იფიქრებდნენ ამერიკელები, თუკი 300 ჩინელი ოფიცერი საკმაო ხნით ჩავიდოდა ჩიკაგოში და მათი წასვლისთანავე ამ ქალაქში იფეთქებდა უცნობი ვირუსული ეპიდემია?“**

რონ უნზს თანდათან მიჰყავს მკითხველი კოვიდის წარმოშობის მესამე ვერსიამდე: სახელდობრ, **აშშ-მა ჩაატარა უჰანში ტერორისტული ოპერაცია ახალი პათოგენით მოსახლეობის დასაინფიცირებლად.** სხვათა შორის, უნზი გაკვირვებული იყო უჰანის ლაბორატორიის სტატუსის შესახებ ზოგიერთი ამერიკელი მოხელის დაბალი ცოდნით. ისინი, როდესაც პეკინს პათოგენის გაჟონვაში ადანაშაულებდნენ, ლაბორატორიას „ჩინურს“ უწოდებდნენ. **სინამდვილეში ლაბორატორია ფრანგულ-ჩინურია. ლაბორატორია ფრანგებმა ააშენეს და აღჭურვეს ფრანგული მოწყობილობებით. ის ექსპლუატაციაშია 2015 წლიდან. ეს არის ქვეყანაში პირველი ლაბორატორია დაცვის უმაღლესი ხარისხით** — P4-ით. და ჩინეთს უკვე შეეძლო მუშაობა სახიფათო პათოგენებზე. ამ ლაბორატორიას საფრანგეთისა და ჩინეთის ერთობლივ პროექტებზე უნდა ემუშავა.

მალე ფრანგების ნაცვლად მოვიდნენ ამერიკელები. ისეთი სერიოზული ორგანიზაციის სახით, როგორიც არის DARPA — პერსპექტიული კვლევითი პროექტების სააგენტო (Defense Advenced Research Projects Agency), აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო, აგრეთვე, ჯანდაცვის ეროვნული ინსტიტუტები (NIH), რომლებიც შედიან აშშ-ის ჯანდაცვის სისტემაში და მჭიდროდ თანამშრომლობენ პენტაგონთან. ეს ორგანიზაციები ურთიერთქმედებდნენ უჰანის ლაბორატორიასთან შუამავლის მეშვეობით — ეს იყო არაკომერციული ორგანიზაცია EcoHealth Alliance (EHA). მისი ოფიციალური გაცხადებული მისია ადამიანების, ცხოველებისა და გარემოს დაცვაა ინფექციური დაავადებებისაგან, ხელმძღვანელია **პიტერ დაშაკი.** DARPA და NIH დამკვეთები არიან, EHA კი ფულს გადასცემდა უჰანის ლაბორატორიას. დღეს ცნობილია, რომ EHA მჭიდროდ თანამშრომლობდა აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან და ასრულებდა ისეთ ამოცანებს, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა კანონს ბიოლოგიური იარაღისა და ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ, აგრეთვე, 1989 წელს მიღებულ კონვენციას ბიოლოგიური და ტოქსიკური იარაღის აკრძალვაზე.




რონ უნზი

**უნზი ვარაუდობს, რომ პათოგენი შეტანილი იყო ფორტ-დეტრიკის (მერილენდის შტატი, აშშ) ლაბორატორიიდან და დროებით გადაცემული იყო უჰანის ლაბორატორიისთვის.**

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი უნზის ნაშრომებიდან: თუ პირველი წერტილოვანი დარტყმა ამერიკელებმა განახორციელეს ჩინეთის უჰანზე, მეორე იყო ირანზე რამდენიმე კვირის შემდეგ, როცა აღირიცხა კოვიდით პირველი სასიკვდილო შემთხვევა უჰანში.

უნზი წერს: **„თებერვლის ბოლოს გლობალური აფეთქების გლობალურ ეპიცენტრად ირანი იქცა. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ის, რომ განსაკუთრებით ძლიერად დაზარალდა მისი პოლიტიკური ელიტა. მალე დაინფიცირდა ირანის პარლამენტართა 10%, ირანის ოფიციალური პირებიდან და პოლიტიკოსებიდან, სულ ცოტა, 12 ადამიანი გარდაიცვალა. ნეოკონსერვატორების აქტივისტები „ტვიტერში“ წერდნენ, რომ მათი საძულველი ირანელი მტრები ბუზებივით იხოცებიან“.**

**«თებერვლის ბოლოს გლობალური აფეთქების გლობალურ ეპიცენტრად ირანი იქცა. კიდევ უფრო განსაცვიფრებელია ის, რომ განსაკუთრებით ძლიერად დაზარალდა მისი პოლიტიკური ელიტა. მალე დაინფიცირდა ირანის პარლამენტართა 10%, ირანის ოფიციალური პირებიდან და პოლიტიკოსებიდან, სულ ცოტა, 12 ადამიანი გარდაიცვალა. ნეოკონსერვატორების აქტივისტები «ტვიტერში» წერდნენ, რომ მათი საძულველი ირანელი მტრები ბუზებივით იხოცებიან»**




კოვიდმა ბევრი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს ირანში, სანამ სხვა ქვეყნებშიც დაიწყებდა ადამიანების დახოცვას. **2019 წლის ბოლოს მკვეთრად გამწვავდა ურთიერთობა აშშ-სა და ირანს შორის. დღეს ეჭვი არავის ეპარება, რომ 2020 წლის 2 იანვარს გენერალი ყასემ სულეიმანი მიზანმიმართულად მოკლეს. პენტაგონმა დაადასტურა, რომ სულეიმანი პრეზიდენტ ტრამპის განკარგულებით გამოასალმეს სიცოცხლეს. რამდენიმე კვირის შემდეგ კი ირანის ხელისუფლების ელიტის წარმომადგენლები კოვიდით დაინფიცირდნენ და დაიხოცნენ.**

„ჩვენ ვხედავთ, რომ ამერიკა კლავს ირანის უმაღლეს სარდალს 2 იანვარს; სულ რაღაც რამდენიმე კვირის შემდეგ ირანის მმართველი ელიტის მნიშვნელოვანი ნაწილი დაინფიცირდა უცნობი სასიკვდილო ვირუსით და შედეგად ბევრი მათგანი მალე გარდაიცვალა. შეუძლია კი გონიერ ადამიანს, ეს ყველაფერი დამთხვევად ჩათვალოს?“ — სვამს კითხვას რონ უნზი. ამრიგად, ამერიკის ორმა წამყვანმა მოწინააღმდეგემ — ჩინეთმა და ირანმა — პირველებმა მიიღეს დარტყმა იდუმალი სასიკვდილო ვირუსის სახით.

**უნზის ნაშრომების გაცნობის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ 30 ქვეყანაში გაფანტული 336 ამერიკული ბიოლაბორატორია (30 ჩინური ლაბორატორიის გამოკლებით, რომლებიც თამაშს გამოეთიშნენ) განაგრძობს თავისებური სამხედრო ბაზების ფუნქციების შესრულებას. ისინი დაკავებულნი არიან არა მხოლოდ ბიოიარაღის ახალი სახეობებისა და მათი გადასატანი საშუალებების შექმნით, არამედ ასრულებენ თავისებური ჰაბების როლს, რომლებშიც ამერიკელი სამხედროები ინახავენ აშშ-ის მოწინააღმდეგეების მიმართ გამოსაყენებელ პათოგენებს. მათგან ერთ-ერთია Covid-19.**

fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა
**გიორგი ბაჩეჩილაძემ**

**უნზის ნაშრომების გაცნობის შემდეგ იქმნება შთაბეჭდილება, რომ 30 ქვეყანაში გაფანტული 336 ამერიკული ბიოლაბორატორია (30 ჩინური ლაბორატორიის გამოკლებით, რომლებიც თამაშს გამოეთიშნენ) განაგრძობს თავისებური სამხედრო ბაზების ფუნქციების შესრულებას. ისინი დაკავებულნი არიან არა მხოლოდ ბიოიარაღის ახალი სახეობებისა და მათი გადასატანი საშუალებების შექმნით, არამედ ასრულებენ თავისებური ჰაბების როლს, რომლებშიც ამერიკელი სამხედროები ინახავენ აშშ-ის მოწინააღმდეგეების მიმართ გამოსაყენებელ პათოგენებს. მათგან ერთ-ერთია Covid-19**

«დავიწყებული» ისტორია
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპელი ლიდერებისთვის ისტორიული სამართლიანობის აღდგენისკენ მოწოდება შეუძლია აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, მაგრამ მან ჯერ საკუთარ სახლში უნდა დაამყაროს წესრიგი; მექსიკას დაუბრუნოს ამერიკის არმიის მიერ უნამუსოდ მიტაცებული კალიფორნიის, ნიუ-მექსიკოსა და ტეხასის შტატის ტერიტორიები. ტეხასის შტატი იანკებმა ფარისევლურად ჩაიგდეს ხელში რამდენიმე ხერხით.**

# ბავარია — ბავარიელებს, ტეხასი — მექსიკელებს!

## ევროპისა და აშშ-ის ლიდერებს დაავიწყდათ, როგორ იქმნებოდა მათი სახელმწიფოები?

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ოლაფ შოლცი, ალბათ, განაწყენდებოდა, ვინმეს ის აფრიკული ველური ტომის, ჰოტენტოტების, წარმომადგენლისთვის რომ შეედარებინა, რომელმაც ევროპელი მისიონერი გააკვირვა თავისი გაგებით ბოროტისა და კეთილის შესახებ, მაგრამ მსგავსება აშკარაა. აფრიკელმა კითხვაზე — „რა არის სიკეთე და რა — ბოროტება?“ უპასუხა: „სიკეთე — ეს არის, როცა ჩემი ტომი დახოცავს მეზობლებს და გაიტაცებს მათ ცოლებსა და საქონელს, ბოროტება — ეს არის, როცა მეზობელი ტომი მოგვკლავს ჩვენ და გაიტაცებს ჩვენს ცოლებსა და საქონელს“. ასეა გერმანელი შოლციც, რომელიც უკრაინაში რუსეთის ჯარების მოქმედებების გამო აღშფოთებას ვერ მალავს და ისეთ სახეს იღებს, თითქოს არ ახსოვს, რას სჩადიოდა მისი საყვარელი ფატერლანდი (გერმ. — მამების ქვეყანა).**

მრავალი საუკუნის განმავლობაში დაქუცმაცებული **გერმანია** პრუსიის სამეფომ იარაღის ძალით გააერთიანა. პრუსიელთა არმიამ თავდაპირველად დაამარცხა **დანია** და მას გერმანელების დასახლებული **შლეზვინგ-გოლშტეინი** წაართვა. შემდეგ პატარა გერმანული სახელმწიფოების მმართველები აიძულა, ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ტახტიდან ჩამოგდებით დაემუქა.

მსოფლიოში აღიარებული სახელმწიფოების — **ჰესენ-კასელის სათავადოსა** და თავისუფალ **ქალაქ მაინის-ფრანკფურტის** სუვერენიტეტის აღმაშფოთებელმა დარღვევამ მსოფლიო საზოგადოებრიობის პროტესტი გამოიწვია. უფრო მეტიც: **დანიასთან ომის მიმდინარეობისას პრუსიელებმა არა მხოლოდ დაიკავეს შლეზვინგ-გოლშტეინი, არამედ დროებით დაიპყრეს დანიის ძირძველი ტერიტორიის დიდი ნაწილი და ეს ყველაფერი გააკეთეს საბაბით, რომ დანიელები თურმე შლეზვინგელ გერმანელებს ავიწროვებდნენ და გერმანულად ლაპარაკს უზღუდავდნენ.**

ხომ არ სურს ჰერ კანცლერს, დაგმოს პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ის საშინელი თავნებობა და დაუბრუნოს დამოუკიდებლობა ჰესენ-კასელს, ფრანკფურტსა და ბავარიას? შეუძლია დაიმოწმოს პრუსიელებისა და ბავარიელების კილოკავებში განსხვავება და გაიხსენოს, რომ ბავარიის მთავარი ქალაქები — მიუნხენი და ნიურნბერგი უფრო ადრე დაარსდა, ვიდრე პრუსიული ბერლინი, ისევე როგორც კიევი — მოსკოვზე ადრე.

მაგრამ შოლცი დუმს. და არა მხოლოდ ის. არ იხსენებს წინაპართა უკანონო საქციელებს კრემლის მეორე ე.წ. მამხილებელი, იტალიის პრემიერმინისტრი **მარიო დრაგიც.** მისი ქვეყნის გამაერთიანებელი სარდინიისა და პიემონტის მეფე **ვიქტორ-ემანუილ II** პრუსიელ ვილჰელმზე აღმაშფოთებლად იქცეოდა — ნეაპოლიტანია-სიცილიის სამეფოს წინააღმდეგ აგრესიისთვის ცნობილი მეამბოხის, **ჯუზეპე გარიბალდის,** უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს იყენებდა. როდესაც ბრაზილიის სამოქალაქო ომის ვეტერანი გარიბალდი სიცილიის სანაპიროზე გამოჩნდა, მას ისეთივე სიტყვებით ამკობდნენ, როგორითაც ბოსნია-ჰერცეგოვინისა და მოლდოვის სამოქალაქო ომების ვეტერან **იგორ სტრელკოვს,** რომელმაც სლავიანსკი დაიკავა. ამბობდნენ, რომ ნეაპოლი სუვერენული სახელმწიფოს დედაქალაქია, რომლის მცხოვრებთა დიალექტი ძალიან განსხვავდება ქვეყნის ჩრდილოეთში მცხოვრებთა დიალექტისგან.

**„ჩვენ შევქმენით იტალია, ახლა უნდა შევქმნათ იტალიელები“,** — დაცინვით გაუსვა ხაზი ჩრდილოელთა და სამხრეთელთა შორის სხვაობას სარდინიის მთავრობის მეთაურმა **კამილო კავურმა. მარიო დრაგი კი ფარისევლურად დუმს, არ გამოჰყავს ჯარი ნეაპოლიდან და არ აპირებს რომის ცენტრში თავხედურად აღმართული ვიქტორ-ემანუილ II-ის ძეგლის დემონტაჟს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი 1870 წელს ცინიკურად წაართვეს მის კანონიერ მფლობელს — პაპ პიუს IX-ს.**

**ევროპელი ლიდერებისთვის ისტორიული სამართლიანობისკენ მოწოდება შეუძლია აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, მაგრამ მან ჯერ საკუთარ სახლში უნდა დაამყაროს წესრიგი; მექსიკას დაუბრუნოს ამერიკის არმიის მიერ უნამუსოდ მიტაცებული კალიფორნიის, ნიუ-მექსიკოსა და ტეხასის შტატის ტერიტორიები. ტეხასის შტატი იანკებმა ფარისევლურად ჩაიგდეს ხელში რამდენიმე ხერხით.** თავდაპირველად იქ გამოაცხადეს დამოუკიდებელი რესპუბლიკა, შემდეგ გაანადგურეს ანტიტერორისტული ოპერაციისთვის გამზადებული მექსიკის ჯარი და მხოლოდ ათწლეულების შემდეგ შეიყვანეს სეპარატისტები თავიანთი სახელმწიფოს შემადგენლობაში.

ვილაც იტყვის, რომ ასეთი რამ საუკუნეების წინათ ხდებოდა. ახლა კი მსგავსი საქციელი არ ითვლება ცივილიზებულად და ეწინააღმდეგება მსოფლიო საზოგადოების ყველა ნორმასო.



**ხომ არ სურს ჰერ კანცლერს, დაგმოს პრუსიის მეფე ვილჰელმ I-ის საშინელი თავნებობა და დაუბრუნოს დამოუკიდებლობა ჰესენ-კასელს, ფრანკფურტსა და ბავარიას? შეუძლია დაიმოწმოს პრუსიელებისა და ბავარიელების კილოკავებში განსხვავება და გაიხსენოს, რომ ბავარიის მთავარი ქალაქები — მიუნხენი და ნიურნბერგი უფრო ადრე დაარსდა, ვიდრე პრუსიული ბერლინი, ისევე როგორც კიევი — მოსკოვზე ადრე**



გერმანიის დემოკრატიულმა რესპუბლიკამ, რომელიც კანცლერ შოლცის ქვეყანამ ჩაყლაპა, 1990 წელს შეწყვიტა არსებობა. Gანა მის მოსახლეობას თვითონ სურდა გფრ-სთან გაერთიანება და შოლცისა და **მერკელის** წინამორბედ კანცლერ **ჰელმუტ კოლის** ჯარს ბერლინი შტურმით არ აუღია?

**დონეცკსა და ლუგანსკშიც სურთ რუსეთთან მიერთება, 1991-1992 წლებში იუგოსლავიის დაშლის შემდეგ რამდენიმე რესპუბლიკასაც სურდა რუსეთთან მიერთება, მაგრამ ნატოს ავიაციამ ყველაფერი ისე გადაწყვიტა, როგორც დასავლეთს სურდა, შემდეგ კი ალბანელებს დაეხმარა და სერბეთს კოსოვო წაართვა.**

რუსეთის მიერ ყირიმის მიერთების ჭრილში ბალკანეთის მოვლენების კომენტირებისას ამჟამინდელი ევროპული პოლიტიკის ერთ-ერთმა იდეოლოგმა, ფრანგმა მწერალმა **ბერნარ-ანრი ლევიმ** თავის ალმანახ La Regie du jeu-ში („თამაშის წესები“) განაცხადა:

„ბოსნია, კოსოვო... განა ეს თვითგამორკვევის ახალი შემთხვევა არ არის, რომლებმაც საერთაშორისო თანამეგობრობის კურთხევა მიიღეს? როგორ შეუძლია მათ (ამ სტრიქონების ავტორით დაწყებული), ვინც 20 წლის წინათ მხარი დაუჭირა ბოსნიისა და კოსოვოს ხალხებს, თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი, უარი უთხრან ასეთივე შესაძლებლობაზე ყირიმს? რაც შეეხება ბოსნიას, ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება მოუბრუნდეს ენა ვინმეს მის ჩართვაზე ამ საქმეში, იმიტომ, რომ დიდი აფეთქების შემდეგ, რომელიც კომუნიზმის დამხობას მოჰყვა იუგოსლავიასა და ევროპაში, მთავარი ამოცანა იყო, არ დაეშვათ სერბეთისგან კოსოვოსა და ბოსნიის გამოყოფა. ახლა კი ჩვენ გვთხოვენ, ანალოგიური რამ გავაკეთოთ ყირიმისთვის“.

ანუ, **ბოსნიელი მუსლიმებისა და კოსოვოელი ალბანელებისთვის დასაშვებია თვითგამორკვევა, მაგრამ ბოსნიელი სერბებისა და ყირიმელი რუსებისთვის — არა. იმიტომ, რომ ასე მიიჩნევს ბატონი მუსიე ლევი და, რაც მთავარია, მის უკან მდგომი აშშ-ისა და ევროკავშირის ლიდერები, რომელთა მორალიც ამ შემთხვევაში არაფრით განსხვავდება ზემოხსენებული ჰოტენტოტის წარმოდგენისგან სიკეთესა და ბოროტებაზე.**

**svpessa.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი ბაჩიაშვილი**

**დონეცკსა და ლუგანსკშიც სურთ რუსეთთან მიერთება, 1991-1992 წლებში, იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, რამდენიმე რესპუბლიკასაც სურდა რუსეთთან მიერთება, მაგრამ ნატოს ავიაციამ ყველაფერი ისე გადაწყვიტა, როგორც დასავლეთს სურდა, შემდეგ კი ალბანელებს დაეხმარა და სერბეთს კოსოვო წაართვა**



მარიო დრაგი



ოლაფ შოლცი

საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, დაქირავებული მებრძოლები კომბატანტები (პირები, რომლებიც მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის შემადგენლობაში და აქვთ განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი — ნ.კ.) არ არიან და არ ექნებათ უფლება, იყვნენ სამხედრო ტყვეები. ყველაზე უკეთესი, რაც მათ ელოდებათ საომარი მოქმედებების ზონაში, არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პატიმრობა.

სიკვდილის მთესველნი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ომის ძოფაკები»* უკრაინაში

**მას შემდეგ, რაც უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ გამოაცხადა „უცხოური ლეგიონის“ შექმნისა და უცხოელი მოხალისეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმების შესახებ, უკრაინას ევროპელი და ამერიკელი დაქირავებულების ნაკადი მიაწყდა. მათ შორის ბევრია ულტრამემარჯვენე, მარტივად რომ ვთქვათ, ნეონაცისტი. ამასთანავე, დასავლეთს უკრაინაში გადაჰყავს ისლამისტი ექსტრემისტები ახლო აღმოსავლეთიდან.**



რამდენიმე დღის წინათ უკრაინის ტელევიზიამ ზეიმით აჩვენა ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის ყოფილი სამხედრო მოსამსახურეების ჩასვლის სიუჟეტი. ვიზიტის მიზანი სულაც არ არის ტურისტული. ვეტერანებს ნისლიანი ალბიონიდან სურთ, ჩაირიცხონ უკრაინის ხელისუფლების მიერ „რუსული აგრესიის“ წინააღმდეგ მებრძოლ „უცხოურ ლეგიონში“. **Multicam-ის (ერთ-ერთი ამერიკული კომპანიის მიერ აშშ-ის არმიისთვის შექმნილი კამუფლაჟი — ნ.კ.) ფორმასა და კევლარის მსუბუქ ჯავშანჟილეტებში გამოწყობილნი, თავხედები და თვითდარწმუნებულები მონდომებით ელაპარაკებიან ჟურნალისტებს, რომ მიდიან „რუსების მოსაკლავად“, აქვთ დიდი საბრძოლო გამოცდილება ერაყსა და ავღანეთში და ეჭვი არ ეპარებათ, ახლაც მსგავსი რამ მოხდება. მაგრამ ბრიტანელი „მოხალისეები“ ჯერ არასოდეს შეჯახებიან ძლიერი სახელმწიფოს რეგულარულ არმიას და ვერ აცნობიერებენ, რომ შეიძლება თვითონ აღმოჩნდნენ ნანადირევი.**

მარტის დასაწყისში რუსეთის თავდაცვის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **იგორ კონაშენკოვმა** ყველა არაორაზროვნად გააფრთხილა: **საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მიხედვით, დაქირავებული მებრძოლები — კომბატანტები (პირები, რომლებიც მონაწილეობენ საომარ მოქმედებებში საერთაშორისო შეიარაღებული კონფლიქტის ერთ-ერთი მხარის შემადგენლობაში და აქვთ განსაკუთრებული იურიდიული სტატუსი — ნ.კ.) არ არიან და არ ექნებათ უფლება, იყვნენ სამხედრო ტყვეები. ყველაზე უკეთესი, რაც მათ ელოდებათ საომარი მოქმედებების ზონაში, არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პატიმრობა.**

ყველაფრის მიუხედავად, დასავლეთიდან უკრაინისკენ მაინც დაიძრნენ ავანტიურისტები. კონაშენკოვმა აღნიშნა, რომ აშშ-მა აამოქმედა მასშტაბური პროგრამა და მოხალისეებს იბირებს ისეთი კერძო სამხედრო კომპანიებიდან, როგორებიცაა **Academi, DynCorp**-ი და **Cubic**-ი.

## დასავლეთის ავანგარდი

**Academi** — ეს არის ყოფილი კერძო სამხედრო კომპანია Blackwater-ი. რებრედინგი მოხდა 10 წლის წინათ. მიზეზი — **მებრძოლების მიერ ომის წესების მასობრივი დარღვევა: მათ არაერთხელ ესროლეს მშვიდობიან მოსახლეობას, ცეცხლს უხსნიდნენ საცხოვრებელ რაიონებს, სასტიკად ეპყრობოდნენ ტყვეებს. ამასთანავე, ჩართული იყვნენ იარაღით კონტრაბანდული ვაჭრობის სკანდალებში.** რა თქმა უნდა, ისინი უკრაინაში მძიმე ტექნიკას ვერ შეიყვანენ, მაგრამ მსუბუქ ქვეითებადაც კი, ეს დაქირავებულები, სერიოზული ძალაა.

**DynCorp International**-ი უძველესი კერძო სამხედრო კომპანიაა, დაარსებული 1946 წელს. დაკავებული იყო პენტაგონისთვის სარაკეტო ტექნიკის გამოცდით, ვაქცინების დამზადებით, აშშ-ის საელჩოებში უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟებით. 2010 წლიდან სადაზვერვო სამსახურების თანამშრომლებს ასწავლის მოწინააღმდეგის ზურგში მოქმედებას, დივერსიების მოწყობას, სნაიპერულ ომსა და ძირგამომთხრელ საქმიანობას.

ამოცანა — მომარაგების ხაზზე ქაოსის შექმნა, ბადრაგის მიმართ ჩასაფრება, სამალავებში იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების ჩადება. მათი მთავარი მოწინააღმდეგე რუსული სპეცრაზმია, რომელიც წმენდს ტყესა და გზებს სამხედრო კოლონების წინსვლისთვის.

შედარებით პატარა **კერძო სამხედრო კომპანია Cubic-ი მსოფლიო მასმედიაში იშვიათად ხვდებოდა. ცნობილია, რომ მისი წარმომადგენლები 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტამდე ქართველ ჯარისკაცებს კავშირგაბმულობის, რადიოელექტრონული დაზვერვისა და თანამგზავრული ნავიგაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებას ასწავლიდნენ.** გამორიცხული არ არის, რომ უკრაინაში ეს კერძო სამხედრო კომპანია უკრაინის შეიარაღებული ძალების მართვის სისტემის აღდგენას შეეცდება, რომელიც კონფლიქტის პირველ დღეებში პარალიზებული იყო.

**„დასავლელი დაქირავებულები ყოველთვის იყვნენ დაპირისპირების ხაზზე, უბრალოდ, ამის შესახებ ოფიციალურად არ აცხადებდნენ,** — თქვა დონეცკის სახალხო რესპუბლიკის არმიის ოფიცერმა. — **ჩვენ არაერთხელ დაგვიჭერია რადიოლაპარაკი ინგლისურ ენაზე. ახლა კი, როცა სამხრეთიდან ვუტევთ, უკრაინელების მიერ მიტოვებულ პოზიციებზე ვპოულობთ დასავლეთის წარმომადგენელთა დოკუმენტებს, პირად ნივთებს, გაჯეტებს. ჯერჯერობით მათგან ტყვედ არავინ ჩავარდნილა. სჯობს, „სტუმრებმა“ იარაღი ნებაყოფლობით დაყარონ, იმიტომ, რომ ცერემონიებს მათ არავინ გაუმართავს“.**

MULTICAM-ის ფორმასა და კევლარის მსუბუქ ჯავშანჟილეტებში გამოწყობილნი, თავხედები და თვითდარწმუნებულები მონდომებით ელაპარაკებიან ჟურნალისტებს, რომ მიდიან «რუსების მოსაკლავად», აქვთ დიდი საბრძოლო გამოცდილება ერაყსა და ავღანეთში და ეჭვი არ ეპარებათ, ახლაც მსგავსი რამ მოხდება, მაგრამ ბრიტანელი «მოხალისეები» ჯერ არასდროს შეჯახებიან ძლიერი სახელმწიფოს რეგულარულ არმიას და ვერ აცნობიერებენ, რომ შეიძლება თვითონ აღმოჩნდნენ ნანადირევი




მათ გარდა, ვისთვისაც ომი პროფესია და შემოსავლის წყაროა, უკრაინაში ჩადიან თანამედროვე ევროპული ნაციზმის წარმომადგენლები. ამას, სხვათა შორის, დასავლეთშიც აღიარებენ. მაგალითად, გერმანულმა გამოცემა ZEIT ONLINE-მ დაწერა, რომ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების რამდენიმე ასეული წევრი უკვე ჩავიდა კონფლიქტის ზონაში: „გერმანიიდან წასული მემარჯვენე ექსტრემისტები, ავანტიურიზმისა და სამხედრო გამოცდილების გარდა, რუსებთან ბრძოლით არიან დაინტერესებულნი“. გერმანელ ექსტრემისტებს მიჰყვნენ თანამზრახველები ესპანეთიდან, იტალიიდან, აშშ-დან, ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებიდან

## რადიკალები და სეპარატისტები

დონეცკის სახალხო რესპუბლიკის არმიის საერთო განწყობა ასეთია: „დაე, რაც შეიძლება მეტი არამზადა ჩამოიყვანონ, მიწა ყველას ეყოფა. **მათ გარდა, ვისთვისაც ომი პროფესია და შემოსავლის წყაროა, უკრაინაში ჩადიან თანამედროვე ევროპული ნაციზმის წარმომადგენლები. ამას, სხვათა შორის, დასავლეთშიც აღიარებენ. მაგალითად, გერმანულმა გამოცემა ZEIT Online-მ დაწერა, რომ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციების რამდენიმე ასეული წევრი უკვე ჩავიდა კონფლიქტის ზონაში: „გერმანიიდან წასული მემარჯვენე ექსტრემისტები ავანტიურიზმისა და სამხედრო გამოცდილების გარდა, რუსებთან ბრძოლით არიან დაინტერესებულნი“. გერმანელ ექსტრემისტებს მიჰყვნენ თანამზრახველები ესპანეთიდან, იტალიიდან, აშშ-დან, ბალტიისპირეთისა და სკანდინავიის ქვეყნებიდან.** 3 მარტს კი ფრანგულმა ტელეარხმა TF1 info-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ საფრანგეთში დააკავეს უცხოური ლეგიონის უკრაინელი წარმოშობის 14 სამხედრო, რომლებიც ცდილობდნენ უკრაინის კონფლიქტში ჩართვას.

ზელენსკის მოწოდებას გამოეხმაურნენ კოსოვოს განმათავისუფლებელი არმიის „ბოევიკებიც“, რომლებიც 2000-იან წლებში ადამიანის ორგანოებით ვაჭრობდნენ. „ლეგიონერებს“ საბრძოლო გამოცდილება ცოტა აქვთ. სამაგიეროდ, მოჭარბებული აქვთ რუსოფობია და სურვილი, ებრძოლონ რუსეთს ყველგან, სადაც შესაძლებელია. რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურმა კარგა ხნის წინათ განაცხადა, რომ ნატოს ქვეყნები უკრაინაში ახლო აღმოსავლეთიდან ასობით ექსტრემისტის გადასროლას გეგმავენ. ახლოაღმოსავლელი რადიკალები პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე გამართულ საომარ მოქმედებებში ბოლოს სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტში 2020 წლის შემოდგომაზე მონაწილეობდნენ მთიან ყარაბაღში.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**

**P.S. 11 მარტს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი დაეთანხმა იდეას, რომ უკრაინაში მიმდინარე სპეცოპერაციაში დონეცკისა და ლუგანსკის სახალხო არმიების რიგებში ჩაერთონ მოხალისეებიც ახლო აღმოსავლეთიდან. ლაპარაკია 16 ათას მოხალისეზე.**

*** ფრაზა „ომის ძოფაკები“ (The Dogs of war) პირველად გამოიყენა უილიამ შექსპირმა პიესა „იულიუს კეისარში“, შემდეგ — ინგლისელმა მწერალმა, ბრიტანეთის სადაზვერვო სამსახურის აგენტმა ფრედერიკ ფორსაიტმა თავის ანალოგიური სახელწოდების რომან „ომის ძოფაკებში“.**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვთქვათ, დახურეს თქვენი გაზეთი. გამოვა ღარიბაშვილი და იტყვის: რა მოხდა, ერთი გაზეთი დაგვკალდაო! მაგრამ შენ რას აპირებ, ათი გაზეთი რომ დაიხურება? ე.ი. იმ კაცის მსჯელობა და შენი მსჯელობა სამუშაოს დაკარგვის შესახებ, განსხვავებულია, სხვადასხვა სივრცეებია.**

# ომი და სპეცოპერაცია

**თავდაპირველად ვარკვევთ, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს რუსეთი ომად არ მიიჩნევს, და ამიტომ არ აცხადებს რეზერვისტების მობილიზაციას. უკრაინისთვის ეს შეიარაღებული კონფლიქტი სრულმასშტაბიანი ომია.**
**ხოლო სანქციების ფენომენის გარკვევას ვცდილობ საქართველოს ყოფილ ფინანსთა მინისტრთან, პროფესორ დავით იაკობიძესთან.**

რუსეთში სანქციებს ლამის ციურ მანანად მიიჩნევენ. პანიკაში არ ვარდებიან, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-მა და ევროკავშირმა გზები გადუკეტა საერთაშორისო მასშტაბით საზოგადოების პრაქტიკული მოღვაწეობის ეკონომიკის უმრავლეს სფეროში.

თბილისში კი პანიკაა.

ხალხში.

ყიდულობენ პირველი მოხმარების საქონელს, პროდუქტს. ცარიელდება დახლები. შაქარი „დეფიციტშია".

და ა.შ.

**— რა ხდება, ბატონო დავით?**

**დავით იაკობიძე მიპასუხებს:**

— პირველი, რაც უნდა გააკეთო, არ უნდა დაივიწყო „ფიშკები": უკრაინა გააგრძელებს ბრძოლას. რუსეთი თავის არსენალიდან არ გამოიყენებს უახლეს იარაღს, მაგრამ მაინც დიდ მორალურ დარტყმას მიიღებს და დაიწყება შიდა არეულობა.

ომში გამარჯვებული არასდროს არავინაა, მაგრამ, რახან მივეჩვიეთ გამარჯვებულის გამოცხადებას, პირველი ვარიანტით ეს რუსეთი არ იქნება.

**— რატომ უკრაინა?**

— იმიტომ, რომ მორალური უპირატესობა აქვს, გმირია. გაუბედა რუსეთს წინააღმდეგობის გაწევა, თავისუფლებისთვის იბრძოლა.

**— შეიძლება სხვა დაშვება: მაგალითად, უკრაინა ლუგანსკის და დონეცკის ოლქების გარეშე?**

— რა თქმა უნდა, ესეც არ არის გამორიცხული. ჩვენ ხომ ჰიპოთეტურ დაშვებას ვგულისხმობთ. მეორე ვარიანტსაც თავისი სერიოზული არგუმენტი აქვს.

**— ამის მიღწევა მოლაპარაკების გზით ხომ შეიძლება.**

— შეიძლება, მაგრამ ვერ მოილაპარაკებენ. გულისტკივილით ვამბობ ამას. როცა ზელენსკიმ უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირში გაერთიანების საკითხი დააყენა, უპასუხეს: დაგთანხმდებით, თუ დათმობთ დონეცკის და ლუგანსკის ოლქებსო, უკვე აღიარებულ სახალხო რესპუბლიკებს.

უარი მიიღეს.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ მაშინ ირღვევა ის არქიტექტურა, რომლის მიხედვითაც აშშ-მა დაიწყო ეს ომი და არეულობა. ეს ხომ აღარ არის სამხედრო საიდუმლოება.

**— უბედურებაა ეს!**

— მძიმე მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს რუსეთი, სანქციები ახალ პრობლემებს გაუჩენს. მათ შორის არის ვაჭრობის გართულება: რომელი ფულით გაყიდი საქონელს, არ იცი. გამოგაქვს ფერადი ლითონები — ალუმინი, ნიკელი და სხვა, ჰყიდი ნავთობს, გაზს და ა.შ. მაგრამ რა ფასად და რომელ ვალუტაზე?

ე.ი. რუსეთი აწყდება ბევრ პრობლემას, რომლებიც ეტაპობრივად წარმოიქმნება.

წარმოიდგინე, რომ გაქვს 850 რესტორანი და ყველა ერთბაშად დახურო, რათა ვიღაცას, ვინც ღირსია, უთხრა: — შენ ხარ არაკაცი, რა დღეში ჩავარდება ის პერსონალი, ათასობით ადამიანი, ვინც ამ რესტორნებს ემსახურება!

შვედეთის ავეჯის მწარმოებელმა ფირმამ, თავისი ფილიალების ფუნქციონირება სხვა ქვეყანაში რომ აქვს, შეწყვიტა. ასევე მოიქცა ავტოგიგანტი „ბეემვე" დახურა თავისი ფილიალები. არავინ იცის, ვისია ეს კონცერნი, პატრონი ვინ არის.

**— ოჯახის არის.**

— ეგ კი, მაგრამ მეტი არაფერი... და ეს მოხდა შენს ქვეყანაში. საჯაროდ აცხადებ, რომ ამ დანაკარგს შეეგუები, მაგრამ როდის შეეგუები? ამ მუშა-სპეციალისტების თაობა, დღეს ქარხნებში რომ არის დასაქმებული, დაიხოცება, შემდეგ მათი შვილებიც რომ



დავით იაკობიძე

**როცა ზელენსკიმ უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვას ევროკავშირში გაერთიანების საკითხი დააყენა, უპასუხეს: დაგთანხმდებით, თუ დათმობთ დონეცკის და ლუგანსკის ოლქებსო, უკვე აღიარებულ სახალხო რესპუბლიკებს. უარი მიიღეს**

გავლენ ასპარეზიდან, მაშინ? თუ როდის?

ვთქვათ, დახურეს თქვენი გაზეთი. გამოვა ღარიბაშვილი და იტყვის: რა მოხდა, ერთი გაზეთი დაგვკალდაო! მაგრამ შენ რას აპირებ, ათი გაზეთი რომ დაიხურება? ე.ი. იმ კაცის მსჯელობა და შენი მსჯელობა სამუშაოს დაკარგვის შესახებ, განსხვავებულია, სხვადასხვა სივრცეებია. ერთისთვის არც თუ კატასტროფული სტატისტიკა, მეორისთვის — პერსპექტივაში უმუშევრად დარჩენის საშიშროება.

ამით იმის თქმა მინდა, რომ შეგუება იძულებაა, გარკვეული საერთაშორისო ცენტრების მიერ თავსმოხვეული, რასაც გამარჯვებულს ვერ გაუბედავენ.

ანალიტიკოსი **გიორხელიძე** რომ წერს, ამ შემთხვევაში ყველა დაზარალდება რუსეთის გარდაო, საეჭვო დასკვნაა.

ნაჩქარევი იყო, ამერიკელებმა მძიმე ნავთობზე უარი რომ თქვეს. დაახლოებით ხუთი მილიარდი დოლარის ღირებულების რომ იყო.ახლა იძულებულები არიან ვენესუელისგან იყიდონ. რატომ არიან იძულებული? იმიტომ, რომ ვენესუელაც ეგრე ჰყავთ გათიშული.

დააკვირდი, როგორ ვითარდებოდა ირანი შაჰის — რეზა ფეჰლევის მმართველობის დროს, რა წარმატებით მიიწევდა წინ და რას დაამსგავსეს ამერიკელებმა სანცქიების დაწესებით.

ბელარუსიის გარდა ისეთი ქვეყნები, როგორებიც არის ფინეთი, შვედეთი და სხვა მათი მსგავსი, ყველა გაეთიშა. ჩინეთმა უკვე დაუყენა საკითხი — როგორ გადაგიხადოო, რითი გაგისწოროთ ანგარიშიო.

შეიძლება, ცოტა ირონიულად ჟღერს, მაგრამ მოხდეს ისე, რომ ჩინეთმა ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების (გაზი, ნავთობი და სხვ.) ენერგოშემცველელებში გაცვლა შესთავაზოს „პლიაჟის შლოპანცების" ან შუშხუნების სახით.

**— ასეთი ნატურალური ვაჭრობა XXI საუკუნეში ძნელი წარმოსადგენია!**

— ვარაუდი ხომ გამორიცხული არ არის?

ჩვენ ალბათ ვერ გავეთიშებით რუსეთს ერთი მარტივი მიზეზის გამო.

ჩვენს პრესაში ხშირად ქვეყნდებოდა სიები — საქართველოს დიდი საწარმოებიდან რომელი ეკუთვნის რუსეთს. ვთქვათ პირდაპირ, რომ ეს სამრეწველო ობიექტები რუსეთს გადაეცა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, როგორც კონტიბუცია. საკუთრების ფორმით. რუსეთმა გაგვიკეთა ეკონომიკური მოდელი და გვირჩია ამ მოდელში გვეცხოვრა: ხორბალი ჩემგან იყიდეთ, ელექტროდენიც... წყალსადენიც ჩვენიაო.

როცა ეს მოხდა წინა ხელისუფლების დროს, მიშა სააკაშვილი მაშინვე უნდა დაეპატიმრებინათ.

ვიღაცამ გვითხრა, დაანებეთ თავიო.

**— ამერიკელებმა?**

— ამერიკელებმა კი არა, თვითონ რუსებმა.

**(სხვათაშორის სულ ახლახან რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიაში ძალიან მკაცრად გააკრიტიკეს ელცინის დროინდელი ეკონომიკური გუნდის წევრები და დაასკვნეს, რომ მათგან ბევრი დღეს ჭკუას კი არ უნდა გვასწავლიდეს, ციხის კედლებს უნდა ხეხავდესო. — ა.ს.).**

**— ე.ი. ჩვენთვის სასარგებლო ამ სიტუაციიდან არაფერი გმოდნება?**

— ეგრეა.

**— საქართველოს ნეიტრალურ სტატუსს, რა თვალით უყურებ?**

— კაცო, ჯაბამ (იოსელიანმა) ხომ წამოაყენა ეს წინადადება, თავის დროზე, რატომ არ დაეთანხმეთ? დღეს ის ხალხი, ნეიტრალურ სტატუსს რომ მოითხოვს, თავის დროზე ამ შემოთავაზებაზე კატეგორიულ უარს აცხადებდა.

**— ჩვენი გაზეთიც წერდა (იხ. არნო ხიდირბეგიშვილის პუბლიკაციები).**

— ჯერ ნეიტრალიტეტის საკითხი უნდა გავარკვიოთ: რომელ ნეიტრალიტეტზე ვლაპარაკობთ? შვედეთი რომ არის ნეიტრალური სტატუსის ქვეყანა, 200-ათასიანი არმია ჰყავს სრულად აღჭურვილ-შეიარაღებული. შეუძლია რუსეთსაც კი შეებრძოლოს.

ასეთი ნეიტრალიტეტი გასაგებია.

შენ რომელ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკობ?

რამზან კადიროვი რომ ჩამოვიდეს, შენ რით გაუწევ წინააღმდეგობას? და გვასწავლოს რუსთაველზე როგორ უნდა ვიაროთ...

გვინდა ასეთი ნეიტრალიტეტი?

**— არა, რასაკვირველია!**

— ე.ი. რომელიმე დაპირისპირებულ მხარესთან დაახლოება, ჩვენთვის მომგებიანი არ არის. არც ნეიტრალიეტი გვარგებს რამეს. ამ ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოს მომავალს დავით იაკობიძე ვერ ხედავს?

— ამ სიტუაციაში მყოფი ვერაფერს ვერ ვხედავ!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. დავით იაკობიძე, როგორც სჩვევია, კარტებს ბოლომდე არ ხსნის. მივცეთო მკითხველს თავისი გონების გასაღების მორგების საშუალება ჩვენს იმ სანახევრო მინიშნებების გასარკვევად, რომელთაც ვთავაზობთო. ჩვენი საზოგადოებრიობა კარგა ხანია, რაც გამოსულია ჭკუის დარიგების ბავშვური ასაკიდან.**
**მართალს ამბობს და — ვცადოთ.**

**ა.ს.**





**სწორედ იმიტომ, რომ ვლადიმერ პუტინს ე.წ. ბლიცკრიგი ჩაუვარდა, რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერზეა წამსვლელი და იმის გამო, რომ კოლექტიური დასავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანა და, უწინარესად, აშშ აცხადებს, რომ სამხედრო ძალით არ დაეხმარება უკრაინას, მაგრამ იარაღსა და ფულს, რამდენიც გინდა, იმდენს მივცემო, ნიშნავს იმას, რომ ეს კონფლიქტი აშშ-მა აქცია ომად, რომელშიც უკანასკნელ უკრაინელამდე იბრძოლებენ.**



ავი მუსაიფი

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# კოლექტიურმა დასავლეთმა დათვი კუთხეში მიიმწყვდია

**რა ვქნა, როგორ მოვახერხო მწარე სიმართლის თქმა ისე, რომ, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, არც მწვადი დავწვა და არც შამფური... ბოლოს, ბევრი ფიქრის შემდეგ, მივხვდი, რომ მწარე სიმართლის თქმა და შამფურ-მწვადის მსგავსი კომფორტული პოზიცია ერთმანეთთან შეუთავსებელია. აქედან იშვა, ალბათ, ცნობილი ქართული ანდაზა — „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო"...**

თქვენი მონა-მორჩილი გაქცევას არ ვაპირებ და ქვემოთ მხოლოდ სიმართლეს, საკუთარ თავთან მართალ სიტყვას ვიტყვი, რის გამოც, ახლავე ვიცი, განსაკუთრებით, წლების განმავლობაში რუსოფობიით მოწამლული ახალგაზრდების უმრავლესობა თუ არა, არცთუ მცირე რაოდენობა დამიპირისპირდება.

შინიდან გასვლის წინ, როგორც წესი, წყვილ სანთელს ვანთებ ხატებთან და „მამაო ჩვენოს" ვამბობ ხოლმე — სამწუხაროდ, ამით ამოიწურება ჩემი ცოდვილი სულის ეკლესიურობა. შემდეგ, მუხედავად იმისა, რომ, როგორც იტყვიან, თავზე არ გადამდის, ჯიბეში მოვიჩხრიკავ სპეციალურად მათხოვართათვის მოწყალების გასაღებად განკუთვნილ გროშებს. მაგრამ იმ ადამიანთა რაოდენობა, რომლებიც სირცხვილისაგან თავჩაქინდრული და ხელგაწვდილი სხედან თბილისის ქუჩებში, ისე დიდია, რომ დოლიძის ქუჩიდან (სადაც ვცხოვრობ) ე.წ. ბუკიას ბაღამდეც კი არ მყოფნის ხურდა და ყოველი შემდეგი მათხოვრის დანახვისას, რომელსაც ვეღარაფერს ვუწყალობებ, გული მტკივა და სირცხვილისაგან ყურები მეწვის. სირცხვილისაგან, განა მხოლოდ ცარიელი ჯიბის გამო, უწინარესად, იმიტომ, რომ ზემოთ დახატული უმძიმესი სურათი, სადღაც ძალიან დუხჭირი ქვეყნის კი არა, ღვთისმშობლის წილხვედრ, მიწიერ სამოთხედ წოდებული დღევანდელი საქართველოს რეალობას ასახავს. საქართველოს, სადაც, სულ ცოტა, არავის უნდა სციოდეს და შიოდეს, არავინ უნდა იყოს ე.წ. ბომჟი და ყველას ჰქონდეს საკუთარი ჭერი.

ცალკე თემაა ადამიანები, რომლებიც ე.წ. ნაგვის ბუნკერებში იქექებიან — შეხედავ, „საზიზღარი კომუნისტებისდროინდელი" ტანსაცმლითაა შემოსილი, მაგრამ მეტ-ნაკლებად ნორმალურად და სუფთად აცვია, სახეზეც უმაღლესი განათლების დიპლომი და ბევრ ჩვენს პარლამენტარზე მეტი ინტელექტი აწერია. ბევრს ისევ „საზიზღარი კომუნისტების" მიერ ნაჩუქარი (თუ „თიბისი ბანკის" მსგავსმა ყაჩაღებმა არ გამოასახლეს) ბინაც აქვთ, მაგრამ რად გინდა, კომუნალურ გადასახადებს ვერ იხდის. არადა, „დამონებულ" საქართველოში ბუნებრივი აირი, დენი, გათბობა, ცხელი წყალი და ა.შ., პრაქტიკულად, უფასო იყო.

**რისი და ვისი ბრალია, სულ რაღაც, 30 წლის წინათ რუსეთის მიერ დამონებული საქართველო სსრკ-ში ცხოვრების დონით პირველი რომ იყო და აღმოსავლეთ ევროპის, ე.წ. საბჭოთა ბლოკის ბევრ ქვეყანას ფორასაც მისცემდა, ახლა კი ამ უბედურ დღეშია? რისი და ასე ნანატრი დამოუკიდებლობის, რომელიც ასევე გვაჩუქა, უფრო სწორად „გაგვიცვალა" ზემოთ ხსენებულ სიკეთეებში „აგრესორმა" რუსეთმა.**

და აი, როგორც იქნა მივადექით ერთ-ერთ საჩოთირო (თუმცა, ზემოთქმულზე საჩოთირო რა უნდა იყოს?!) თემას... დღევანდელი გეოპოლიტიკა რუსეთსა და უკრაინას შორის ომის გარშემო ტრიალებს. უფრო ზუსტად, რუსეთსა უკრაინას შორის კი არა, ომი უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-სა და რუსეთს შორის მიმდინარეობს. მსგავსი კინო 2007 წელს მიუნხენში პუტინის ისტორიული გამოსვლის შემდეგ ბევრი გვინახავს, მაგრამ საქართველო თუ სირია თურმე ჟურნალი ყოფილა, ნამდვილი კინო კი ახლა მიმდინარეობს უკრაინაში; კინო, რომელსაც „ჰეფი-ენდი", ჰოლივუდისნაირი ბედნიერი დასასრული ვერ ექნება, რადგან **კუთხეში მიმწყვდეული ვირთხაც კი სასიკვდილო საფრთხეა, მათ კი, ე.წ. კოლექტიურმა დასავლეთმა, აშშ-ის თამადობით, ვირთხა კი არა, გამძვინვარებული რუსული დათვი მოიმწყვდიეს კუთხეში.**

სწორედ იმიტომ, რომ **ვლადიმერ პუტინს** ე.წ. ბლიცკრიგი ჩაუვარდა, რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერზეა წამსვლელი და იმის გამო, რომ კოლექტიური დასავლეთის უკლებლივ ყველა ქვეყანა და, უწინარესად, აშშ აცხადებს, რომ სამხედრო ძალით არ დაეხმარება უკრაინას, მაგრამ იარაღსა და ფულს, რამდენიც გინდა, იმდენს მივცემო, ნიშნავს იმას, რომ ეს კონფლიქტი აშშ-მა აქცია ომად, რომელშიც უკანასკნელ უკრაინელამდე იბრძოლებს. ამიტომ, დღეს იქნება თუ ხვალ, რუსეთი დაამარცხებს მართლაც თავგანწირვით მებრძოლ უკრაინის ჯარს და შეძლებს უკრაინის სრულ ოკუპაციას. რაც შეეხება სანქციებს, რუსეთთან ერთად აშშ-ც სერიოზულ ეკონომიკურ ზარალს განიცდის, რომ არაფერი ვთქვათ, კოლექტიურ დასავლეთზე, რომელიც სულ უფრო ხმამაღლა გამოთქვამს უკმაყოფილებას ოკეანისგაღმელი მბრძანებლის მიმართ...

**საქართველო უკრაინის ყველა მხარდამჭერი რეზოლუციისა თუ განცხადების ხელმომწერია. ჩემი აზრით, ეს უნდა იყოს მაქსიმუმი იმისა, რაც საქართველომ თავისი უსაფრთხოებიდან და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გააკეთოს აშშ-სა და რუსეთს შორის ომში. თუმცა ესეც ზედმეტი მგონია, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ამ ომის შემდეგ, რომელიც, ადრე თუ გვიან, რუსეთის გამარჯვებით დასრულდება, შეიძლება საქართველოსთვისაც მოიცალოს თბილისიდან 40 კილომეტრში ჯერჯერობით ჩაძინებულმა რუსულმა დათვმა.**

რაც შეეხება ისევ უკრაინას, მას ეკონომიკურად მთელი „ცივილიზებული" მსოფლიო უჭერს მხარს და ერთადერთი, რაც არ აკლია, სასმელ-საჭმელია და საქართველოს უკიდურესი ეკონომიკური გაჭირვების ჟამს, როდესაც შიმშილის ზღვარზე მყოფი ქართველების ნაწილი მათხოვრობით ირჩენს თავს, ხოლო ნაწილი ნაგვის ბუნკერებში იქექება, უკრაინაში ტონობით სურსათის გაგზავნა მიუღებლად მიმაჩნია.

**აქედან გამომდინარე, მივმართავ ქოცების ხელისუფლებას და პირადად პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს — ჯერ საკუთარი მოსახლეობა დააპურეთ და შემდეგ აკეთეთ ჰუმანიტარული ჟესტები ბანდერელი ფაშისტების ხელში ჩავარდნილი უკრაინელი ხალხის მიმართ.**

**დავით მხეიძე**




**დღევანდელი გეოპოლიტიკა რუსეთსა და უკრაინას შორის ომის გარშემო ტრიალებს. უფრო ზუსტად, რუსეთსა და უკრაინას შორის კი არა, ომი უკრაინის ტერიტორიაზე აშშ-სა და რუსეთს შორის მიმდინარეობს. მსგავსი კინო 2007 წელს მიუნხენში პუტინის ისტორიული გამოსვლის შემდეგ ბევრი გვინახავს, მაგრამ საქართველო თუ სირია თურმე ჟურნალი ყოფილა, ნამდვილი კინო კი ახლა მიმდინარეობს უკრაინაში; კინო, რომელსაც «ჰეფი-ენდი», ჰოლივუდისნაირი ბედნიერი დასასრული ვერ ექნება, რადგან კუთხეში მიმწყვდეული ვირთხაც კი სასიკვდილო საფრთხეა, მათ კი, ე.წ. კოლექტიურმა დასავლეთმა, აშშ-ის თამადობით, ვირთხა კი არა, გამძვინვარებული რუსული დათვი მიიმწყვდიეს კუთხეში**

**მივმართავ ქოცების ხელისუფლებას და პირადად პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილს — ჯერ საკუთარი მოსახლეობა დააპურეთ და შემდეგ აკეთეთ ჰუმანიტარული ჟესტები ბანდერელი ფაშისტების ხელში ჩავარდნილი უკრაინელი ხალხის მიმართ**

**რისი და ვისი ბრალია, სულ რაღაც, 30 წლის წინათ რუსეთის მიერ დამონებული საქართველო სსრკ-ში ცხოვრების დონით პირველი რომ იყო და აღმოსავლეთ ევროპის, ე.წ. საბჭოთა ბლოკის ბევრ ქვეყანას ფორასაც მისცემდა, ახლა კი ამ უბედურ დღეშია? რისი და ასე ნანატრი დამოუკიდებლობის, რომელიც ასევე გვაჩუქა, უფრო სწორად «გაგვიცვალა» ზემოთ ხსენებულ სიკეთეებში «აგრესორმა» რუსეთმა**

გეოპოლიტიკა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სერგი საჯაია წარბშეუხრელად იდგა ყველა საფრთხის წინაშე, რომელიც არასოდეს დაჰკლებია საქართველოს, სიკვდილისთვისაც ჩაუხედავს თვალებში, მაგრამ სასოწარკვეთა არ გამოხატვია არც სახეზე, არც სიტყვაში. ახლა კი, სიბერეში ფეხშედგმულ ბერიკაცს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეუღლეს რომ დასცქერის (23. 12. 2019, „დრო მხოლოდ ორისათვის“), ბზარი გასჩენია ხმაში: „ვეგდე გაუნძრევლად, ყურს ვუგდებდი მის მოფორიაქე სუნთქვას და ვგრძნობდი კი არა, მესმოდა, თუ როგორ მომბლაოდა გულსმოგლეჯილი ოდაბადე ჩემი: დიდოუ ნანა, ჭყოლირ გურსუ ვამიჭუა!“**

# მწერალ სერგი საჯაიას 75-ე წლისთავისათვის

# ცრემლში დანახული მამული

## (ფიქრები სერგი საჯაიას პუბლიცისტური ხმით ნატირალზე)

**სერგი საჯაიას ქართველთა წინაშე წარდგენა არ სჭირდება. მას იცნობენ როგორც სამშობლოსთვის თავდადებულ უზადო პატრიოტს, ეროვნული მოძრაობის მოღვაწესა და სამშობლოს საჭიროებათა შესაბამისად დამაშვრალ კაცს, რომელმაც თავის თავზე იწვნია ის დაუნდობელი რეპრესიები, რომლებიც მტრებმა დაატეხეს თავს საქართველოს...**






რეპრესიებს უკვალოდ არ ჩაუვლია. ბევრი პატრიოტის სიცოცხლე შეიწირა „ბოთლიდან“ გამოშვებულმა ბოროტმა ჯინმა, ბევრი ფიზიკურად და სულიერად დაასახიჩრა... არც სერგი საჯაია იყო გამონაკლისი... იმ ეკლიან გზაზე, რომელიც პატრიოტებს განუმზადა განგებამ, ბატონი სერგი საჯაიას გვერდით იყო და მასთან ერთად ვიდოდა მისი მეუღლე და თანამებრძოლი ქალბატონი **ნანა.** მათი ურთიერთობა საოცარი სიმბიოზი იყო ერთმანეთისა და სამშობლოს სიყვარულისა და პასუხისმგებლობისა. ძალიან ძნელია მეგობრისა და თანამებრძოლის დაკარგვა, მით უფრო, თუ იგი მეუღლეც არის; კიდევ უფრო რთულია, თუ სამშობლოც დაკარგული გაქვს. აი, სერგი საჯაიას დაემართა ეს! მან საკუთარი ოდაბადე და ყებური დე ფაქტოდ დაკარგულ აფხაზეთთან ერთად დაკარგა და, თუმცა დე იურედ დაუკარგავია დანარჩენი მისი სამშობლო, მაგრამ, **გალაკტიონისა** არ იყოს, ძნელია „მიდიოდე და ფიქრობდე, ეს არ არის საქართველო!“

**აი, ეს განცდაა გადმოცემული (მე ასე დავინახე) მის ახალგამოცემულ პუბლიცისტურ წიგნაკში „მინონგარაფა ჩემი სულიერი ფორიაქის“, რომელსაც მე პუბლიცისტური ხმით ნატირალი ვუწოდე.**

სერგი საჯაია ორიგინალური სტილის მწერალია. მე ძალიან მომწონს ეს და იმასაც ვგრძნობ, რომ ყველასთვის მოსაწონი არ იქნება მისი ენა და სტილი, ბევრისთვის — გაუგებარიც. გარკვეული ცოდნა-გამოცდილებაც სჭირდება მის მკითხველს საიმისოდ, რომ დაინახოს ის განცდა, რომელიც მის ორიგინალურ სტილსა და წერის მანერაშია ბოლომდე საცნაური. განცდის სიმძლავრეა აკუმილირებული სულიერ საუფლოში გადასული მეუღლისადმი მიმართვაში, რომელიც წიგნის ყდაზეა გამოტანილი: **„ჩემო თოლიგე, ასგზის შურიგე და სულის ყებურო, ნ ა ნ ა !..“** და იქვე **რუსთველის** სტრიქონში: **„აწ დავკარგე: რად არ გიკვირს, რად ცოცხალ ვარ, რად ვარ რეტად? ვა, სოფელო უხანოო, რად ჰზი სისხლთა ჩემთა ხვრეტად?!“**

მთელი ეს სულისშემძვრელი სევდით გაჟღენთილი წიგნი დღიურის ფორმით არის დაწერილი. მასში ერთმანეთშია გადაჯაჭვული პიროვნული და საქვეყნო ვარამი, რომელიც ინფორმაციად, ანუ ამბად კი არ შემოდის მკითხველში, არამედ იმ სევდად, რეალურ-საგნობრივად რომ რჩება მასში.

**დღიურები იწყება მეუღლის მძიმე სენით გამოწვეული ტრაგიკული რეალობის გაცნობიერებით. „სათავზარო სიცხადის პირისპირ“ — ასე შევყავართ ავტორს უკიდეგანო სევდისა და გულისწყვეტის ოკეანეში. „როგორ ვეიმედებოდი! ვგრძნობდი, მისი დანისლული თვალგახელა თუ როგორ დანდობილად მადგენდა თავისი უმწეობის მაშველ რგოლად: მკლავში ჩამებღაუჭა, ჩაიკრა და ხელისგულზე მაკოცა. ახლა კი, ამ წუთში ვიდექი ხეჭკურე, უმწეო, ულონო და უხვალდღეო“ (გვ. 5).**

სერგი საჯაია წარბშეუხრელად იდგა ყველა საფრთხის წინაშე, რომელიც არასოდეს დაჰკლებია საქართველოს; სიკვდილისთვისაც ჩაუხედავს თვალებში, მაგრამ სასოწარკვეთა არ გამოხატვია არც სახეზე, არც სიტყვაში. ახლა კი, სიბერეში ფეხშედგმულ ბერიკაცს, სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეუღლეს რომ დასცქერის (23. 12. 2019, „დრო მხოლოდ ორისათვის“), ბზარი გასჩენია ხმაში: „ვეგდე გაუნძრევლად, ყურს ვუგდებდი მის მოფორიაქე სუნთქვას და ვგრძნობდი კი არა, მესმოდა, თუ როგორ მომბლაოდა გულსმოგლეჯილი ოდაბადე ჩემი: დიდოუ ნანა, ჭყოლირ გურსუ ვამიჭუა!“

**ცოლიც და ქმარიც ერთმანეთის სიყვარულს სამშობლოს სიყვარულთან აიგივებდნენ, რაც კარგად ჩანს ამ დღიურებში, განსაკუთრებით იმ ეპიზოდებში, როდესაც ქმარი მძინარე ან უგონოდ მყოფ მეუღლეს ესაუბრება და სჯერა, ალბათ, რომ თვალდახუჭულ თანამეცხედრეს ესმის ყველაფერი, რასაც ფხიზელი და ფეხზემდგომი ეუბნება: „შენ იცი, მე ვტიროდი და ვიბრძოდი სამშობლოს გამო. ის მე (მეტი საქმე არა აქვს) არ დამიტირებს, სამაგიეროდ შენ დაიცრემლები ჩემს საფლავზე, ნანა!“ (გვ. 7).**

საოცარია, როგორ არის ამ სიტყვებში ერთდროულად გადმოცემული გულგატეხილობა, სამდურავი და ოპტიმისმ — გულგატეხილობა და სამდურავი იმის გამო, რომ სამშობლო არ აფასებს და არც დაიტირებს მისთვის თავდადებულ მოღვაწეს, ოპტიმიზმი კი იმის რწმენით, რომ სასიკვდილო სარეცელზე მწოლიარე მეუღლე მოახერხებს და დაიცრემლება მის საფლავთან.

**ამ მომცრო წიგნში პირადი ტრაგედიის ფონზე და გულიდან წამოსულ ცრემლში საქართველოს ტრაგიკული უახლესი ისტორიაა დანახული. ბოლო ოთხი ავბედითი ათწლეულის განმავლობაში ბევრი ცოდვის კალო გაილეწა საქართველოში. ღალატი, სიცრუე, ორპირობა ცხოვრების წესად იქცა ჩვენში. ფარისევლობამ შეცვალა გულწრფელობა, ლაჩრობამ — სიმამაცე, სიყვარული — ბოღმამ და შურმა, დაუნდობლობამ — გულმოწყალება. სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს წიგნის ავტორის კალამი: «რა გაახარებს ამხელა ცოდვაში ჩაფლულ ქვეყანას? ვაია, ჩქინ ცოდა!»**

საქართველოში, ჩემო ძმაო სერგი, გმირებსა და ბრძენკაცებს აღიარებისთვის ყოველთვის აკლიათ ერთი რამ — სიკვდილი. **ეს მუდამ ასე იყო და ასეა ახლაც. შენ ჯვარი გწერია, დიდხანს იცოცხლე, გული კი არ გაიტეხო არასოდეს! ის, რაც შენს მეუღლეს უთხარი 2014 წლის 14 იანვარს, შენზეც ასევე ითქმის: „ამ ცისქვეშეთში ეროვნული ბედნიერება იყავი შენს პირად სამყაროში საკუთარი ბედნიერების გარეშე“ (გვ. 7).**

ამ მომცრო წიგნში, პირადი ტრაგედიის ფონზე და გულიდან წამოსულ ცრემლში საქართველოს ტრაგიკული უახლესი ისტორიაა დანახული. ბოლო ოთხი ავბედითი ათწლეულის განმავლობაში ბევრი ცოდვის კალო გაილეწა საქართველოში. ღალატი, სიცრუე, ორპირობა ცხოვრების წესად იქცა ჩვენში. ფარისევლობამ შეცვალა გულწრფელობა, ლაჩრობამ — სიმამაცე, სიყვარული — ბოღმამ და შურმა, დაუნდობლობამ — გულმოწყალება. სრულ ჭეშმარიტებას ღაღადებს წიგნის ავტორის კალამი: „რა გაახარებს ამხელა ცოდვაში ჩაფლულ ქვეყანას? ვაია, ჩქინ ცოდა!“

რაც უფრო შორს მივდივარ დღიურში, მით უფრო ნათლად ჩანს, როგორ არის გადახლართული ერთმანეთთან ბედის დაუნდობლობა და კაცთა უპირობა ჩვენს ცოდვილ ქვეყანაში. გამოსავალიც არ ჩანს და ამ პუბლიცისტური ხმით ნატირალის ავტორს ვერაფრით ვანუგეშებ, მხოლოდ მოკრძალებით ვურჩევ, უფალთან ეძიოს ნუგეში და იმედი, იმის რწმენა, რომ ადამიანის სული უკვდავია, მით უფრო ისეთებისა, როგორიც მისი მეუღლე და თანამებრძოლი მეგობარი იყო.

**შენი მეგობარი, დარდით გულგასენილი**
**ზურაბ ცუცქირიძე,**
**პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი**

საქართველოს ჯ. გამომცემლობა
სუდიერება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დოსითეოზ ქუთათელისა და ეფთვიმე გაენათელის მონაწილეობით 1789 წელს იმერეთის დელეგაცია ეწვია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და სთხოვეს, თავის ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა.**

# ღირსი დოსითეოზ ქუთათელი

**ღირსი დოსითეოზ ქუთათელი გახლდათ ეკლესიისა და ერისათვის თავდადებული მოღვაწე, იგი დაუცხრომელად ზრუნავდა სამწყსოს სულიერ განათლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა, განემტკიცებინა ხალხში სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი აზროვნება. მისი მოწამეობრივად აღსრულების შემდეგ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ის წმინდანად შერაცხა და მისი ხსენების დღედ 19 მარტი (ძველი სტილით 6 მარტი) დააწესა.**


დოსითეოზ ქუთათელი


ეფთვიმე გაენათელი

ღირსი დოსითეოზ ქუთათელი (ერისკაცობაში დავით ნიკოლოზის ძე წერეთელი) დაიბადა საჩხერეში 1750 წლის ახლო ხანებში. მათი საგვარეულო რეზიდენცია საჩხერეში მდებარეობდა, ხოლო სალოცავები და ძვალთშესალაგი მღვიმებისა და ჯრუჭის მონასტრები იყო. დოსითეოსის ბაბუა, პაპუნა წერეთელი, 1720-იან წლებში იმერეთის სამეფოს ზემო მხარის სარდალი, ხოლო მამა — ნიკოლოზ წერეთელი, მეფე სოლომონ პირველის მეაბჯრეთუხუცესი და მეფის თარჯიმანიც გახლდათ. დოსითეოზს ოთხი ძმა ჰყავდა: ბეჟანი, ვახუშტი, გიორგი და ქველი. მეფის კარზე დაწინაურებული ოჯახი ისტორიულად მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებდა ქვეყნის მთლიანობისა და სიმტკიცისათვის.

დავითმა მონაზვნური ცხოვრება აირჩია და მონასტერში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. დავითი მალევე აღკვეცეს და სახელად დოსითეოზი უწოდეს. **სიწმიდითა და სიბრძნით გამორჩეული წმიდა დოსითეოზი 1781 წელს იქნა დადგენილი მღვდელმთავრად ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე.** სამეუფო მადლმა კიდევ უფრო გააბრწყინა ეკლესიისა და ერისათვის თავდადებული მოღვაწე, იგი დაუცხრომელად ზრუნავდა სამწყსოს სულიერ განათლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა, განემტკიცებინა ხალხში სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი აზროვნება.

**მეუფე დოსითეოზი დიდ ყურადღებას აქცევდა საკათალიკოსო და საეპარქიო მეურნეობებს. ძალიან დაახლოებული იყო იმერეთის სამეფო კართან და აქტიურად უჭერდა მხარს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას.** ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და შიდა ურთიერთდაპირისპირებები აიძულებდა წმიდა დოსიეთეოზს, აქტიური მონაწილეობა მიეღო საერო საკითხების გადაწყვეტაშიც.

**1795 წლიდან დოსითეოზი დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს გამგებლად იხსენიება,** იმავე წლის 26 აპრილს მეფე ერეკლეს მეუღლე — დედოფალი დარეჯანი, მეუფე დოსითეოზისადმი მიწერილ წერილში მას კათოლიკოსად იხსენიებს: „დოსითეოზს, მათ უწმინდესობას, სრულიად იმერთა და ოდიშ-აფხაზთა კათოლიკოზს...“, არსებობს 1789 წელს მეფე სოლომონის დადასტურებული დოკუმენტი, რომელშიც წერია, რომ „ქუთათელ მიტროპოლიტს დოსითეოზს კათოლიკოზობა უბოძეთ“, მაგრამ დოსითეოზი კათოლიკოსად არ იყო ნაკურთხი და იგი თავის თავს მხოლოდ საკათალიკოსოს გამგებლად იხსენიებს.

**დავითმა მონაზვნური ცხოვრება აირჩია და მონასტერში დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. დავითი მალევე აღკვეცეს და სახელად დოსითეოზი უწოდეს. სიწმიდითა და სიბრძნით გამორჩეული წმიდა დოსითეოზი 1781 წელს იქნა დადგენილი მღვდელმთავრად ქუთაისის სამიტროპოლიტო კათედრაზე. სამეუფო მადლმა კიდევ უფრო გააბრწყინა ეკლესიისა და ერისათვის თავდადებული მოღვაწე, იგი დაუცხრომელად ზრუნავდა სამწყსოს სულიერ განათლებაზე და ყოველნაირად ცდილობდა, განემტკიცებინა ხალხში სარწმუნოებრივ-სახელმწიფოებრივი აზროვნება**


წმ. დოსითეოზის საფლავი ანანურში

დოსითეოზ ქუთათელისა და ეფთვიმე გაენათელის მონაწილეობით 1789 წელს იმერეთის დელეგაცია ეწვია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს და სთხოვეს, თავის ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, რაც, სამწუხაროდ, ვერ განხორციელდა. რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკით გატანჯული ხალხი ხმამაღლა გამოხატავდა უკმაყოფილებას.

ცნობილი რუსი ფილოლოგი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი — **ნიკოლოზ დურნოვო** წერდა:

**„იმერლები ჩიოდნენ: „ჩვენ დიდი ხნის განმავლობაში ბიწიერი აგარიანების ხელში ვიყავით, ბევრი ტანჯვა-წამება გადავიტანეთ, მაგრამ აგარიანელნი ჩვენს სასულიერო საქმეებს არ შეხებიან. ჩვენ ის ხალხი ვართ, სარწმუნოება თითქმის ქრისტეს ჯვარცმის დროიდან რომ შევინარჩუნეთ და იმ იუდებზე უფრო საძულველნი ვერ გავხდებით, რომლებიც რუსეთის მმართველობის სახელით ფარფაშობენ.**

**ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, როდესაც ვხედავთ, როგორ ხურავენ ჩვენს წმიდა ეკლესიებს, როგორ გვაშორებენ ჩვენი სულის გადარჩენაზე მზრუნველ მღვდლებს, როგორ გვართმევენ სახალხო ქონებით შემკულ ჯვრებსა და ხატებს და ბოლოს როგორ ასხვისებენ საეკლესიო ქონებას, რომელიც საუკუნეების მანძილზე სისხლითაა შეძენილი ან ჩვენი უწინდელი მეფეების მიერ საჩუქრადაა გადმოცემული“.**

იმ დროს, 1817-1821 წლებში, საქართველოს ეგზარქოსად იყო დანიშნული თეოფილაქტე, რომელიც ეწეოდა ქართული ეკლესიის რუსიფიკაციას. მისი ინიციატივით მომზადდა „საეკლესიო რეფორმების“ პროექტი, რომლის მიხედვით 1819 წლიდან მან საეკლესიო გლეხებს შეაწერა გადიდებული ფულადი გადასახადი, ნატურით გადასახადი შეუცვალა ფულადით, შეამცირა ეპარქიათა და სამრევლო ეკლესიების რაოდენობა და სხვ.

თეოფილაქტეს ღონისძიებებმა გამოიწვია მოსახლეობის უკმაყოფილება და დააჩქარა აჯანყება.

საეკლესიო რეფორმა უკანასკნელი წვეთი იყო უკმაყოფილების ფიალაში. მოლაპარაკებამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. 1819 წელს

შორაპანში მოსახლეობა აჯანყდა. აჯანყების მთავარი მიზეზი იყო რუსების „რელიგიური“ განუკითხაობა. აჯანყება მოედო გურიას, რაჭას, სვანეთს.

აჯანყდა რაჭის მოსახლეობაც. ისინი რეფორმის გაუქმებას ითხოვდნენ და ადამიანურ, მართლმადიდებლურ მოპყრობას. გურიასა და სამეგრელოში რუსი მოხელეები ვერ შევიდნენ, მოსახლეობამ არ შეუშვა. ამ აჯანყებას საეკლესიო აჯანყება უწოდეს — „ცერკოვნი ბუნტი“.


ანანური

საქართველოს ეგზარქოსი, რუსი მიტროპოლიტი თეოფილაქტე რუსანოვი იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო.

ქართველი მღვდელმთავრები, დოსითეოს ქუთათელი და ეფთვიმე გაენათელი, მათთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ, მაგრამ უშედეგოდ, რუსმა მოხელეებმა „დამნაშავეების“ დასჯა დაიწყეს. იმერეთი და რაჭა კვლავ ფეხზე დადგა.

მთავარმართებლისა და ეგზარქოს თეოფილაქტეს ბრძანებით დააპატიმრეს გელათისა და ქუთაისის მიტროპოლიტები — ეფთვიმე გაენათელი და დოსითეოზ ქუთათელი, რომლებიც წინ აღუდგნენ ეკლესიების დახურვას.

**„მიტროპოლიტების დაპატიმრება იოლი როდი იყო და სიფრთხილეს მოითხოვდა, რათა ხალხის აღშფოთება არ გამოეწვია,** – წერდა ნიკოლოზ დურნოვო, — **მათი დაპატიმრებისთვის ბნელი ღამე შეარჩიეს. ეგზარქოსის ნების წყალობით მიღებული ზომები „სრული წარმატებით დაგვირგვინდა“.**

1820 წლის 4 მარტს რუსეთის მთავრობის საგანგებო ბრძანებით, ისე რომ ამ ამბავს კიდევ ახალი მღელვარება არ მოჰყოლოდა, შეიპყრეს დოსითეოზ ქუთათელი და ეფთვიმე გაენათელი. ორივე მღვდელმთავარს ტომრები ჩამოაცვეს თავზე, შეუკრეს ხელ-ფეხი და მათრახების ცემით წაიყვანეს; ასევე სასტიკად გაუსწორდნენ სხვა შეპყრობილ აჯანყებულებს, ზოგი მათგანი ჩამოახრჩვეს და ზოგიც რუსეთში გადაასახლეს სამუდამოდ.

ნატანჯი და ნაცემი მღვდელმთავრები დაბა სურამში შეაჩერეს, სადაც ერთ დედაკაცს მათთვის წყალი მიუწოდებია დასალევად. წმიდა ეფთვიმეს კბილები სრულიად ჩამოცვენილი ჰქონია ცემისაგან და სისხლი ულებია პირიდან. სამოცდათერთმეტი წლის სასტიკად ნაცემი წმიდა დოსითეოზი კი 5 მარტს გზაში გარდაცვლილა. ცხედარი ანანურში ჩაუტანიათ. როგორც გვიამბობს ნ. დურნოვო, კარგა ხანს დაბნეული ყოფილან რუსები — არ იცოდნენ, რა ექნათ და თითქმის 4 დღის შემდეგ მონასტრის ეზოში დაუმარხავთ.

ექვთიმე გაენათელმა კი სიცოცხლე გადასახლებაში დაასრულა. ორივე მღვდელმთავარი ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

**„მართლმადიდებელი, წმიდა ეკლესიის ყოველი ქომაგი ქედს იხრის გამბედავი ქართველი ეპისკოპოსების, ხალხის მოთხოვნათა და სურვილთა, მათი ჯვარმოსილი ეკლესიის წინაშე, რომელიც თავისი გმირობებითა და მოწამეობით კონსტანტინეპოლის დიადი ეკლესიის დონეზე დგას, ეს მაშინ, როდესაც მისი მეზობელი სომხური ეკლესია, არა მარტო მართლმადიდებელთა გასაჭირი გახდა, არამედ ამ ბოლო დროს რომის ეკლესიას უახლოვდება“,** — წერს ნ. დურნოვო.

მომზადდა წიგნიდან „ქართველ წმიდათა ცხოვრებანი“, თბილისი, 2007 წ.

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**BARRETT 50 CAL-ს დღეს საუკეთესო შაშხანად მიიჩნევენ მსოფლიოში. ის, აგრეთვე, ცნობილია, როგორც M82. იარაღი შექმნა რონი ბარეტმა და ამზადებს BARRETT MANUFACTURING COMPANY. 1989 წლიდან არის აშშ-ის არმიის შეიარაღებაში. მჭიდში 10 ვაზნაა. ამ შაშხანით სნაიპერს შეუძლია 2600 მეტრზე დააზიანოს მიზანი. ამ შაშხანით შეიარაღებულია აშშ-ის არმიისა და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.**

# რვა საუკეთესო სნაიპერული შაშხანა მსოფლიოში

სნაიპერული შაშხანები შედარებით ახალი შენაძენია არმიებისთვის. იარაღი მოქმედებს დისტანციაზე, რაც შესაძლებლობას იძლევა, პრაქტიკულად არ ჩაერთოს ღია კონფრონტაციაში მოწინააღმდეგესთან. სნაიპერული შაშხანები, ძირითადად, აქვთ მხოლოდ კარგად შეიარაღებული ქვეყნების არმიებს. გაეცანით მსოფლიოში საუკეთესო შაშხანებს:



## 8. AS50 (დიდი ბრიტანეთი)

* სიგრძე — 136,9 სმ;
* წონა — 13,94 კგ;
* ლულის სიგრძე — 69,2 სმ;
* ვაზნის კალიბრი — 12,7X99.

ეს შაშხანა 2007 წელს შექმნა Accuratcy International-მა (საკმაოდ ცნობილი ბრიტანული საიარაღო კონცერნი). დაამზადეს ბრიტანეთის არმიის სპეციალური ქვედანაყოფების აღსაჭურვად. 1,6 წამში ისვრის 5-ჯერ და ამ შესაძლებლობით შაშხანა მსოფლიოში საუკეთესოთა შორისაა. სწრაფსროლასთან ერთად მიზნის დაზიანების შესაძლებლობაც საკმაოდ შორია — 1800 მ. თანაც სნაიპერს შეუძლია გამოიყენოს ტრასრების და სხვა ვაზნები, რომლებიც ამაღლებს დამიზნების სიზუსტესა და ეფექტიანობას.



## 7. M21 (აშშ)

* სიგრძე — 111,8 სმ;
* წონა — 5,27 კგ;
* ლულის სიგრძე — 56,0 სმ;
* კალიბრი — 7,62X51.

M21 შეიქმნა ამერიკელთა ეგიდით, რომლებსაც სურდათ მაღალი სიზუსტისა და ეფექტიანობის იარაღი ვიეტნამის ტერიტორიაზე სამოქმედოდ. ეს არის მოდერნიზებული M14, რომელსაც იყენებდნენ სამხედრო სფეროში 1969 წლიდან. ძირითადი პარამეტრებიდან აღსანიშნავია კოლოფის ტიპის 20-ვაზნიანი მჭიდი და დამიზნების სრული სიშორე — 850 მ.



## 6. PSG1 (გერმანია)

* სიგრძე — 120,8 სმ;
* წონა — 8,10 კმ;
* ლულის სიგრძე — 65,0 სმ;
* კალიბრი — 7,62X51.

ცნობილ Heckler&Koch-ს შეუკვეთეს ნახევრადავტომატური შაშხანა პოლიციელებისა და სამხედროებისთვის. ამ შეკვეთის სტიმული იყო ე.წ. მიუნხენის ხოცვა-ჟლეტა (ოლიმპიადაზე), როცა ასეთი იარაღის დეფიციტმა სამართალდამცველთა ეფექტიანობაზე იმოქმედა. შაშხანა შექმნეს 1972 წელს. აქვს მოცულობითი მჭიდი და შეუძლია, 900 მ მანძილზე დააზიანოს მიზანი.



## 5. დრაგუნოვის შაშხანა (საბჭოთა კავშირი)

* სიგრძე — 123,5 სმ;
* წონა — 4,33 კგ;
* ლულის სიგრძე —62.0 სმ;
* კალიბრი — 7,62X54R.

ეს შაშხანა საიმედოობით არის გამორჩეული. დრაგუნოვის სნაიპერული შაშხანა არ გამოირჩევა განსაკუთრებული დიზაინითა და ფუნქციების მრავალფეროვნებით, მაგრამ მსოფლიოს საუკეთესო შაშხანებს შორის იკავებს ადგილს სიმძლავრის, სიმტკიცისა და სიზუსტის წყალობით; შექმნილია 1958 წელს. არმიამ მიიღო 1963 წელს. მის მჭიდში 10 ვაზნა ეტევა. შეუძლია დააზიანოს 1200 მ-ით დაშორებული მიზანი.



## 3. L115A3 AWM (დიდი ბრიტანეთი)

* სიგრძე — 130 სმ;
* წონა — 6,82 კგ;
* ლულის სიგრძე — 75 სმ;
* კალიბრი — 8,59X70.

ამ მომენტისთვის საუკეთესო შაშხანაა ბრიტანეთის არმიის შეიარაღებაში; იყენებს მრავალკალიბრიან ვაზნას სახელწოდებით მაგნუმი, რომელიც თავსდება კოლოფის ფორმის მოცულობის მჭიდში. კომპლექტში არის ღამისა და დღის ხედვის მოწყობილობები.

შეიარაღებაშია 1966 წლიდან. იყენებდნენ ავღანეთსა და ერაყში, დღეს არმიის სპეციალური რაზმების ეკიპირების ნაწილია. შეუძლია დააზიანოს მიზანი 1400 მეტრზე.



## 4. მოსინის შაშხანა (რუსეთი)

* სიგრძე — 123,2 სმ;
* წონა — 4,12 კგ;
* ლულის სიგრძე — 72,9 სმ;
* კალიბრი — 7,62X51.

საოცარია, მაგრამ 1891 წელს შექმნილი შაშხანა ახლაც სრულიად გამოსადეგია. დღეს შეიარაღებაში, რა თქმა უნდა, არა არის, მაგრამ 70 წლის განმავლობაში იყენებდნენ და მიზნის დაზიანების შესანიშნავი პარამეტრები ჰქონდა. განსაკუთრებით შესაძლებლად ითვლებოდა სიმძლავრე და დამიზნების სროლის სიშორე — 1000 მ. შეუძლია იმუშაოს მექანიზმში ტალახის მოხვედრის შემთხვევაშიც და ავდარშიც.



## 2. CheyTac Intervention M200 (აშშ)

* სიგრძე — 140 სმ;
* წონა — 12,31 კგ;
* ლულის სიგრძე — 76,2 სმ;
* კალიბრი — 10,3X77.

ეს არის ამერიკის არმიის საუკეთესო და ყველაზე პოპულარული შაშხანა. აქვს შორს სროლისა და ცეცხლის სიმძლავრის ეტალონური პარამეტრები. ამ სნაიპერულ შაშხანას ბევრი საუკეთესოდ მიიჩნევს მსოფლიოში. ეს მართლაც შესანიშნავი შაშხანაა, რომელსაც 2300 მ-ით დაშორებული მიზნის დაზიანება შეუძლია — შთამბეჭდავი პარამეტრები შაშხანას საუკეთესოთა შორის უმკვიდრებს ადგილს.



## 1. Barrett M82 (აშშ)

* სიგრძე — 1,40 სმ;
* წონა — 12,91 კგ;
* ლულის სიგრძე — 73,7 სმ;
* კალიბრი — 12,7X99.

Barrett 50 cal-ს დღეს საუკეთესო შაშხანად მიიჩნევენ მსოფლიოში. ის, აგრეთვე, ცნობილია, როგორც M82. იარაღი შექმნა რონი ბარეტმა და ამზადებს Barrett Manufacturing Company. ის 1989 წლიდან არის აშშ-ის არმიის შეიარაღებაში. მჭიდში 10 ვაზნაა. ამ შაშხანით სნაიპერს შეუძლია 2600 მეტრზე დააზიანოს მიზანი. ამ შაშხანით შეიარაღებული არიან აშშ-ის არმიისა და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფები.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**მიმდინარე წლის 9 მარტს ავეჩკინმა, „ვაშინგტონ კეპიტალზის“ კაპიტანმა, ორი შაიბა შეაგდო „კალგარის“ კარში, NHL-ში 766 გოლი დააგროვა და ამ მაჩვენებლით ჯერჯერობით მესამე ადგილზეა ცნობილ ჩეხ ჰოკეისტ იარომირ იაგრთან ერთად. ავეჩკინის წინ არიან უეინ გრეტცკი (894 შაიბა) და გორდი ჰოუ (80). უეინ გრეტცკის აზრით, ავეჩკინს თავისუფლად შეუძლია მისი რეკორდის მოხსნა და NHL-ის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვება.**

სპორტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ალექსანდრე დიდი NHL-ის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულს უმიზნებს

**მსოფლიო ჰოკეის ვარსკვლავი, 3-გზის მსოფლიო ჩემპიონი, სტენლის თასის მფლობელი და ჰოკეის ნაციონალური ლიგის (NHL) ერთ-ერთი ბომბარდირი — ალექსანდრე ავეჩკინი, როგორც მას თავის კლუბ „ვაშინგტონ კეპიტალზში“ შეარქვეს, ალექსანდრე დიდი, 1985 წლის 17 სექტემბერს დაიბადა მოსკოვში.**

ალექსანდრე ავეჩკინის დედა, **ტატიანა ავეჩკინა,** პოპულარული კალათბურთელი იყო, რომელმაც 2-ჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში; მამა, **მიხეილ ავეჩკინი,** კი პროფესიონალი ფეხბურთელი გახლდათ.

ალექსანდრე ოჯახში მესამე და უმცროსი ბავშვი იყო. უფროსი ძმის, **სერგეის,** წყალობით 8 წლიდან დაიწყო ჰოკეის პროფესიონალურ სექსიაში მუშაობა.

## კარიერის დასაწყისი

ალექსანდრე ავეჩკინი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა მტკიცე ხასიათითა და გამარჯვებისადმი სწრაფვით. სწორედ ამ თვისებების გამო მიიწვიეს ის მოსკოვის „დინამოს“ ჰოკეის სკოლაში, ამ კლუბიდან იწყება მისი პროფესიონალური კარიერა. ალექსანდრემ მოსკოვის „დინამოს“ ყველა ასაკის გუნდში ითამაშა და ყველგან საუკეთესო იყო. სპეციალისტები ნიჭიერ და პერსპექტიულ ჰოკეისტზე ალაპარაკდნენ. 16 წლის ალექსანდრე რუსეთის სუპერლიგის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იყო.

2003 წელს კი მსოფლიოს ახალგაზრდა ჩემპიონატზე გაიმარჯვა და რუსეთის ეროვნულ ნაკრებში მიიწვიეს. ამასთანავე, 2003-2004 წლების საუკეთესო ბომბარდირის ტიტულიც მოიპოვა. ავეჩკინი ყოველთვის გამოირჩეოდა ბომბარდირის თვისებებით.

## ჰოკეის ნაციონალური ლიგა

ნიჭიერი სპორტსმენი მალე შეამჩნიეს უცხოურმა კლუბებმა. ყინულზე ავეჩკინის პროფესიონალიზმი უდავოა, ამასთანავე, ჰოკეისტი სპორტის ამ სახეობისთვის მაინცდამაინც განსაკუთრებული ფიზიკური მონაცემებით არ გამოირჩევა — მისი სიმაღლე 190 სმ-ია, წონა 100 კგ.

**2005-2006 წლების სეზონში ავეჩკინი NHL-ის კლუბ „ვაშინგტონ კეპიტალზში“ მიიწვიეს მარცხენა თავდამსხმელად და დღესაც ამ კლუბში თამაშობს ამავე ამპლუაში. ახალბედა ჰოკეისტს კლუბმა 3,85-მილიონიანი კონტრაქტი გაუფორმა. მისი დებიუტი შედგა 2005 წლის 5 ოქტომბერს „კოლამბუს ბლუ ჯეკეტსთან“ მატჩში, რომელშიც ალექსანდრემ 2 შაიბა გაიტანა და თავის გუნდს გამარჯვების მოპოვებაში დაეხმარა.**

„ვაშინგტონ კეპიტალზში“ ავეჩკინმა მე-8 ნომრით დაიწყო თამაში. ამ ციფრზე არჩევანი იმიტომ შეაჩერა, რომ 8-ნომრიანი მაისურით დედამისი თამაშობდა საბჭოთა ნაკრებში.

2005 წელს ახალგაზრდა ჰოკეისტს მეტსახელად ალექსანდრე დიდი შეარქვეს — სადებიუტო სეზონში მან 48 შაიბა შეაგდო და 44 საგოლე გადაცემა გააკეთა, სწორედ ამიტომ შეარქვეს მას ეს მეტსახელი გულშემატკივრებმა. დროთა განმავლობაში მან კიდევ ორი მეტსახელი შეიძინა — ოვი და შესანიშნავი რვიანი. ავეჩკინი მალე იქცა კლუბის ე.წ. სახედ. სწორედ მისთვის ირჩევდა კლუბი ახალ მოთამაშეებს, რათა ხელი შეეწყო მისი ზრდისა და წარმატებებისთვის. ალექსანდრეს არ უცდია სათამაშო მანერის შეცვლა ახალ კლუბთან თანამშრომლობის გამო, მაგრამ ყურადღებით შეისწავლა გუნდის მენტალიტეტი და სათამაშო ეთიკა.

ავეჩკინს ყოველ სეზონში გაჰქონდა უამრავი შაიბა და ამართლებდა NHL-ის ყველაზე ძვირად ღირებული ჰოკეისტის წოდებას (13-წლიანი კონტრაქტი, რომელიც ავეჩკინთან გააფორმა, კლუბს 124 მლნ დოლარი დაუჯდა). ჰოკეისტის კარიერაში ბევრია ყინულზე ჩხუბის Dშემთხვევაც. 2017 წელს „ვაშინგტონისა“ და „კოლამბუსის“ მატჩში ავეჩკინმა ძალისმიერი მეთოდი გამოიყენა ზაკ ვარენსკის წინააღმდეგ, შედეგად ვარენსკის სახე სერიოზულად დაუზიანდა და მოედანი დატოვა. ამ ინციდენტმა გამოიწვია ჰოკეისტების მასობრივი ჩხუბი. ალექსანდრე დისკვალიფიკაციით დასაჯეს და რამდენიმე მატჩი გამოატოვებინეს.

2018 წელი ავეჩკინისთვის წარმატებული აღმოჩნდა — მან „ვაშინგტონ კეპიტალზში“ მისი დახმარებით ისტორიაში პირველად მოიპოვა სტენლის თასი. ამით ის კლუბის ლეგენდა და საუკეთესო წლის სპორტსმენი გახდა.

**მიმდინარე წლის 9 მარტს ავეჩკინმა, „ვაშინგტონ კეპიტალზის“ კაპიტანმა, ორი შაიბა შეაგდო „კალგარის“ კარში, NHL-ში 766 გოლი დააგროვა და ამ მაჩვენებლით ჯერჯერობით მესამე ადგილზეა ცნობილ ჩეხ ჰოკეისტ იარომირ იაგრთან ერთად. ავეჩკინის წინ არიან უეინ გრეტცკი (894 შაიბა) და გორდი ჰოუ (80). უეინ გრეტცკის აზრით, ავეჩკინს თავისუფლად შეუძლია მისი რეკორდის მოხსნა და NHL-ის საუკეთესო ბომბარდირის ტიტულის მოპოვება.**

## პირადი ცხოვრება

მიუხედავად იმისა, რომ ჰოკეისტი მალავდა თავის პირად ცხოვრებას, ყვითელი პრესა წერდა მის რომანებზე პოპულარულ პიროვნებებთან — მომღერალ **ჟანა ფრისკესთან,** მოდელ **ვალერია სოკოლოვასთან,** ჯგუფ Black Eyed Peas-ის სოლისტ **ფერგისთან** და სხვებთან. ავეჩკინი დანიშნული იყო რუს ჩოგბურთელ **მარია კირილენკოზე,** მაგრამ დაშორდნენ. 2017 წელს ალექსანდრე ავეჩკინი დაქორწინდა მოდელ **ანასტასია შუმსკაიაზე,** რომელთანაც ჰგავს ვაჟი — **სერგეი.**

ამჟამად ალექსანდრე ყველაზე მაღალშემოსავლიანი რუსი ჰოკეისტია. მისი შემოსავალი შედგება არა მხოლოდ სპორტული მოღვაწეობით გამომუშავებული თანხებისგან, არამედ რეკლამებიდან მიღებული თანხებიდანაც, სპორტსმენი თანამშრომლობს ისეთ ბრენდებთან, როგორიც არის „კოკა-კოლა“, „ნაიკი“ და სხვ. ავეჩკინი შედის მსოფლიოს 100 ყველაზე გავლენიან ჰოკეისტთა სიაში. მან ახალ 5-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „ვაშინგტონ კეპიტალზთან“ და შემდეგ 5 სეზონში 47,5 მლნ-ს მიიღებს. ავეჩკინმა გადაწყვიტა, რომ ყველაფერი გააკეთოს უენ გრეტცკის რეკორდის დასამხობად.





ალექსანდრე ავეჩკინი მშობლებთან ერთად



სტენლის თასით



ალექსანდრე ავეჩკინი მეუღლესა და შვილთან ერთად



ავეჩკინი და შვედი ლარს ბეკსტრომი. მათ გვერდიგვერდ 1000 მატჩი ითამაშეს

## მიღწევები:

* რუსეთის ჩემპიონი (მოსკოვის „დინამოს“ შემადგენლობაში) — 2005 წ.
* მსოფლიო ჩემპიონი — 2008, 2012, 2014 წწ.
* „მორის რიშარ ტროფის“ მფლობელი — 2008, 2009, 2013, 2014, 2015, 2016, 2018 წწ.
* NHL-ის 100 საუკეთესო ჰოკეისტის სიის წევრი — 2017 წ.
* სტენლის თასის მფლობელი — 2018 წ.
* უეინ გეტცკის პრიზის ფლობელი — 2019 წ.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ამერიკელი ჟურნალისტი: მას შემდეგ, რაც პოლიგონს რაკეტებით დაარტყეს, 200 უცხოელი დაქირავებულიდან 170-მა უარი თქვა ბრძოლაზე

**ამერიკელმა სამხედრო რეპორტიორმა ნოლან პეტერსონმა გაავრცელა ინფორმაცია იმ მდგომარეობაზე, რომელშიც აღმოჩნდნენ უცხოელი მოხალისეები, რომლებიც უკრაინაში რუსეთთან ომში დასახმარებლად ჩავიდნენ. მან ამის შესახებ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ დაწერა კიევთან მყოფი ამერიკელი ვეტერანის სიტყვებზე დაყრდნობით.**



„ფრონტის ხაზზე დაახლოებით 30 უცხოელისგან შემდგარი ჯგუფი რჩება,“ — მოჰყავს **პეტერსონს** ამერიკელი ვეტერანის სიტყვები.

„ბაზა, რომელზეც ჩვენ აღმოვჩნდით (იავოროვსკის პოლიგონი), დილით დაიბომბა რაკეტებით. ვადასტურებ, რომ ადამიანები, რომლებთანაც ორიოდე დღე ვიცხოვრეთ, დაიღუპნენ. ჩვენი ადგილსამყოფელის სამიზნეში ამოღება დროის საკითხია. რუსულ სატანკო კოლონას შეუძლია ნებისმიერ მომენტში მოგვკვეთოს... საკვები, წყალი და საბრძოლო მასალები ნელ-ნელა გვითავდება. განწყობა პირქუშია, ადამიანები ბოლო შეტყობინებას უგზავნიან მეგობრებსა და ოჯახებს“. „სად არის ნატო?“ — სვამს კითხვას ჟურნალისტის თანამოსაუბრე.

„მნიშვნელოვანი შენიშვნა: ეს ამერიკელი სპეცრაზმის ვეტერანია, რომელიც ავღანეთის საომარ მოქმედებაში მონაწილეობდა“, — წერს პეტერსონი.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროში დაადასტურეს, რომ იავოროვსკის პოლიგონის დაბომბვის მიზანი უკრაინაში საომრად ჩასული უცხოელი მოხალისეების განადგურება იყო.

**„13 მარტს, დილით მაღალი სიზუსტის შორ მანძილზე მოქმედების იარაღიდან გასროლით დაიბომბა უკრაინის შეიარაღებული ძალების სასწავლო ცენტრები დასახლებულ პუნქტ სტარიისა და იავოროვსკის სამხედრო პოლიგონზე. ამ ობიექტებზე განლაგებული იყო უცხოელი დაქირავებულების მოსამზადებელი პუნქტები საომარი მოქმედების რაიონებში გაგზავნის წინ, აგრეთვე, უცხო ქვეყნებიდან შემოსული იარაღისა და სამხედრო ტექნიკის შესანახი ბაზა. სარაკეტო დარტყმების შედეგად განადგურებულია 180-მდე უცხოელი დაქირავებული“,** — განაცხადეს რუსეთის თავდაცვის სამინისტროში და დასძინეს, რომ „კვლავაც გაგრძელდება“ უკრაინის ტერიტორიაზე საომრად ჩამოსული უცხოელი დაქირავებულების განადგურება.

**strana.news-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# მოლდოვას ნატოს წევრობა არ სურს

**მოლდოვას სურს ევროკავშირში შესვლა, მაგრამ განზრახული არ აქვს ნატოსთან მიერთება, — განაცხადა მოლდოვის პრემიერმინისტრმა ნატალია გავრილიცამ ტელეარხ Euronews-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.**



მოლდოვის პრემიერის განმარტებით, ქვეყნის კონსტიტუციაში ჩაწერილია ნეიტრალურობის პრინციპი.

აღსანიშნავია, რომ 3 მარტს საქართველოსთან ერთად ევროკავშირში გაწევრების შესახებ განაცხადი მოლდოვამაც შეიტანა, მანამდე კი — უკრაინამ.

**kommersant.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

# ევო მორალესი: აშშ უკრაინის ბუნებრივი რესურსების დაუფლებას ცდილობს

**„აშშ ყოველთვის ცდილობს ომის პროვოცირებას, რათა გაყიდოს იარაღი და დაეუფლოს სხვა ქვეყნების ბუნებრივ რესურსებს. უკრაინის გარშემო ვითარებაც არ არის გამონაკლისი“, — განაცხადა ბოლივიის ექსპრეზიდენტმა ევო მორალესმა.**



**„აშშ ყოველთვის ცდილობს ომის პროვოცირებას, რათა გაყიდოს იარაღი, განალაგოს ბაზები და ხელში ჩაიგდოს ბუნებრივი რესურსები. ასე იქცეოდნენ ამერიკელები ერაყში, ავღანეთში, ლიბიაში“,** — თქვა მორალესმა.

ბოლივიის ექსპრეზიდენტის აზრით, უკრაინის კონფლიქტში აშშ ეძებს ამ ქვეყნის რესურსების ხელში ჩაგდებისა და სამხედრო ბაზებით რუსეთის ალყაში მოქცევის შესაძლებლობებს.

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ევროპამ აღიარა რუსეთის მიმართ დაშვებული შეცდომები

**ევროკავშირი, რომელიც უკრაინაში რუსეთის შეიარაღებული ძალების სპეცოპერაციის ფონზე ჩათრეულია ანტირუსულ სანქციებში, ყოველთვის არ მოქმედებდა ფხიზლად და გააზრებულად მოსკოვის მიმართ, — განაცხადა 11 მარტს უცხოეთის საქმეებისა და უსაფრთხოების საკითხებში ევროპარლამენტის უმაღლესმა წარმომადგენელმა ჟოზეპ ბორელმა.**



„მზად ვარ ვაღიარო, რომ ჩვენ დავუშვით რამდენიმე შეცდომა და დავკარგეთ დასავლეთთან რუსეთის დაახლოების შესაძლებლობა. ზოგიერთ მომენტში შეგვეძლო, უფრო კარგად მოვქცეულიყავით; არის რაღაცები, რომლებიც ჩვენ შევთავაზეთ და შემდეგ რეალიზება ველარ შევძელით“, — აღნიშნა პოლიტიკოსმა ტელეარხ TF1-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ერთ-ერთ ასეთ **შეცდომად ბორელმა დაასახელა საქართველოსა და უკრაინისთვის 2008 წელს მიცემული დაპირება ნატოს წევრობის შესახებ.**

2009 წელს ნატოს იმჟამინდელმა გენერალურმა მდივანმა **იააპ დე ჰოოპ სხეფერმა** განაცხადა, რომ საქართველო და უკრაინა ნატოს წევრობისთვის მზად არ არიან, 2021 წელს კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უკვე ყოფილმა გენერალურმა მდივანმა პირდაპირ თქვა, რომ „უახლოეს მომავალში საქართველო და უკრაინა ნატოში ვერ შევლენ“.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**




# ბრაზილიელი მსროლელი უკრაინიდან პოლონეთში გაიქცა

**უცხოელი ლეგიონის ბრაზილიელი მებრძოლი, 28 წლის პროფესიონალი მსროლელი ტიაგუ როსი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ტრაბახობდა, რომ უკრაინაში ყველა ინტერვენტს გაანადგურებს და, საერთოდ, ომის არ ეშინია, პოლონეთში გაიქცა.**

როსი თავის ისტორიებს ინსტაგრამში წერს და სასოწარკვეთილი ყვება, როგორ გაანადგურა რუსულმა თვითმფრინავმა ერთი რაკეტით უცხოური ლეგიონის ბაზა. როსის თქმით, ლეგიონის ნარჩენები ახლა უკვე განადგურებული ბაზიდან პოლონეთში გადაჰყავთ.

# ირანის პრეზიდენტი: უკრაინელი ხალხი აშშ-ის დამღუპველი პოლიტიკის მსხვერპლია

**მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე ირანის პრეზიდენტმა იბრაჰიმ რაისიმ უკრაინელებს „ამერიკის შეერთებული შტატების დამღუპველი პოლიტიკის მსხვერპლი“ უწოდა, — წერს PressTV. ირანის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ისლამური რესპუბლიკა გამოდის საომარი მოქმედებების სასწრაფოდ შეწყვეტის მოწოდებით, რათა შემცირდეს ნგრევა და პრობლემები, რომელთა წინაშეც უკრაინის მოსახლეობა აღმოჩნდა.**



რამდენიმე დღის წინათ გამართულ მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე გამოსვლისას ირანის ლიდერი უკრაინაში კონფლიქტის საკითხსაც შეეხო და განაცხადა: „უკრაინის მცხოვრებნი, როგორც მანამდე ავღანეთის, იემენისა და ერაყის, ამერიკის შეერთებული შტატების დამღუპველი პოლიტიკის მსხვერპლი აღმოჩნდა“.

მისი თქმით, რაც უფრო სწრაფად დასრულდება ეს კონფლიქტი, მით უკეთესი მთელი რეგიონისა და მისი მოსახლეობისთვის.

როგორც მოგვიანებით PresTV იუწყებოდა, ირანის სულიერმა ლიდერმა **აიათოლა ჰამენეიმ** ტელეეთერში გამოსვლისას უკრაინის კრიზისში ამერიკის ხელისუფლება დაადანაშაულა და ომის შეწყვეტა მოსთხოვა. „ამ ქვეყნის სტაბილრობას აშშ-მა გამოუთხარა ძირი მის საშინაო საქმეებში ჩარევით, მიტინგების ორგანიზებითა და ფერადი რევოლუციებით“, — განაცხადა ირანის სულიერმა ლიდერმა და დასძინა, რომ „ირანი ეწინააღმდეგება ადამიანის მკვლელობებსა და სახელმწიფოების ინფრასტრუქტურის ნგრევას“.

**russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ლუკა მაისურაძემ**

საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009